# საქართველოს რესპუბლიკა

**კვირა, 20 თებერვალი,** 2005 წელი. №41 (5074) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



**⊙ ქვათა ღაღადი**

# ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას




**ყველა დასახლებული პუნქტისა და მისი შემოგარენის ისტორიული წარსულის ობიექტურ შესწავლა-გაანალიზებას არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ეთნოპოლიტიკური, ეთნოსოციალური, ეთნორელიგიური, ეთნოიდეოლოგიური დატვირთვა გააჩნია.** ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ისტორიული ნასოფლარი – „მოღნისი" ამ კუთხით მეტად საინტერესო ობიექტად მიგვაჩნია. მის შესახებ წერილობით წყაროებში ძალზე მწირი მონაცემები მოგვეპოვება. XVI საუკუნის ბოლოს ეს სოფელი უკვე მოსახლეობისაგან დაცლილი იყო. მიუხედავად სოფლის გაუკაცრიელებისა, ნასოფლარს თურქების მიერ მაინც შეწერილი ჰქონდა გარკვეული რაოდენობის (1000 ახჩა) გადასახადი (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბ., 1941, გვ. 54). XIX საუკუნის წერილობით წყაროებში ნასოფლარი მოღნისი ახალციხის გარეუბნადაა მიჩნეული. ნასოფლარმა და მისმა ეკლესიებმა გარკვეული მიზეზების გამო (მათ მიპატრონებას 1828 წლის შემდეგ არზრუმიდან გადმოსახლებული სომხები ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ) XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ერთი ნაწილის ყურადღება მიიქცია (სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №2053).

1924 წელს ქვაბლიანში იმოგზაურა აკად. გ. ჩიტაიამ. მან სხვა პუნქტებთან ერთად ნასოფლარი მოღნისიც მოინახულა და მნიშვნელოვანი აღწერილობაც დაგვიტოვა: „მოვინახულე მოღნისი, იქ ორი პატარა ტაძარია, ერთი ნახევრად დანგრეული, წითელი ქვით ნაგები, მას დასავლეთით ერთი კარი ჰქონია, ორიც ფანჯარა. დასავლეთით კედელს ატყვია რაღაც ქანდაკების მსგავსი, თოკის ჩუქურთმით.

მეორე ეკლესია ძველის განახლებას წარმოადგენს. შიგ დაცულია სანთლები, ხატები უჩარჩოდ და სომხური ნახატები. აქვეა შეწირულობები: თმები, ძაფები, ნაჭრები. დღესასწაული ეკლესიისა დანიშნულია კვირაცხოვლობიდან ამაღლებამდე, აგრეთვე 15 აგვისტოს ძვ. სტ. აქვე გდია წითელი ფართო ქვა შუაში ამოჭრილი ნახვრეტით" (გ. ჩიტაია, შრომები, ტ. III, თბ., 2001, გვ. 187).

გ. ბოჭორიძის აღწერით **„მოღნისის ეკლესია ერთნავიანი შენობაა, 4,6X2,7 მ. იგი ნანგრევია. დგას მარტო კედლები, ისიც გარეთა პირის ქვა შემოცლილი. თაღიდან შენახულია ჩრდილოეთის ნახევარი. კარი ჰქონია დასავლეთით, დღეს ეს ნაწილი გაგლეჯილია; სარკმელი აღმოსავლეთით, დასავლეთით და ვგონებ სამხრეთით – 1, შიგნით ჩრდილოეთ კედლის ძირს აქვს სანათლავი. ტრაპეზი აღარ არის. ნაგებია ქვიტკირისაგან. გარეთა პირი უბრალო თლილი ქვა ყოფილა. ეკლესიის დასავლეთ მხარეს კარის მარჯვნით მაღლა შერჩენია რაღაც გამოსახულების (ცხვრის?) ნაშთი (თავი?). პირის ქვა გარედან მოწითალო არის. ის შერჩენია აღმოსავლეთ კედელს და სამხრეთ კედელს – აღმოსავლეთ ნახევარში, ქვების წყობა სწორხაზოვანია. ნაგებია ჩაკირვით, – სამხრეთით სარკმლის ადგილი გადანგრეულია; ეკლესიას სამხრეთით, აღმოსავლეთ ნაწილში მიშენებული აქვს ეგვტერი; იგი ნანგრევად არის, დგას მარტო სამხრეთი კედელი.**

**მეორე ეკლესია დგას პირველის ქვემოთ, ჩრდილოეთით, რამდენიმე (10) მ-ზე, ისიც ერთნავიანი შენობაა... ეკლესია სომხურ ყაიდაზეა გადაკეთებული"** (გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 190-191).

ისტორიკოსი ც. მესხიშვილი საკმაოდ განსხვავებულ მოსაზრებებს გვაწვდის. მისი აზრით, **„მოღნისის ტერიტორიაზე სოფლის არსებობას ადასტურებს ეკლესიების მახლობლად შემორჩენილი ბაღები, სასაფლაოები, ხოლო გ. ბოჭორიძე თავის „მოგზაურობაში" მოღნისში ჯერ კიდევ შემორჩენილ ყორეებსა და ნამოსახლარებზე, პურის ხაროებსა და ერთ-ერთ ეკლესიასთან ზეთის სახდელ გელაზის ქვის არსებობაზე მიუთითებს" (ც. მესხიშვილი, ნასოფლარ მოღნისის ისტორიიდან; მესხეთი – ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000, გვ. 37).** ჩვენი დაინტერესება გამოიწვია ც. მესხიშვილის მიერ მოღნისის ტერიტორიაზე ძველი სასაფლოების მითითებამ და რამდენჯერმე მოვინახულეთ (ერთხელ თვით ც. მესხიშვილის თანხლებით) ეს ეკლესიები და გულდასმით დავათვალიერეთ მთელი ტერიტორია. იქ ჩვენ სასაფლაოს ნაკვალევი ვერ აღმოვაჩინეთ. როგორც ჩანს, სასაფლაო ეკლესიის მახლობლად არ იყო, თორემ აკად. გ. ჩიტაიასა და გ. ბოჭორიძეს დაუფიქსირებელი არ დარჩებოდათ.

იხ. მე-2 გვ.

**⊙ პრეზიდენტი**

# კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდება

**საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომავალი კვირიდან ახალი თავმჯდომარე ეყოლება – ამ პოსტს, სავარაუდოდ, კოტე კუბლაშვილი დაიკავებს.**

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კუბლაშვილის კანდიდატურა ოფიციალურად დაასახელა.

– ჩვენ კადრებს სამი კრიტერიუმის მიხედვით ვარჩევთ – პატრიოტიზმის, კომპეტენტურობისა და პატიოსნების მიხედვით. კოტე კუბლაშვილი სამივე კრიტერიუმს იდეალურად შეესაბამება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, კუბლაშვილის კანდიდატურა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან, უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე კოტე კემულარიასთან და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან კონსულტაციების შედეგად შეარჩიეს.

პრეზიდენტის თქმით, კოტე კუბლაშვილს სადოქტორო დისერტაცია გერმანიაში, 27 წლის ასაკში, აქვს დაცული.

– ხალხი კმაყოფილია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებით, მაგრამ ერთი სუსტი ადგილი მაინც დაგვრჩა და ეს არის სასამართლო. ამ სექტორში რეფორმები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისგან, მაგრამ დამოკიდებული კანონზე, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე კოტე კუბლაშვილის კანდიდატურას პარლამენტს მომავალ კვირას წარუდგენს.



# ევროკავშირის ქვეყნები უნდა გააქტიურდნენ

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის ქვეყნებს ქართულ-რუსული ურთიერთობების დარეგულირების საკითხებში აქტიურად ჩართვას სთხოვს.**

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო კანცელარიაში ევროკავშირის ქვეყნების ელჩები მიიღო. შეხვედრას ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძეც ესწრებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ბარამიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ევროკავშირის ქვეყნების ელჩებთან პრეზიდენტმა ქართულ-რუსული ურთიერთობების პრობლემებზე ისაუბრა და მათ დარეგულირებაში ევროკავშირის ქვეყნებს უფრო აქტიურად ჩართვა სთხოვა.

– იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები უფრო აქტიურად არ ითანამშრომლობენ საქართველოსთან, ჩვენს ქვეყანას გაუჭირდება აფხაზეთის კონფლიქტის, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანისა და სხვა პრობლემების მოგვარება, რომელიც რუსეთს უკავშირდება. ამიტომ ევროკავშირს, როგორც ერთიან ორგანოს, მეტი აქტიურობისკენ მოვუწოდებ, – განაცხადა შეხვედრაზე პრეზიდენტმა.

გარდა ამისა, ელჩებთან შეხვედრისას პრეზიდენტმა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებაზე და ამ მიმართულებით კონკრეტული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე და მის რეალიზაციაზეც ისაუბრა.

**⊙ კვირის თვალსაწიერი**

# ქვირფასი ახალი სახეები, რომლებიც სულაც არ არის კარგად დავიწყებული ძველი

**პირველი დადებითი შედეგი, რაც გასულ კვირაში საქართველომ მიიღო უხვი და მრავალფეროვანი ღონისძიებიდან, ის იყო, რომ პარლამენტმა 203 ხმით ერთის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა დეპუტატთა რიცხვის 235-დან 150-მდე შემცირებას (ის ერთადერთი მოწინააღმდეგე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრი გოჩა ჯოჯუა გახლდათ, რომელმაც ამის შემდეგ გონივრულად დაასწრო მოვლენებს და სანამ გარიცხავდნენ, თვითონ დატოვა უმრავლესობის მონოლითური რიგები).**

ამ მოვლენას ბატონმა პრეზიდენტმა ისტორიულიც კი უწოდა, ეს ქართული პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის გამარჯვებააო.

სამწუხაროა, რომ ეს გადაწყვეტილება 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის უმალ არ მიიღეს, როცა საქართველოს მოსახლეობამ (2300000 კაცმა) ლამის ერთხმად დაუჭირა მხარი პარლამენტის რიცხობრივ შემცირებას: უკვე დღეს გვეყოლებოდა 150-კაციანი დეპუტაცია, გამოთავისუფლდებოდა უზარმაზარი თანხა, რომლის მოხმარებაც უკეთესი დანიშნულებით შეიძლებოდა. ამ შემცირებით არც დღევანდელი უმრავლესობის ინტერესები შეილახებოდა, ის მაინც უმრავლესობად დარჩებოდა.

არადა, ხაზინიდან გადის და გადის ამ არავისთვის საჭირო 85 ზედმეტი დეპუტატის ხელფასი და სხვა დამატებითი ხარჯები (მერე, მომავალში კი, ამას დაემატება მათი მაღალი პენსია). ახლა, დიდი ვერაფრის მაქნისი თბილისის საკრებულოს წევრთა ზღაპრული ხელფასი და მგლის მადა იანგარიშეთ და მიხვდებით, რა უჯდება ეს მეტისმეტად ხელგაშლილი დემოკრატია ქვეყანას.

ასე და ამრიგად, ახლო მომავალში პარლამენტში 100 დეპუტატი პროპორციული სიით გავა, 50 – მაჟორიტარულით. ეს ძალიან კარგია (და უფრო უკეთესი იქნებოდა ხალხის რჩეულთა საერთო რიცხვი სულაც 100 კაცამდე შემცირებულიყო), მაგრამ ამ ისტორიულმა გადაწყვეტილებამ ჯერჯერობით ერთი თავსატეხი მაინც დატოვა: როგორ უნდა ავირჩიოთ 50 მაჟორიტარი, როცა საქართველოში სულ 85 რაიონია?

იხ. მე-2 გვ.

**⊙ ინფორმაცია**

### სავალუტო ფონდი საქართველოს მეგობარია

**გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი საქართველოში სავალუტო ფონდის წარმომადგენელს იან კრისტიანსენს შეხვდნენ.**

**ვალერი ჩეჩელაშვილის ინფორმაციით, 23 თებერვალს საქართველოში სავალუტო ფონდის მისია ჩამოდის. დღევანდელ შეხვედრაზე კი მისიის ვიზიტისას შესათანხმებელ საკითხებზე მსჯელობდნენ.**

**როგორც იან კრისტიანსენმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტისას განიხილება 6 თვის ბიუჯეტის შედეგები და ენერგოსექტორში მიმდინარე რეფორმები.**

### 20 მილიონი დოლარი სიღარიბის დაძლევისთვის

**მსოფლიო ბანკი სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში საქართველოს 20 მილიონი დოლარის კრედიტს გამოუყოფს. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის პრესსპიკერმა ლეილა ავიძბამ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

**მისივე თქმით, 28 თებერვალს საქართველოში მსოფლიო ბანკის მისია ჩამოდის, სიუ იონგ სოგის ხელმძღვანელობით. „მისიის ვიზიტის დროს საუბარი შეეხება როგორც მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში უკვე განხორციელებულ, ასევე ახალ პროექტებსაც", – დასძინა ჟურნალისტებთან საუბრისას ავიძბამ.**

### 31 წლის პროფესორი უხელმძღვანელებს

**გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ქუთაისს ეწვია. მან აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ონიანი წარადგინა.**

**31 წლის გიორგი ონიანი რექტორის პოსტზე ავთანდილ ნიკოლაიშვილს შეცვლის, რომელმაც თანამდებობა ორი თვის წინ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. ონიანის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნას პრეზიდენტისგან სასწავლებლის პედაგოგთა ნაწილიც მოითხოვდა. ამ მოთხოვნით მათ პრეზიდენტს სპეციალური მიმართვაც კი გაუგზავნეს.**

**გიორგი ონიანს პროფესორის წოდება 1998 წელს, 24 წლის ასაკში მიენიჭა, დოცენტი კი 22 წლისა გახდა.**

## ნომერში წაიკითხავთ:

### მსუნაგი მებაჟეები



**აჭარაში, სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მებაჟეები მექრთამეობის ძველ ტრადიციას არ ღალატობენ! ბათუმელი ჟურნალისტი ირაკლი ცეცხლაძე სრულიად სამართლიანად არის აღშფოთებული, რომ უსამართლობის და გამოძალვის ფაქტები სარფის საბაჟოზე ისევ ხდება!**

იხ. მე-3 გვ.

### და მაინც იმედი...



**აგერ უკვე ორი წელია, გაბაშვილისა და ყაზბეგის გამზირის გადაკვეთაზე, შუქნიშანთან შეჩერებულ ავტომანქანებს შორის ჩქარი ნაბიჯებით მოფუსფუსე, საშუალო ტანის, შუახნის ჩაფსკვნილ მამაკაცს ვხედავ ყოველდღე. ხელში წარწერიანი ფირნიში უჭირავს და მძღოლებს (განსაკუთრებით, უცხოური მარკის მფლობელებს) ცხვირწინ უფრიალებს.**

იხ. მე-4 გვ.

### უფრო მაღლა მხოლოდ ღრუბლებია



**ალბათ ძნელია მთელ დედამიწაზე ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიზე უფრო არახელსაყრელი ადგილის მოძებნა ცათამბჯენის აგებისთვის. აქ მიწისქვეშა ბიძგები, პრაქტიკულად ყოველდღიური მოვლენაა.**

**ვინ და როგორ ააშენა ტაიბეი – 101, – მსოფლიოს უდიდესი ნაგებობა**

იხ. 6-7 გვ.

**⊙ აქცენტი**

# დანაშაულის რაოდენობა არ გაზრდილა!

**საქართველოს შს მინისტრმა გუშინ ახალი ტრადიციის დამკვიდრება დაიწყო. ვანო მერაბიშვილი შს სამინისტროში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ჟურნალისტებს ინფორმაციებს რეგულარულად მიაწვდის.**

თუმცა, ასეთი შეხვედრები ტრადიციული ბრიფინგებისგან განსხვავებული იმითაც იქნება, რომ ჟურნალისტებს შს მინისტრისთვის რეკომენდაციების მიცემის საშუალებაც გაუჩნდებათ.

პირველი ე.წ. „ღია კარის დღე" ვანო მერაბიშვილმა გუშინ გამართა, რომელზეც იმ ღონისძიებების შესახებ ისაუბრა, ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი მისი მინისტრობის დროს რომ გამოიკვეთა.

ვანო მერაბიშვილმა სამინისტროს



საქმიანობაში სამი მთავარი მიღწევა დაასახელა. მისი განაცხადებით, პირველი მთავარი მიღწევა საზოგადოებაში პოლიციის, კონკრეტულად კი საპატრულო პოლიციის ნდობის აღდგენაა. მეორე დამსახურებად ვანო მერაბიშვილს პოლიციელებისთვის ხელფასის გაზრდა, მესამე მნიშვნელოვან მოვლენად კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მიაჩნია.

შს მინისტრი ხაზგასმით აცხადებს იმასაც, რომ სამინისტრომ უარი თქვა დანაშაულის გახსნის ე.წ. ტრადიციულ მეთოდებზე და დანაშაულის გამოვლენის უფრო ცივილიზებულ ფორმებზე გადავიდა. გასულ წლებთან შედარებით 2004 წელს გაიზარდა რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გაიზარდა თავად დანაშაულების ფაქტები. მინისტრის განმარტებით, გასული წლებისგან განსხვავებით, აღარ ხდება ჩადენილ დანაშაულთა დაფარვა და რეალურად ხორციელდება ნებისმიერი დანაშაულის აღრიცხვა, რასაც ხელი „022" სამსახურის ამოქმედებამაც შეუწყო.

მინისტრის ინფორმაციით, განზრახ მკვლელობების რაოდენობამაც იკლო. გაიზარდა გახსნილი დანაშაულების რაოდენობა.

ვანო მერაბიშვილი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად პოლიციაში კორუფციის აღმოფხვრას მიიჩნევს და აცხადებს, რომ მარტო იანვარში კორუფციის ფაქტზე 12 პოლიციელია დაკავებული.

შს მინისტრი უახლოეს ხანებში უკეთესი ხარისხის ბორკილების შეძენასაც აპირებს, რათა, როგორც თავად განმარტავს, დაკავებისას დამნაშავეებმა ნაკლები დაზიანება მიიღონ.

რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ორშაბათს საპატრულო სამსახური გორში ამოქმედდება, ერთ თვეში – რუსთავსა და ზუგდიდში. მთელი საქართველოს მასშტაბით საპატრულო სამსახური 2-3 თვის შემდეგ იმუშავებს. ამავე პერიოდში დასრულდება უბნის ინსპექტორების ინსტიტუტის სრულად ამოქმედებაც.

შს მინისტრს ერთ-ერთ პრიორიტეტად მიაჩნია ნარკოტიკული ნივთიერება „სუბოტექსის" გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა. მისი თქმით, საქართველოში „სუბოტექსის" შემოტანის ფაქტები გახშირდა. „უცხოეთიდან შემოყვანილ ყოველ მესამე ავტომანქანაში „სუბოტექსის" გარკვეული რაოდენობა დევს", – აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას თქვა, ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სპეციალური სკანერების შეძენა, თუმცა, საქართველოს ამის საშუალება არ გააჩნია, რადგან ერთი სკანერის ფასი დაახლოებით 1 მილიონი დოლარია.

მინისტრი იმედოვნებს, რომ ჟურნალისტებთან ასეთი ღია ურთიერთობით სამინისტროს საქმიანობა გაუმჯობესდება. ანალოგიური შეხვედრების გამართვა შსს-ს სხვადასხვა სამმართველოების ხელმძღვანელებთანაცაა დაგეგმილი.

## ინტერპანორამა

**6,5-ბალიანი სიმძლავრის მიწისძვრამ პანიკა გამოიწვია ინდონეზიის სულავესის კუნძულზე. ზღვისპირა რაიონების მცხოვრებლები სასწრაფოდ ტოვებენ სახლებს, რადგან შიშობენ, რომ შესაძლოა კვლავ განმეორდეს მიწისქვეშა ბიძგები და წარმოიქმნას ცუნამი. მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ იტყობინებიან, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა წყლის დონემ ოკეანეში.**




**ამერიკის შეერთებული შტატების სენატში შეიტანეს რეზოლუცია, რომლის ავტორებიც მოითხოვენ, შეჩერდეს რუსეთის წევრობა „რვა დიდი სახელმწიფოს" შემადგენლობაში. რეზოლუციის ავტორები მოითხოვენ, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რუსეთის შემდგომი ყოფნა „რვა დიდი სახელმწიფოს" რიგებში დაუკავშიროს იმას, თუ რუსეთი რამდენად ერთგულობს დემოკრატიის სტანდარტებს.**



**ერაყის ქალაქ ისკანდერიის შიიტური მეჩეთის წინ გაჩერებულ ავტომანქანაში ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა. აფეთქების შედეგად სულ ცოტა შვიდი კაცი დაიღუპა და ათამდე – დაიჭრა.**

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

◉ კვირის თვალსაწიერი

# ძვირფასი ახალი სახეები, რომლებიც სულაც არ არის კარგად დავიწყებული ძველი

(პირველი გვერდიდან)

ამ „სეკვესტრმა" საარჩევნო ბარიერის დაწევის აუცილებლობა გამოიწვია. საპარლამენტო ოპოზიციამ „მრეწველებმა", „ახლებმა" ამასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს. აქციას შეუერთდნენ „რესპუბლიკელები", „კონსერვატორები", ფრაქცია „მაჟორიტარის" ნაწილი...

მათი ძალისხმევა გასაგებია: პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის 150-მდე შემცირების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების გამო ბარიერგადალახული პარტია საპარლამენტო ფრაქციას ვერ შექმნის – ის ხომ მხოლოდ 7 კაცს გაიყვანს. ამიტომ ოპოზიციის აზრით, შესაცვლელია პარლამენტის რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, ამჟამად ფრაქციის შესაქმნელად მასში 10 დეპუტატის გაერთიანებაა აუცილებელი...

ერთი სიტყვით, შესაცვლელია კონსტიტუცია, შესაცვლელია პარლამენტის რეგლამენტი...

ისე ეტყობა, კონსტიტუციაში კიდევ არაერთი შესწორება შევა, ალბათ საჭირო და აუცილებელი, მაგრამ აქვე ძალაუნებურად ამოგიტივტივდება, რომ ძალიან შევაჩვიეთ ხელი კონსტიტუციას – ვასწორებთ და ვასწორებთ...

მეორე დადებითი მოვლენა ის გახლდათ, რომ პარლამენტმა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა, თუმცა ხმათა თანაფარდობა რამდენადმე განსხვავებული იყო: 175 ხმა 24-ის წინააღმდეგ. როგორც გოჩა ჯოჯუა, არც ახალი კაბინეტის მოწინააღმდეგენი ამოფარებიან ვინმეს ზურგს: მთავრობის ამ შემადგენლობას მხარი არ დაუჭირეს „მემარჯვენე ოპოზიციამ – მრეწველები, ახლები", „რესპუბლიკელებმა" და „კონსერვატორებმა". მაგალითად, საპარლამენტო ოპოზიციამ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი უკანონო ქმედებებში დაადანაშაულა: მინისტრს უფლება არ ჰქონდა მისულიყო გენერალურ შტაბში და მისი წარმომადგენლებისთვის სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებების დაწერა მოეთხოვა, რადგან, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, გენერალური შტაბის წარმომადგენლების დათხოვნაც და დანიშვნაც მხოლოდ პრეზიდენტის უფლებამოსილებააო.

აქვე „მემარჯვენე ოპოზიციამ" პრემიერმინისტრი (გუშინდელი ფინანსთა მინისტრი) ზურაბ ნოღაიდელი პრეზიდენტის ფონდიდან 51-მილიონიანი საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვაში დაადანაშაულა...

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ქვეყანას ახალი მთავრობა ჰყავს, რომელიც სულაც არ არის კარგად დავიწყებული ძველი, პატარა, უმნიშვნელო გადაადგილება-ჩამოლაბორანტებას და ვალერი ჩეჩელაშვილისა და კოტე კემულარიას შემომატებას თუ არ ვიგულისხმებთ, ისევ იმ ძველი, ძვირფასი სახეებით არის დაკომპლექტებული.

ამის მეტი არც შიგნით და არც გარეთ თავმოსაწონებელი არაფერი მომხდარა.

სამაგიეროდ, უხვად იყო აქცია-ღრიანცელები, ხან თბილისში – ჭავჭავაძის პროსპექტი, ხან – ახალციხეში მთავარი გზა, ხან – ჯვარში ავტომაგისტრალი გადაკეტეს მოპიკეტე მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და მოქალაქეებმა. თუ თბილისში 55-ე სკოლის მოსწავლეები თავისი დირექტორის პარმენ მარგველაშვილის სამსახურიდან განთავისუფლებას აპროტესტებდნენ (ზოგიერთი სქოლასტიკოსი ჯუჯღუნებს, როგორ შეიძლება ქუჩის აქციებში მოსწავლე ღლაპების მონაწილეობაო, რაზეც ჯანსაღი პოლიტიკური ძალები რკინის ლოგიკით აპელირებენ, „ვარდების რევოლუციაში" თუ შეიძლებოდა, საპარმენმარგველაშვილო აქცია რა წითელი კოჭიაო), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტები ფილიალის დაპატიმრებული დირექტორის მერაბ ბერაძის განთავისუფლებას ითხოვდნენ, ჯვარელები კი, ღენი მოგვეცითო, იხვეწებოდნენ.

ხან ქუთაისში წყალი შეწყდა და თბილისმა გააოგნა სავარდო და სამაისო ქალაქი – „პირდაპირ „ჩერეზ" რიკოთის გვირაბი გაჭიმა შლანგები აქედან იქამდე. ისე, არც ქუთაისლები დარჩენილან ვალში, მაშველებად ზვავივით მიმწყდარ რეზერვისტებსა და სპეცნაწილელებს სახლში მიტანილ თითო ვედრო წყალში თითო ფუთ ღვინოს ასმევდნენ და იყო ღიღინი პოეტის სიტყვებისა „ღმერთო, მოყვასისათვის მიმატანინე წყალი..."

ამ კვირაში ხელი გამოიღო თვითგამოცხადებული აფხაზეთის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა – აფხაზი მახაჯირების შთამომავლებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება მოუწოდა, თურქეთის აფხაზური დიასპორის და კავკასიური სოლიდარობის აფხაზეთის კომიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, რომელშიც ასევე ახალდანიშნული პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბიც მონაწილეობდა.

სხვადასხვა მონაცემებით, დღეისთვის თურქეთში მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში იქ გადასახლებულ მახაჯირთა ნახევარ მილიონზე მეტი შთამომავალი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი ომში არძინბას ხელისუფლებას ფინანსურად ეხმარებოდა. ერთი ჯგუფი კი ჩვენს წინააღმდეგ იარაღით იბრძოდა.



ნაამებმა ნამახაჯირალებმა სოხუმს ეკონომიკური პროექტების განხორციელება შესთავაზეს. ეს წინადადება ბაღაფშმა სიხარულით მიიღო.

საერთოდ ბაღაფში ძალიან მიდგა-მოდგა. აქით რომ თურქეთში მახაჯირებს გადახვია ხელი, იქეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში დაუმეგობრდა საჭირო ხალხს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მუსტაფა ბატლიევმა მას თავისი რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა და ავტომობილი აჩუქა.

ვალში არც ახალგამომცხვარი საპატიო მოქალაქე დარჩა: უახლოეს მომავალში იგი ერთ-ერთ სანატორიუმს შეარჩევს ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშრომელთა დასვენებისათვის.

მოკლედ, დროს არ კარგავს.

ამასობაში რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თბილისში სამუშაო ვიზიტი დაასრულა და შინ მშვიდობიანად დაბრუნდა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მის ესკორტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან საზოგადოებამ კვერცხები დაუშინა და საპროტოკოლო-სავალდებულო ღიმილის გარდა მის აქ ყოფნას სხვა არაფერი მოჰყოლია (დახურულ კარს მიღმა საუბრებისას თუ ითქვა რამე სასიკეთო, არ ვიცი).

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს ისედაც ნელთბილ ურთიერთობას ახალი გრილი ეტაპი შეემატა.

აი, ასეთი გახლდა ეს კვირა, ძვირფასო მკითხველო, რაც ისედაც მშვენივრად უწყოდი, მაგრამ მაინც შეგახსენე.

**ალეკო ასლანიშვილი.**

◉ ინფორმაცია

## დიღმის მასივში სკვერი აღდგა

დიღუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივის მეექვსე კვარტალში გუშინ განახლებული სკვერი გაიხსნა.

ახლად გახსნილი სკვერი თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა, თბილისის პრემიერთან და რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

„გვსურს დავამკვიდროთ ტრადიცია და ხალხი მივაჩვიოთ სახლთან ახლოს არსებული სკვერებისა თუ ბაღების მოვლას. ჩვენს ძალისხმევას და ახალი სკვერების კეთილმოწყობას შედეგი არ ექნება, თუ მას მოსახლეობა არ მოუვლის", – განაცხადა თბილისის მერმა.

სკვერი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დაფინანსებით გაიწმინდა და წითელი ქვიშით მოპირკეთდა. დამონტაჟდა ახალი სკამები და განახლდა გამწვანება.

## „თბილგაზის" ახალი საკანონმდებლო ინიციატივა

თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის ხელმძღვანელობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომელიც ბუნებრივი აირის მოხმარების ახალი წესების დანერგვას და ბუნებრივ აირზე მომუშავე ხელსაწყოების არასწორი ექსპლუატაციისთვის პასუხისმგებლობის დადგენას ითვალისწინებს.

„თბილგაზის" ინიციატივის პარლამენტართა მიერ გაზიარების შემთხვევაში, მოსახლეობას ბუნებრივ აირზე მომუშავე ხელსაწყოს შეძენისას დამატებითი პირობების შესრულება მოუწევს. როგორც „თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ განაცხადა, გაზგამათბობლებისა და წყლის გამაცხელებლების შეძენა, მოსახლეობას მხოლოდ ლიცენზიანტისაგან, ანუ რაიონის გაზგამანაწილებელი კომპანიიდან მიღებული ტექნიკური ნებართვის შემდეგ შეეძლება. რეალიზატორებს კი მომხმარებლის მიერ შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე ხელსაწყოების რეალიზაცია აეკრძალებათ.

„თბილგაზის" გენერალური დირექტორის აზრით, აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ბუნებრივი აირის მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა.

**ინტერ-პრესი.**

◉ ქვათა ღაღადი

# ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას

## ვისია მოღნისი?!

(პირველი გვერდიდან)

**სასაფლაოს არსებობასთან დაკავშირებით ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა. მდ. ფოცხოვიდან დაშორებით, ეკლესიების ქვემოთ, ბორცვის ძირში ჩასმულია მოწითალო ფერის ბრტყელი, შუაზე გადატეხილი ქვა სომხური წარწერით.**

**ამავე ხეობაში, პირველი ქვისაგან დასავლეთით, დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით არის კიდევ ერთი საფლავის მონაცრისფრო ქვა სომხური წარწერით და ჯვრის გამოსახულებით. ეს ქვაც შუაზეა გადაჭრილი. მისი**



**სიგრძე დაახლოებით 65 სანტიმეტრია. გარდა ამისა, გადაჭრის კვალი აშკარად ემჩნევა როგორც ქვას, ისე წარწერას. როგორც ჩანს, ეს ქვები სხვა ადგილიდან საგანგებოდაა მოტანილი და აქ დადებული. XX საუკუნის 20-30-იან წლებში ისინი რომ იქ ყოფილიყო, მათ აუცილებლად დააფიქსირებდა როგორც ივ. გვარამაძე, ისე გ. ჩიტაია და გ. ბოჭორიძე.**

**ამ ორი ქვის სხვა ადგილიდან მოტანისა და მათ ხელოვნურად „დაძველებაზე" ჩვენს ეჭვს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ ეკლესიასთან (რომელსაც სომხები ქართველების ეკლესიას ეძახიან) XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან გაჩნდა რამდენიმე ახალი საფლავი.**

**რა თქმა უნდა, ასეთი პასუხი ალოგიკურია. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ახალციხეში არსებობს სომხური სასაფლაო, ქ-ნ ც. მესხიშვილის განმარტებით მოღნისის სასაფლაოზე მიცვალებულებს (ჩვილ ბავშვებს) ჩუმად იმიტომ მარხავენ, თითქოს ისინი მოუნათლავები არიანო. საინტერესოა, ახალციხელი სომხები თავიანთ მოუნათლავ მიცვალებულებს მაინცდამაინც ქართული ეკლესიის გვერდით რატომ მარხავენ?**

**ასევე ც. მესხიშვილის ამ განმარტებით „ახალციხის მახლობლად არსებულ მოღნისად წოდებული ნასოფლარი ერთ დროს ჯაყელების მფლობელობაში შემავალ ერთ-ერთ უძველეს დასახლებას წარმოადგენდა, ამჟამად კი მხოლოდ ორი ეკლესია და რამდენიმე საფლავის ქვა გვიდასტურებს მის არსებობას"** (ც. მესხიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 38). ცხადია, იგი რამდენიმე საფლავის ქვად შუაზე გადატეხილ სომხურწარწერიან ორ ქვას გულისხმობს, რომლებიც ჩანს, გვიანაა მიტანილი ამ ადგილზე. საფლავის ქვების მიტანა და ბოლო ხანებში ჩვილ ბავშვთა ჩუმად დამარხვა გვაფიქრებინებს, რომ ესაა აშკარა მცდელობა იმისა, შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი, რომ მოღნისში უძველესი დროიდან სომხური სასაფლაო არსებობდა და მათ ვითომ ხელახლა დაიწყეს იქ მიცვალებულთა დასაფლავება. მათი აზრით, თუ ამ „ლოგიკურ" მსჯელობას მიიღებს საზოგადოება, მაშინ ისიც უნდა აღიარონ, რომ მოღნისში თავიდანვე სომხური მოსახლეობა ცხოვრობდა და თავისთავად ეკლესიებიც სომხური უნდა ყოფილიყო. ასეთი მცდელობა კი XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო, რის შესახებაც განგაშის ზარი ივ. გვარამაძემ შემოჰკრა. მის გულისტკივილს მაშინვე წერილობით გამოეხმაურა დეკანოზი დ. ხახუტაშვილი:

**„პატივცემულო**
**ღირსო მამაო იოანე!**

**მართალია, ჩვენ როგორღაც ვერ შევეტკბით ერთმანეთსა და ვინ არის ან რა არის ამაში მიზეზი, ეს უზენაესმა მსაჯულმა იცოდეს, მაინც მე მსურს გაგიბედო, მცირედ შეგაწუხოთ და, რადგანაც საგანი, რამაც გამოიწვია ეს წერილი, არის საზოგადო-საყურადღებო, ამის გამო იმედი მაქვს პიროვნული ანგარიშებისათვის დავივიწყებთ და საგანს შესაფერისი სანუკვარობით მოვეკიდებით.**

**მოგეხსენებათ, რომ ჩვენთა წურბელათ სომეხთა სურთ დაეპატრონენ არამც თუ მარტო ჩვენსა ჯიბეებსა, ხელი გაიწვდინეს ჩვენი სულიერ და სარწმუნოებრივი ნივთისკენაც – სახელითა, მრავალთა შორის აღარა მალავენ და ცხადად ეპატრონებიან მოღნისის ეკლესიებსა და ეს თავისი სურვილი ცხადად დაგვანახვეს... მე იმ რწმენისა ვარ, რომ სრულებით არაფერი საფუძველი არ აქვთ სომხებს მასზე...**

**მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა და მოკითხვა. თქვენი მდაბალი დეკანოზი დ. ხახუტაიშვილი**

**25 ნოემბერს 1886 წელსა**

**ქ. ახალციხე"** (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწ. ფონდი №2053).

**„ერთმანეთზე დანასისხლად გადაკიდებული ორი ქართველი მოღვაწე შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ 1828 წლიდან ახალციხესა და მის მიმდებარე სოფლებში თურქეთიდან შემოსახლებულმა სომხებმა არა მხოლოდ მიწების, არამედ ეკლესიების დაპატრონებაც მოინდომეს. რა თქმა უნდა, არც მოღნისის ეკლესიები აღმოჩნდა გამონაკლისი. XX საუკუნის 30-იან წლებში ერთი ეკლესია უკვე „სომხურ ყაიდაზეა გამართული"** **(გ. ბოჭორიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 191). შეიძლება ითქვას, რომ სადღეისოდ მეორის მითვისებისა და, საერთოდ, მთლიანი ნასოფლარის გასომხების „მოუნათლავ" მიცვალებულებს, სასაფლაოს „დაძველებისათვის" კი სომხურწარწერიან საფლავის ქვების ნაწილის (შუაზე გადატეხილს თუ გაჭრილს) სხვა ადგილიდან მოტანასაც არ თაკილობენ.**

**დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვიძიეთ ვერც ერთი არგუმენტირებული მასალა თუ რომელი წმინდანის სახელზეა აგებული მოღნისის ეკლესიები. აკად. გ. ჩიტაია გვაწვდის ერთ მცირე, მაგრამ მეტად საყურადღებო ცნობას: „დღესასწაული ეკლესიისა დანიშნულია კვირაცხოვლობიდან ამაღლებამდე, აგრეთვე 15 აგვისტოს ძვ. სტ."** **(გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ. გვ. 187).**

**ცნობილია, რომ კვირაცხოვლობიდან ამაღლებამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ სოფლებში, სადაც წმინდა გიორგის სახელზე ეკლესია იყო აგებული, 6 მაისს ტარდებოდა დიდი რელიგიური დღესასწაული – გიორგობა, ხოლო ძვ. სტ. 15 აგვისტოს – ღვთიშობლობა, ანუ მარიამობა. აქედან გამომდინარე მოღნისის ეკლესიები (ე. წ. და-ძმის ეკლესიები) ერთი ღვთისმშობლის, მეორე კი წმინდა გიორგის სახელზე უნდა იყოს აგებული.**

**მოღნისის ეკლესიებთან დაკავშირებულ, დღეობის შესახებ ცოტა უცნაურ და სხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა ც. მესხიშვილი. მისი მტკიცებით „ისევე, როგორც თბილისის მოღნისი, ახალციხის მოღნისიც დროის გატარებისა და გართობის ადგილად იყო მიჩნეული წლების განმავლობაში. ამას ადასტურებს მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი ხალხური ტრადიციები. მოღნისის ეკლესიასთან მაისის თვეში ყოველწლიურად იმართებოდა ე. წ. „მოღნისობის" დღესასწაული. ადგილობრივი მოსახლეობა მოდიოდა აქ საკლავით გასართობად და დროის სატარებლად, მაგრამ არა მარტო საეკლესიო დღეობებზე, არამედ სხვა დღეებშიც. უქმეებში აქ საგანგებოდ მოდიოდნენ ოჯახები, სანთლებს აანთებდნენ, პურ-მარილს გაშლიდნენ და მუსიკის თანხებით ცეკვათამაშს გააჩაღებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოღნისობას მაისობა (რუს. Маёвка) უწოდეს. 2 მაისს საგანგებოდ ემზადებოდა ქალაქის მოსახლეობა მოღნისის ეკლესიასთან დროის გასატარებლად"** (ც. მესხიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 38). მაისობის დაკავშირება რომელიმე რელიგიურ დღეობასთან დაუშვებელია, რადგან ვიცით, რომ XX საუკუნის 60-იან წლებში დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა საპატივსაცემოდ დააწესა საბჭოთა ხელისუფლებამ ორი მაისი და მას „შინმოუსვლელთა დღე" უწოდა. ამდენად, ორი მაისის აღნიშვნა საბჭოთა მოქალაქეების მიერ რელიგიური დღესასწაული ვერ იქნებოდა და მისი დაკავშირება მოღნისის რომელიმე ეკლესიასთან, ისევე როგორც ახალი უკანონო „სასაფლაოს დაძველების" მცდელობა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია. ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაერქვას?!

**თინა იველაშვილი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

◉ SOS!

# ეროვნული მეთამბაქოეობა სულს ღაფავს?

## ბაზარი კი კონტრაბანდულმა სიგარეტმა დაახრჩო!

**თამბაქოს ბიზნესმა, თუკი ამას ბიზნესი ჰქვია, უკანასკნელ პერიოდში თავი კვლავ აიშვა. ვითომ კონტრაბანდასთან ბრძოლა გამწვავდაო, ვამბობთ, მაგრამ რეალობა საპირისპიროს ლაპარაკობს. სინამდვილეში ქვეყანა გაიძეძგა კონტრაბანდული უაქციზო სიგარეტით, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე – ქუჩებში, მაღაზიებში, ბაზრებში – უტიფრად და უბოდიშოდ იყიდება. თამბაქოს ნედლეულისა და სიგარეტის სამამულო წარმოება კი სულს ღაფავს.**

**იქნებ თქვენ აგვიხსნათ, რა ხდება? – ვეკითხები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსს, კვების მრეწველობისა და აგროტექნოლოგიის აკადემიათა წევრს შოთა ჩხეიძეს.**

– კონტრაბანდასთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, ჩვენი სამინისტროს პრეროგატივა არ გახლავთ, მაგრამ იმ მიზეზებზე კი შემიძლია ვისაუბრო, რამაც ქვეყანაში თამბაქოს წარმოების დადამბლავება და უცხოური კონტრაბანდული სიგარეტის მოძალება გამოიწვია.

**– ბრძანეთ, ბატონო!**

– იყო დრო, როცა ქართული თამბაქო და მისგან დამზადებული პროდუქცია ქვეყნის ეკონომიკას თავის სოლიდურ წილ „გასამრჯელოს" აძლევდა. ჩვენებური თამბაქო „სამსუნი", „ტრაპეზონდი" და 16-17 დასახელების პროდუქცია წარმატებით მოიხმარებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც – ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. „სამსუნს" ისეთი საგემოვნო თვისებები ჰქონდა, რომ მას უცხოური ფირმებიც სიამოვნებით ყიდულობდნენ.

ბოლო 15 წელიწადში თამბაქოს ნედლეულისა და პროდუქციის წარმოება ჩვენში კატასტროფულად შემცირდა: კერძოდ, ნედლეულის წარმოება 23 ათასი ტონიდან 1 ათას ტონამდე, ხოლო პროდუქციისა – 16 მილიარდი ღერი სიგარეტიდან 2-3 მილიარდ ლარამდე. ასევე შემცირდა თამბაქოს ნაწარმის ასორტიმენტი, იგი ძირითადად უფილტრო სიგარეტებით შემოიფარგლება. ამასთან, მნიშვნელოვნად გაუარესდა ნედლეულის და აქედან გამომდინარე, პროდუქციის ხარისხი, რაც, ბუნებრივია, აისახა მომხმარებელთა ოდენობაზე. თუ ადრე საქართველოში ძირითადად ადგილობრივი წარმოების სიგარეტს ეწეოდნენ, ახლა მრეწველთა 75 პროცენტი იმპორტულ სიგარეტს მოიხმარს. ამ მიზეზით ქვეყნიდან ყოველწლიურად 100 მილიონი აშშ დოლარი გაედინება, რაც მნიშვნელოვანი დანაკარგია ჩვენი ისედაც მწირი ბიუჯეტისთვის.

**– განა არ შეგვიძლია თამბაქოს ნედლეულისა და სიგარეტის წარმოების გადიდება?**

– რატომაც არა. საქართველოში სრულიად შესაძლებელია 20-25 ათასი ტონა თამბაქოს ნედლეულის მოყვანა ისე, რომ არ შეიზღუდოს სხვა მნიშვნელოვანი კულტურები. აქედან შიდა მოხმარებისთვის 5-6 ათასი ტონა თამბაქო იკმარებს, დანარჩენი შეგვიძლია საექსპორტოდ გამოვიყენოთ და ბიუჯეტს შემოსავლები შევმატოთ.

**– მერე ამ შესაძლებლობას რატომ არ ვიყენებთ?**

– ამას უამრავი მიზეზი აქვს. უპირველესია ის, რომ ცნობილი მოვლენების გამო მოიშალა ინტეგრირებული სოფლის მეურნეობა, დაიკარგა ბაზისი – მოთხოვნა ხარისხოვან თამბაქოზე. მისი მწარმოებელი გლეხი მთლიანად დამოკიდებული გახდა სიგარეტის დამამზადებელ ადგილობრივ საწარმოებზე, რომლებიც იმდენად დაბალ ფასს სთავაზობდნენ თამბაქოს მომყვანს, რომ მან თავი მიანება აგროტექნიკის დაცვას ან საერთოდ ხელი აიღო თამბაქოს წარმოებაზე. სწორედ ამან განაპირობა ქვეყანაში თამბაქოს ნედლეულის წარმოების კატასტროფული შემცირება.

**– ამაზე ალბათ გავლენა იქონია გამოშვებულ პროდუქციაზე მაღალი საგადასახადო განაკვეთების, კერძოდ, გადიდებული აქციზების დაწესებამ, რამაც ამ დარგში მომუშავე მეწარმეები წელში გაწყვიტა.**

– მართალი ბრძანდებით, ამან დამანგრეველი გავლენა მოახდინა თამბაქოს საწარმოების ეკონომიკაზე და გზა გაუხსნა კონტრაბანდას. თავის დროზე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გაერთიანება „საქთამბაქომ" იზრუნეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად – 1995 წლის მაისიდან მოიხსნა შეზღუდვები თამბაქოს ნედლეულის საზღვარგარეთ გატანასა და რეალიზებაზე, ასევ 60 პროცენტამდე შემცირდა სააქციზო გადასახადი, რამაც დარგს ერთგვარად ამოსუნთქვის საშუალება მისცა, გაიზარდა ნედლეულისა და პროდუქციის წარმოების მოცულობის მაჩვენებლები. თუმცა ეს იყო მხოლოდ დროებითი შეღავათი. 2000 წლიდან, სავალუტო ფონდის კატეგორიული მოთხოვნით, თამბაქოს ნაწარმზე ხელისუფლებამ კვლავ დააწესა არარეალური, მაღალი ფიქსირებული გადასახადები, რამაც დარგი სრულიად უპერსპექტივო გახადა. ადგილობრივი წარმოების უფილტრო სიგარეტის ფასი 18-20 თეთრიდან 45-50 თეთრამდე გაიზარდა, მაშინ როცა კონტრაბანდული სიგარეტი 15 თეთრად იყიდებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა: ადგილობრივი საწარმოები გაჩერდნენ, კონტრაბანდული პროდუქცია კი ბაზარში გაბატონდა. ჩვენი მრავალმხრივი ძალისხმევის შედეგად, მომდევნო, 2001 წელს აქციზები ადგილობრივი წარმოების სიგარეტზე 40 თეთრიდან 20 თეთრამდე შეამცირეს, რამაც ბიუჯეტში შემოსავლები 25-ჯერ გაზარდა და 15 მილიონი ლარი შეადგინა. მომდევნო წლებში შემოსავლებმა კიდევ უფრო იმატა (23,5 მილიონ ლარამდე), მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა.

**– გინდათ თქვათ, რომ ახლაც იგივე „პრაქტიკა" მეორდება?**

– სამწუხაროდ, ასეა. 2004 წლის ივლისიდან სამამულო წარმოების ფილტრიან სიგარეტზე აქციზის გადასახადი გაიზარდა 5 თეთრით და გახდა 25 თეთრი, უფილტროსი – 3 თეთრით და გახდა 10 თეთრი, იმპორტულ სიგარეტზე კი დარჩა უცვლელი – 40 თეთრი. ამასთან, დამატებით შემოიღეს 20-პროცენტიანი დღგ-ის განაკვეთი, რამაც როგორც საშუალო, ისე დაბალი ღირებულების სიგარეტზე გადასახადი მნიშვნელოვნად გაზარდა.

**– ბატონო შოთა, ახალმა საგადასახადო კოდექსმა ეს ყველაფერი არ გაითვალისწინა?**

– პირიქით, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძაბა. დამატებული ღირებულების გადასახადი ხომ დარჩა და ამას კიდევ სხვებიც დაემატა: სამამულო წარმოების სიგარეტზე ფიქსირებული გადასახადი 25 თეთრიდან 70 თეთრამდე გაიზარდა, იმპორტულზე – 40 თეთრიდან 90 თეთრამდე, შესაბამისად, უფილტრო იმპორტულ სიგარეტზე – 25 თეთრამდე, ხოლო ადგილობრივზე – 15 თეთრამდე. ამით, ბუნებრივია, იხეირა კონტრაბანდამ, რომლის მოცულობა სიგარეტების საერთო რაოდენობაში 65 პროცენტამდე გაიზარდა.

**– მე დავამატებდი: შეიქმნა წინაპირობები იმისთვის, რომ თამბაქოს საწარმოები გაჩერდნენ. ამით ხომ შეიძლება ისარგებლონ უცხო ქვეყნებმა და ჩვენში მსგავსი საწარმოები გახსნან?**

– სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი. ამას წინათ ინტერნეტში, ამოვიკითხე, რომ სომხურმა კომპანია „გრანდ ჰოლდინგმა" საქართველოში დააარსა ერთობლივი საწარმო „გრანდ ტობაკო", რომელიც თბილისში სიგარეტების მწარმოებელ ქარხანას აშენებს. როგორც „გრანდ ჰოლდინგის" ხელმძღვანელმა გრანტ ვართანიანმა სააგენტო „არმინფოს" კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, ამ დროისათვის საწარმოს მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს და ის პირველ პროდუქციას წლეულს აპრილში გამოუშვებს. მას წელიწადში 1 მილიარდი ღერი სიგარეტის წარმოება შეუძლია. საწარმო იმუშავებს როგორც სომხურ, ისე კანადურ ნედლეულზე.

**– მაგ მამაცხონებულებს ჩვენი ნედლეული მაინც გამოეყენებინათ?**

– არა ბატონო, ეგ ხელს არ აძლევთ. მათ უნდათ, რომ საქართველოში ბიზნესიც გააჩაღონ, საკუთარი ნედლეულიც გაასაღონ, ფულიც წაიღონ და ჩვენი საწარმოებიც დახურონ. ჩვენ ასეთ დათმობაზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეთ, მით უმეტეს, რომ საწარმოებიც გვაქვს და მშვენიერი სანედლეულო ბაზაც გაგვაჩნია. წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ 6 ათას ჰექტარზე თამბაქოს პლანტაცია გავაშენოთ, ამით სულ მცირე 15 ათას კაცს დავასაქმებთ, თანაც საწარმოებს საკუთარი ნედლეულით ვამუშავებთ და იქ მომუშავე პერსონალს შევინარჩუნებთ. რა თქმა უნდა, პროგრამის – „მსოფლიო თამბაქოს გარეშე" – შესაბამისად უნდა მოხდეს თამბაქოს ნედლეულის წარმოების, სიგარეტის გამოშვების მოცულობისა და ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მაგრამ რადგან დღესდღეობით მწეველი არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ის უზრუნველვყოთ სამამულო წარმოების პროდუქციით. ეს საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ქვეყნიდან ფულადი სახსრების გადინება და მომხმარებელს მივაწოდოთ შედარებით ნაკლებად ტოქსიკური პროდუქტი. საზღვარგარეთიდან შემოტანილ სიგარეტებში ხომ ფისების, ნიკოტინის, სხვა შხამების რაოდენობა, ასევე, რადიაციის დონე მაღალია. სწორედ ამიტომ ჰყიდიან ისინი იაფად თავიანთ პროდუქციას.

**– ყოველივე ამას ახალი ხელისუფლება ხომ ხედავს, ნუთუ არაფრის გაკეთებას აპირებს?**




– როგორ არა, სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა დაინტერესდა ქვეყანაში მეთამბაქოეობის და თამბაქოს მრეწველობის რეაბილიტაციით. სწორედ მისი დავალებით შევადგინეთ დარგის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მეთამბაქოეობის ტრადიციულ რაიონებში (ლაგოდეხი, მარნეული, აჭარა), ასევე, არატრადიციულ რეგიონებში (იმერეთი, სამეგრელო) განსაზღვრული მოცულობით თამბაქოს პლანტაციების გაშენებას. ვფიქრობთ, სწორედ ამ გზით და არა გადასახადების ზრდით, უნდა გადაწყდეს ბიუჯეტში შენატანების ზრდის, დარგის განვითარების, თამბაქოს საწარმოთა ამუშავების პრობლემები, რომლებიც დღეს კონტრაბანდულ პროდუქციასთან არაჯანსაღ კონკურენციაში იხრჩობიან.

ვუშველოთ დარგს და უფრო იოლად მოევლება კონტრაბანდასაც!

**ოთარ ხუციშვილი.**

კორუფცია

# მსუნაგი მებაჟეები

**ამ რამდენიმე დღის წინათ ყოველდღიურ გაზეთ „აჭარაში“ ჟურნალისტი ირაკლი ცეცხლაძე წერდა: „მოვახდინეთ ვარდების რევოლუცია, დავამხეთ კლანური მმართველობა, დავშალეთ და დავიჭირეთ ნარკოდილერთა ბაზები, კორუმპირებულები, ძალაუფლება სუფთა სინდისის მქონე ახალგაზრდებს ჩავაბარეთ, მაგრამ... უსამართლობა და ფულის გამოძალვა ისევ გრძელდება“.**

ბათუმელი კოლეგა სრულიად სამართლიანად არის აღშფოთებული, რომ მსგავსი უსამართლობის და გამოძალვის ფაქტები ისევ და ისევ სარფის საბაჟოზე ხდება!

მამუკა ცეცხლაძეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი არასამთავრობო ორგანიზაციის – „მძღოლი, გზა, სამართალი“ ოფიციალური წარმომადგენელი დაუკავშირდა და საბაჟოზე უსაფუძვლოდ გაწამებული აზერბაიჯანელი მძღოლების ნახვა შესთავაზა. ჟურნალისტი ასეც მოიქცა და ერთ-ერთ პრინციპულ (ის მართლა შექების ღირსია) მძღოლს **რაფატ კარიმოვს** გაესაუბრა.

რაფატი კომერციული საზოგადოების „ნუხოგლუს“ მძღოლია, რომელიც ბაქო-სტამბოლის რეისზე მუშაობს.

– თურქეთში რამდენიმე წელია დავდივარ და ყველა საგზაო-საბაჟო კანონს კარგად ვიცნობ, – თქვა მან, – რამდენჯერ მიმიცია დიოდა, თანაც, ყველა საბუთი აბსოლუტურ წესრიგში ჰქონია. მას მხოლოდ მიზერული თანხა უნდა გადაეხადა საბაჟოზე.

რაფატს, როგორც განათლებულ კაცს (ის ჟურნალისტი და ლიტერატორია და მცირე შემოსავლის გამო ხშირად მძღოლის პროფესიასაც მიმართავს), გაახსენდა, რომ თბილისის შემოსასვლელ-გასასვლელებში მძღოლთა უფლებების დამცველი საზოგადოების სარეკლამო ფირნიშები დგას... დაურეკა ამ საზოგადოების თავკაცს რობერტ იანტბელიძეს და ყველაფერი აუხსნა. ეს უკანასკნელი ოპერატიულად დაუკავშირდა სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის გენერალური ინსპექციის უფროსს ზურაბ ბენდელიანს. მრისხანე უფროსის ჩარევის შემდეგ სარფის საბაჟოზე „დაკავებულმა“ მძღოლებმა ამოისუნთქეს.

თვით რაფატ კარიმოვმა ბოლოს შესანატრი პირდაპირობით (ამიტომაც არის ის შექების ღირსი), განაცხადა: სარფის საბაჟოზე ფულს თხოვენ ყველას – თურქს, ქართველს, აზერბაიჯანელს, სომეხს.. მაგრამ ამას ვერ გაბედავდნენ, ჩემსავით ვინმეს ხმა რომ აემაღლებინა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ მე ისევ მომიწევს რეისის შესრულება, მაგრამ არ მეშინია. ყველანი უნდა გავერთიანდეთ კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად და კავკასიის გზებზე წესრიგი დავამყაროთ.


სარფი.

თქვენი მებაჟეებისთვის არამი ფული, ოღონდ დიდხანს არ გავეჩერებინეთ და უკანონოდ, ზედმეტად არ გავეჩხრიკეთ. ამჯერად, ამ ბოლო რეისზე, იმდენი მომთხოვეს, რომ მოთმინების ფიალა ამევსო...

რაფატ კარიმოვმა გადაწყვიტა არსებული კანონმდებლობის მიხედვით გადაეხადა ყველაფერი და ქრთამი არ მისცა მებაჟეებს.

ამ „სიამოვნებას“ ერთი დღე მოანდომა (უფრო ზუსტად – მოანდომებინეს!), მაგრამ, ბოლოს საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 180 ლარი გადაიხადა და მსუნაგ, კორუმპირებულ მებაჟეებს 300 დოლარი არ ჩაუთვალა.

რიგში მდგარი მორიგი ავტობუსის მძღოლმა, რაფატის საცოდაობას რომ უყურა, უსიტყვოდ მისცა მებაჟეებს 200 დოლარი და უპრობლემოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე. არადა, ეს ავტობუსი თურქეთის მთავრობას აზერბაიჯანის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდისთვის უჩუქებია და ბაქოსკენ ცარიელი მომადლობა მძღოლთა უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის – „მძღოლი, გზა, სამართალი“ ხელმძღვანელს რობერტ იანტბელიძეს. მისი პრინციპული თანადგომა რომ არა, ჩემი (და არა მარტო ჩემი) ტანჯვა კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა...

ჩვენს მკითხველს დამატებით იმას ვაცნობებთ, რომ ბატონმა რობერტ იანტბელიძემ ზემოთ მოთხრობილი ამბავი მთლიანად დაგვიდასტურა და თავის მხრივ მადლობა შეუთვალა გენერალური ინსპექციის უფროსს ბატონ ზურაბ ბენდელიანს.

**ვიდრე საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე მსგავსი აღებ-მიცემობა ისევ ხდება და ქვეყნის ბიუჯეტს სოლიდური თანხა აკლდება, მძღოლებს ვთხოვთ, დაუკავშირდნენ რობერტ იანტბელიძის ორგანიზაციას (995 32) 33-29-86, 899 58-03-30) ან შინაგან საქმეთა სამინისტროს „ცხელ ხაზს“ – 80-02.**

**სპარტაკ ქოზულია.**

დედაქალაქი

# თბილისში მხოლოდ ცას არ სჭირდება ხელის შევლება

**თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურს სულ ოთხი თვეა, რაც ტარიელ ხიზანეიშვილი ხელმძღვანელობს და მის უპირველეს მიზანს ქალაქისთვის საჭირო ბევრი დაწყებული თუ დაუწყებელი საქმის ბოლომდე განხორციელება წარმოადგენს.**

**შეგახსენებთ, რომ კეთილმოწყობის სამსახურის წლევანდელი ბიუჯეტის თანხა 98 მილიონ 760 ათას ლარს შეადგენს. მხოლოდ თბილისის გზების აღდგენას, უხეში გათვლით, არანაკლებ ერთი მილიარდი ლარი ესაჭიროება, საგზაო სამუშაოებისთვის კი 77 მილიონი ლარია გამოყოფილი.**

***– ბატონო ტარიელ, რა უახლესი და უპირველესად განსახორციელებელი გეგმები აქვს ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს?***

– ამ ქალაქში მხოლოდ ცა არის, ხელის შევლება რომ არ სჭირდება, დანარჩენი ყველაფერი ერთობ პრობლემატურია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი, მიწისქვეშა კომუნიკაციები და გზებია, რომელთა აღდგენა მართლაც საშური საქმეა. სამწუხაროდ, ვერ დავასახელებ ქალაქის ვერც ერთ ქუჩას, რომელსაც რემონტი არ სჭირდება. ჩვენთან ხომ, ამ მხრივ, 30-40 წელიწადი თითქმის არაფერი გაკეთებულა, ხოლო რაც „გაკეთდა“, მხოლოდ ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით.

მთელ ქალაქში მინიმუმ 16 მილიონი კვ. მეტრი ასფალტია დასაგები, სანიაღვრე ქსელი კი მთლიანად შესაკეთებელია – ძველ ჭებს ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვთ, სწორედ ჭების წყლით ავსება და სადინარის უქონლობა აფუჭებს ნიადაგს, რაც თავისთავად ძირს უთხრის გზას. ამ თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობაა ქავთარაძის ქუჩაზე, გამსახურდიას გამზირზე, გაგარინის მოედანზე, სოლოლაკის, მთაწმინდის ვრცელ ტერიტორიაზე.

აუცილებელია წვიმის წყალი გზას მოშორდეს და მილების საშუალებით მდინარეს შეუერთდეს. ერთმანეთთან დამაკავშირებელი სანიაღვრე მილის სიგანე არ შეიძლება 200 მმ-ზე ნაკლები იყოს და წარმოიდგინეთ, ადრე დამონტაჟებული მილების სიგანე 50 მმ-ს არ აღემატება. არის უარესი შემთხვევებიც, კერძოდ, სანიაღვრე ქსელზე მიერთებული კანალიზაცია, რაც კატეგორიულად აკრძალულია... ამ უხეშად დარღვეული ნორმების გამოსწორებას კი, მოგეხსენებათ, საკმაო დრო და დიდი თანხა სჭირდება.



***– ამ ურთულესი საქმისთვის თავის გართმევა, ალბათ, სხვა კომპანიების დაუხმარებლად გაგიჭირდებათ...***

– ამ ეტაპზე ვმუშაობთ ტენდერებზე, ვადგენთ ტექნიკურ პირობებს, გაზაფხულიდან კი დიდ მასშტაბურ სამუშაოებს ვაპირებთ.

მალე, თქვენი გაზეთის საშუალებით, გამოვაქვეყნებთ ტენდერებს, მოვიწვევთ კომპანიებს და იმედი გვაქვს, საუკეთესო შემსრულებლებსაც გამოვავლენთ. შემიძლია განვაცხადო, რომ ეს წელიწადი კეთილმოწყობის სამსახურისთვის და ბუნებრივია, ყველა დედაქალაქელისთვის ყველაზე შედეგიანი იქნება.

***– ვფიქრობ, თქვენი სამსახურისთვის არანაკლებ პრიორიტეტული უნდა იყოს გარეგანათება, სახლის ფასადები, აგრეთვე, მიწისქვეშა გადასასვლელების მოწესრიგება და ა. შ.***

– ბუნებრივია, გარეგანათება აუცილებელია ქალაქის მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის, რაზეც კეთილმოწყობის სამსახური უკვე აქტიურად მუშაობს. სახლების ფასადების აღდგენა კი, უპირველესად, ცენტრალურ ქუჩებზე განხორციელდება, აღდგება და შელამაზდება მხოლოდ ის სახლები, რომლებიც არაავარიულია და მათზე თანხის დახარჯვა ღირს.

მიწისქვეშა გადასასვლელების განათებაზე კი, ახლადშექმნილი შპს „მიწისქვეშა გადასასვლელი“ იზრუნებს. დაახლოებით ორ თვეში ამ საქმეს ეს ორგანიზაცია გადაიბარებს და ჩვენი მეთვალყურეობით იმუშავებს.

გარდა ამისა, დაგეგმილი გვაქვს სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა იპოდრომზე, ნაგავსაყრელის პოლიგონების მოწესრიგება, ქალაქგეგმარებითი ღონისძიებები, სპეცმანქანების შეძენა, თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობა და სხვა.

***– რას გულისხმობთ თბილისის ზღვის მოვლა-პატრონობაში?***

– შემუშავებულია ზღვის რეაბილიტაციის პროგრამა, რაც ამ ტერიტორიის მაქსიმალურ კეთილმოწყობას, კომფორტულობას გულისხმობს – პლაჟი, ქვიშა, გასახდელები, საშხაპეები, მაგიდები, შეზლონგები, – ყველაფერი ეს, მოსახლეობისთვის უფასო იქნება.

კეთილმოწყობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი, როგორც ვხედავთ, დედაქალაქის საფუძვლიან გამშვენიერებას გვპირდება. ჯერჯერობით, მხოლოდ უნდა მივესალმოთ ასეთ სურვილს...

**ლელა დონაძე.**

აფიორა

# წინასწარი მაღარიჩი ნავთობსადენზე „დასაქმებისთვის"

**ბრიტანული ფირმა „ბრიტიშ პეტროლიუმის“ (BP) თანამშრომლად მარინა ქავთარაძედ თავის გასაღება, რომელსაც თითქოსდა დავალებული ჰქონდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაზე მოქალაქეთა მიღება, მარინა ჩინჩალაძემ შარშან გადაწყვიტა. ივლისში მან მოტყუებით მიითვისა ყაზბეგ შარუმაშვილის 800 დოლარი, რაც ვითომდა მისი ნავთობსადენის მშენებლობაზე მოწყობის „მაღარიჩი“ იყო, ხოლო სექტემბერში 1200 დოლარი „ააფცქვნა“ ეთერ შარუმაშვილს, რომელსაც აქვე ექთნად მუშაობის პერსპექტივით უბრუებდა თავს.**

საერთოდ, თაღლითები ხალხს უმეტესწილად – BP-ის მშენებლობაზე მუშაობის დაწყებას ჰპირდებიან, ვინაიდან იგი, თავისთავად, მეტად სოლიდური ფირმაა, თანაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანა „საუკუნის მშენებლობადაა“ აღიარებული, ამიტომაც მიამიტი ადამიანები ამ სატყუარაზე ადვილად ეგებიან.

მარინა ქავთარაძედ „მონათლულმა“ „ბიზნესლედიმ“ ყაზბეგ და ეთერ შარუმაშვილებს განუცხადა, რომ მათი ყოველთვიური ხელფასი 400-500 დოლარი იქნებოდა. მოგვიანებით კი მან ისინი ქავთარაძის ქუჩაზე სამკურნალო კომბინატში სამედიცინო შემოწმებაზეც გაატარა, რაც ვითომდა სამსახურის დასაწყებად იყო აუცილებელი.

ამის თაობაზე დაწვრილებითაა აღნიშნული ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის დადგენილებაში.

თუმცა, როგორც ჩანს, მერე რაღაც მოხდა და 2003 წლის ნოემბერში მ. ჩინჩალაძემ (იგივე მ. ქავთარაძემ) „საქმიანობა“ ახლა უკვე ყაზბეგ შარუმაშვილთან შეწყვილებულად გააგრძელა. კომპანიონებმა გადაწყვიტეს ერთობლივად, მოტყუებით, უკვე აპრობირებული ხერხით მიეთვისებინათ თანამოქალაქეთა თანხები, რაშიც ახალი მეწყვილე „შეფისაგან“ ყოველთვიურად 200 დოლარს მიიღებდა, თანაც მობილური ტელეფონისა და მანქანის ხარჯი აუნაზღაურდებოდა.



2003 წლის ნოემბერში ყაზბეგ შარუმაშვილი შეხვდა დარეჯან და რამაზ ბუთურიშვილებს, ემზარ ბაიდოშვილს, დავით ალავიძეს, ხვიჩა მჭედლიშვილს, ომარ და ლევან ბარელაძეებს, გივი ცხვედიაშვილსა და ჟორა გუკასიანს... მათ განუცხადა, რომ ადრე „ბრიტიშ პეტროლეუმში“ მძღოლად მუშაობდა, შემდეგ დააწინაურეს და ახლა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობაზე ხალხის სამუშაოზე მიღება აქვს დავალებული. იქ მომუშავეთა ყოველთვიური ხელფასი კი, მისი თქმით, 400-600 დოლარი უნდა ყოფილიყო.

ამ ცრუ დაპირებით, დეკემბერში, შარუმაშვილმა ზემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც სხვადასხვა სამუშაო ადგილებს ჰპირდებოდა, სხვადასხვა ოდენობის ფული გამოართვა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, 10.100 დოლარი შეადგინა, ეს თანხა მას, ვითომდა ქრთამის სახით, ფირმის კადრების რომელიღაც თანამშრომლისთვის უნდა გადაეცა. მოგვიანებით ამ პირებმაც გაიარეს ქავთარაძის ქუჩაზე სამკურნალო კომბინატში სამედიცინო შემოწმება.

მოკლე ხანში მ. ჩინჩალაძემ მოკვლევით დაუდგენელ დანაშაულებრივ პირებს, რომელთა დახმარებით დასახელებულ მოქალაქეებს (ცხადია, გარდა ყ. შარუმაშვილისა) შრომითი ხელშეკრულება გაუფორმა (!!). ამით ისინი დაარწმუნა, რომ მუშაობას უახლოეს მომავალში დაიწყებდნენ. თუმცა, ხელშეკრულების მეორე პირი მ. ჩინჩალაძეს „ბრიტიშ პეტროლეუმის“ მომავალი მუშაკებისთვის ხელზე არ მიუცია...

გარდა ამისა, მუშაობის უცილობლად დაწყების რწმენა რომ განემტკიცებინა, მ. ჩინჩალაძემ ეთერ შარუმაშვილს უბოძა შპს „საერთაშორისო სახლის“ მიერ გაცემული ინგლისური ენის კურსების გავლის მოწმობა და კიდევ ორ უცხო ენაზე შედგენილი სერტიფიკატი. რა თქმა უნდა, ყველა ეს საბუთი ყალბი იყო. ასევე ო. ბარელაძეს მან გადასცა ფირმა „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კონტრაქტორი კომპანია „პეტროფაკის“ პასპორტი შევსებული მის სახელზე და ფირმა „IMSS“-ის მიერ გაცემული პირველადი დახმარების სწავლების გავლის სერტიფიკატი. ეს საბუთებიც, ცხადია, გაყალბებული გახლდათ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ძნელი სათქმელია, თუ რატომ დაუბრუნეს 2004 წლის მაისში ყ. შარუმაშვილმა – ლ. და რ. ბუთურიშვილებსა და ე. ბაიდოშვილს მათგან აღებული 3.000 დოლარი, ხოლო მ. ჩინჩალაძემ – ლ. ბარელაძეს – 1200 დოლარი. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება. დანარჩენი პირები „კონცესიონერებმა“ „გადააგდეს“ და 5900 დოლარი „აახიეს“.

ყოველივე ამის გამო, მ. ჩინჩალაძის, ყ. შარუმაშვილისა და სხვათა მიმართ ფინანსურ პოლიციაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**ოთარ ტურაბელიძე.**

იმერეთის მხარე

# ...შენთან აქის გული ჩემი

## შემწე დამწვარ-დადაგულისა

**წინა ხელისუფალთა უნიათობამ ქუთაისი დიდად დააზარალა. არა მარტო ქალაქის გარეუბნებში, არამედ ყველაზე ცენტრალურ ადგილებშიც კი ერთი და ორი როდია დამწვარი და უყურადღებობით დანგრეული შენობა.**

**ამ მხრივ განსაკუთრებით ქალაქის მთავარი ცენტრალური მაგისტრალი – წერეთლის ქუჩა გამოირჩევა. აქ სულ რაღაც 40-50 მეტრში, ზუსტად მხარისა და ქალაქის იმ ადმინისტრაციული შენობის წინ, რომელიც თავადაც დამწვარია, ორი ხანძრით ჩაფერფლილი შენობის და ერთიც უყურადღებობით გაპარტახებული კულტურის ყოფილი კერის – ოფიცერთა სახლის ნანგრევებია.**

**და, აი, გაჩნდა იმედი, რომ პრივატიზაციის შემწეობით სალბუნი დაედება მრავალი წლის წინათ დამწვარ-დადაგულს. 2 თებერვალს წერეთლის ქუჩის № 3-ში, ნახანძრალი სახლის ეზოში გაიმართა ოფიციალური ცერემონიალი, რომლის დროსაც იმერეთის გუბერნატორმა, ბატონმა გია გეწაძემ საკუთრების მოწმობა გადასცა „პროკრედიტ ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილეს, ბატონ ასმუს როტნეს.**

**ეს ბანკი საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია და ძირითადად მიკრო, მცირე და საშუალო სიმძლავრის საწარმოებს აფინანსებს. ჩვენს ქვეყანაში მას 20 ფილიალი აქვს, მათ შორის ქუთაისში, სადაც 2000 წლიდან არსებობს – სამი. საერთოდ კი „პროკრედიტ ბანკი“ დიდი ორგანიზაციაა – ემსახურება აღმოსავლეთ ევროპაში 10, ლათინურ ამერიკაში 4 და აფრიკაში 3 ქვეყანას.**

**– აზარტული აუქციონი იყო, – ასე შეაფასა შარშან, ნოემბერში ქუთაისში გამართული აუქციონი ბატონმა ასმუს როტნემ და დასძინა, რომ, მართალია, მთავარ კონკურენტთან, თბილისის სასტუმროების ქსელ „ნიკალასთან“ ბრძოლა სოლიდურ თანხად დაგვიჯდა, მაგრამ ეს საქმე ჩვენთვის მომგებიანია და უკან ამიტომ არ დავიხიეთო.**

**სხვათა შორის, აუქციონზე გატანილი ამ ობიექტის, უფრო ზუსტად, ნახანძრალი ტერიტორიის საწყისი ფასი მხოლოდ 47 ათასი დოლარი იყო, ბანკმა კი იგი 196 ათას 111 ამერიკულ დოლარად შეიძინა.**

**როგორც სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქუთაისის სამმართველოს უფროსმა სერგო ლექვინაძემ გვითხრა, ასეთი წარმატებული აუქციონი ქუთაისში დღემდე არ ჩატარებულა.**

**აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წაგებული არც „ნიკალა“ დარჩენილა. მან ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, ნინოშვილის უნივერმაღის მხარეს, უქიმერიონის მუნიციპალიტეტის ადგილი დაისაკუთრა და უკვე შემოღობა კიდეც.**

**„პროკრედიტ ბანკმა“ აუქციონის პირობის თანახმად წერეთლის ქუჩის № 3-ში ევროსტანდარტების დონის შენობა 2 წელიწადში უნდა ააგოს, მაგრამ იგი ამის გაკეთებას უკვე წლეულსვე – სექტემბრამდე აპირებს.**

**პირველი მარტიდან აუქციონის რიგი მოუწევს აქვე, ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე მდებარე წარსულში ქუთაისის მშვენებას, დღეს კი გაპარტახებული ოფიცერთა სახლის ნანგრევებს.**

**ვნახოთ, ამჯერად ვინ და რა ფასად გახდება შემწე დამწვარ-დადაგულისა?!**

## იძულებითი წუთშესვენება გატაცებებით „გატაცებულებთან“ ბრძოლაში

**ქუთაისში თოვლი მოვიდა და ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობა მკვეთრად შემცირდა, რამაც მანქანათა გატაცებით „გატაცებულთა“ აქტიურობა დროებით შეანელა.**

**არადა, დიდთოვლობის წინა პერიოდი, განსაკუთრებით თებერვლის პირველი დღეები, გატაცებულ მანქანათა რაოდენობისა და კრიმინალური სამყაროს თავხედობის მხრივ არა მარტო რაოდენობრივად, არამედ კურიოზულობითაც გამორჩეული იყო.**

**2 თებერვალს იმერეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს წინ – ცხინვალისა და ჯავახიშვილის ქუჩების გადაკვეთასთან პოლიციელებმა დააკავეს ზაზა კაკაბაძე და გიორგი მაკარიძე, რომლებმაც იქვე, სულ რაღაც 100-150 მეტრში, „უნივერსამის“ შემოგარენიდან ვაჟა დვალის „ჟიგული“ მოიპარეს და ყველაზე „უხიფათოდ“ მიიჩნიეს პოლიციელების ცხვირწინ გავლა.**

**მალე პატრულმა წარმატებით კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა. 4 თებერვლის ღამის 4 საათზე, ქალაქის შემოვლისას ქუთაისის ცენტრში დააკავა ორი ახალგაზრდა – ბაჩუკი მარდალეიშვილი და დავით აფხაიძე, რომლებიც „ვაზ-3110“ მარკის მანქანის გატაცებას ცდილობდნენ.**

**სამწუხაროდ, ყოველთვის ასეთი წარმატებული როდია ავტომანქანის გატაცებით „გატაცებულთა“ წინაშე „გამოცდის ჩაბარება“.**

**2 თებერვალს ქუთაისში გაიტაცეს ჯუმბერ კიკვაძის „ჟიგული“, მაგრამ ძებნა გაჭიანურდა და მეორე დღეს მანქანა არხის ქუჩაზე დამწვარი იპოვეს.**

**დიდთოვლობით გამოწვეული „წუთშესვენება“ პოლიციას საშუალებას აძლევს, საფუძვლიანად გააანალიზოს წარუმატებლობის თითოეული შემთხვევა, რათა ქურდული სამყაროს თავხედურ „შურისმაძიებლობასა“ და მათი ყოვლისშემძლეობის მითს ერთდროულად დაუსვას წერტილი.**

## სპორტის მუზეუმის ახალი ექსპონატი

**ქუთაისის სპორტის მუზეუმს, რომელსაც ამ საქმის დიდი მოყვარული, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ბატონი ზურაბ ჯავახაძე თავკაცობს, ახალი ექსპონატი შეემატა – ომარ ფხაკაძის საათი „სეიკო“.**

**მსოფლიო ჩემპიონისთვის იგი საქვეყნოდ ცნობილ ამ ფირმას უჩუქნია, თავად ომარს კი სპორტის დიდი ქომაგის, მეცენატისა და თავისი პირადი მეგობრისთვის – დუგლას ქაჯაიასთვის უსახსოვრებია. საათზე ამოჭრილია წარწერა: „სახსოვრად დუგლასს ომარ ფხაკაძისაგან. 30.VIII.1970 წ“.**

**– შენი გაზეთი „თანადგომა“ ღირსეულ მამულიშვილთა უკვდავყოფისთვის უდიდეს საქმეს აკეთებს, ამასთან საზოგადოება „ბაგრატის ტაძრის“ პრეზიდენტიცა ხარ და ეგებ პატივი დამდო, რათა ეს საათი ქუთაისის სპორტის მუზეუმში მოხვდესო, – უთხოვია ბატონ დუგლასს ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის არცთუ უცნობი ავტორის, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის ანზორ ბაბუხადიასთვის, რომელმაც ეს კეთილშობილური წამოწყება ბოლომდე მიიყვანა.**

**გუშინდლიდან ქუთაისის სპორტის მუზეუმში ომარ ფხაკაძის ექსპოზიცია ზემოხსენებულმა საათმა სწორედ მისი ძალისხმევით დაამშვენა.**

**ალექსანდრე შენგელია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

მემკვიდრეობა

# ქართული კვალი წმინდა მიწაზე, ტაო-კლარჯეთში... ვატიკანში!

## მომავლის პერსპექტივა

სამომავლოდ რა უნდა გაკეთდეს სამხრეთ საქართველოს ისტორიული ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

1. აუცილებელია ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება კულტურის სფეროში თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის.

2. სარესტავრაციო სამუშაოები ძალზე დიდ თანხებს მოითხოვს, ამიტომ თუ ვიქნებით რეალისტები, უნდა ვილაპარაკოთ პირველი ეტაპის ე.წ. გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამებზე. ასეთი ხედვა ჩამოყალიბდა მაგ., კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად, როცა ისინი საქართველოს საზღვრებს შიგნით კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მდგომარეობას სწავლობდნენ და ჩვენთან ერთად აღგენდნენ მისი განვითარების სტრატეგიას.

3. თურქეთის აღნიშნული რეგიონი სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულია; ქვეყნის ხელისუფლების მიზანს, ბუნებრივია, ამ ნაწილის სწრაფი აღმავლობა წარმოადგენს. ერთ-ერთი გზა კულტურული ტურიზმის განვითარებაა, რისი სურვილიცა და კეთილგანწყობა თურქეთში მართლაც არსებობს – აქ ქართულმა ისტორიულმა ძეგლებმა შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს და ეს მათ კარგად ესმით: ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა თურქეთში, კულტურის სამინისტროს მიერ ართვინის კულტურულ მემკვიდრეობაზე გამოცემული შესანიშნავი წიგნი; ტურიზმის კუთხით სხვადასხვა **გზამკვლევებიდან გამოვყოფდით ობიექტურობითა და გამოცემის ხარისხით გამორჩეულ ნაშრომს – „შავი ზღვა – ჩრდილოეთ თურქეთის გზამკვლევი ტურისტებისათვის“ (ავტორები: თურქეთის მოქალაქეები სევან და მუჟდე ნიშანიანები)**, თავისი ფოტოსურათებით, გეგმებითა და სხვ. ტურიზმის განვითარებას შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება მოჰყვება და ამ პროცესებში აუცილებელი გახდება აღნიშნული ქართული ისტორიული ძეგლების კონდიციის, ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. უნდა იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტებით აპრობირებულმა სტრატეგიამ – მთავარია არა მხოლოდ ძეგლის რესტავრაცია, არამედ ძეგლის სიცოცხლე; ძეგლის სიცოცხლე კი განაპირობებს რეგიონის ადგილობრივი თემების სიცოცხლეს და მის აღმავლობას.

სამუშაოების სწორად წარმართვისათვის საჭირო იქნება ქართველი სპეციალისტების ჩართვა ამ პროცესებში – უნდა შეიქმნას ერთიანი ინტერდისციპლინარული ჯგუფები და განხორციელდეს ერთობლივი ე. წ. „სამოქმედო გეგმები“; ასეთი საერთაშორისო


ბანა.

პროგრამები (სადაც გათვალისწინებული იქნება ფინანსური ვალდებულებები ორივე მხრიდან) უდავოდ გამოიწვევს ადგილობრივი თემების გაცოცხლებას, კულტურაზე დამყარებული ტურიზმის განვითარებას, მათ ექნებათ სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა (ამის გამოცდილება საქართველოსა და თურქეთში არსებობს მსოფლიო ბანკის პროგრამებიდან): მოხდება ადგილობრივი მუშახელის დაქირავება, იქაური თურქი და ქართული მოსახლეობა დასაქმდება, ადგილი ექნება ადგილობრივი სამშენებლო მასალის შესყიდვა-გამოყენებას, განვითარდება შესაბამისი პროფილის საწარმოები და ა. შ. ტურისტული ინფრასტრუქტურებიდან გამოსაყოფია ე. წ. საოჯახო სასტუმროები, რაც მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი და შემოსავალია თურქეთის ამ რეგიონში ადგილობრივი სოფლის მოსახლეობისათვის. პარალელურად, გადარჩება და გაუმჯობესდება აქ არსებული უნიკალური ქართული კულტურული მემკვიდრეობა.

4. ორი ქვეყნის კიდევ უფრო დაახლოებისა და მოქალაქეების უკეთ ურთიერთგაცნობის თვალსაზრისით, კარგ, ეფექტიან ნაბიჯად გვესახება ზაფხულობით თურქეთში ისტორიულ ძეგლებზე სამუშაოების წარმოებისას სტუდენტური პრაქტიკების გამოცდილების გამოყენება და მასში ქართველი და თურქი მომავალი ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, არქიტექტორების მონაწილეობა.

აუცილებელია თურქი მეცნიერების ჩართვა და გამოყენება კონკრეტულ საქმიანობაში, როცა ის რეალურად იქნება შესაძლებელი. უნდა მომზადდეს ერთობლივი ექსპედიციები, რომლებმაც უნდა გააგრძელონ დღემდე ჩატარებული სამუშაოები – აღწერა/აზომვა, ფოტოფიქსაცია და ა. შ. ასეთივე ერთობლივმა ექსპედიციებმა უნდა მოამზადონ კონსერვაციის პროექტები კონკრეტული ისტორიული ძეგლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის მხრიდან გვყავს ისეთი მეცნიერები და მეგობრები, როგორიცაა მაგალითად, მინე ქადიროღლუ, ასევ მისი ჯგუფი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ სათანადოდ არ ვიყენებთ, არ ვეხმარებით, ანუ ბოლომდე არ ვთანამშრომლობთ.

როგორ უნდა განხორციელდეს ამ მიზნის მიღწევა შედარებით სწრაფად და ეფექტიანად – კონკრეტული ნაბიჯები:

1. ჩვენი აზრით, ეს საქმიანობა საქართველოს მხრიდან პრეზიდენტის ეგიდით, მისი პატრონაჟით უნდა წარიმართოს.

2. სათანადო ორგანოებში მომზადდეს ნიადაგი კულტურის სფეროში საქართველო-თურქეთს შორის ორმხრივი ხელშეკრულების დადებისთვის. ასეთი ხელშეკრულების საშუალებით, რეალურად გახდება შესაძლებელი ისტორიული ძეგლების ერთობლივი მოვლა-პატრონობის განხორციელება. უნდა შემუშავდეს „სპეციალური სამოქმედო გეგმა“ (SAP) და გაიწეროს ყველა აუცილებელი ნაბიჯი. იგულისხმება ისეთი „სამოქმედო პროგრამები“, რომლითაც მუშაობენ ევროსაბჭო, მსოფლიო ბანკი, იუნესკო. ამის გამოცდილება საქართველოში უკვე არსებობს, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში.

**დასკვნა: ვფიქრობთ, დღევანდელი საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ისეთ ეტაპზე იმყოფება, რომ ეს საკითხები, ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, მართლაც წარმატებით შეიძლება განვითარდეს; იგი შემდგომში მეცნიერ-სპეციალისტთა ურთიერთობების დონეზე გაგრძელდება; დამოკიდებულება თურქეთის სამეცნიერო წრეებში ისეთია, რომ ერთიანი ძალებით საქმის კეთება სავსებით რეალობად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ორმხრივი ხელშეკრულება ყველა საჭირო ეტაპს სათანადოდ დაალაგებს. ამ მამულიშვილური საქმის წარმატებით განხორციელება კი, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, იქნება ერისა და ხელისუფლების ერთმანეთის გვერდზე დგომის ძალზე თვალსაჩინო მაგალითი.**

**დავით ნინიძე,**
**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დირექტორი, საქართველოს სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 33, 38, 39.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 41, კვირა, 20 თებერვალი, 2005 წელი.

ჩვენი ყოფა

# და, მაინც იმედი...

**აგერ უკვე ორი წელია, გაბაშვილისა და ყაზბეგის გამზირის გადაკვეთაზე, შუქნიშანთან შეჩერებულ ავტომანქანებს შორის ჩქარი ნაბიჯებით მოფუსფუსე, საშუალო ტანის, შუახნის ჩაფსკვნილ მამაკაცს ვხედავ ყოველდღე. ხელში წარწერიანი ფირნიში უჭირავს და მძღოლებს (განსაკუთრებით უცხოური მარკის მფლობელებს) ცხვირწინ უფრიალებს.**

**მე, რადგანაც ამ ადგილას გავლა, ძირითადად სამარშრუტო ტაქსით მიწევს, რომელსაც იგი არ ეკარება, წარწერის წაკითხვა ვერ მოვახერხე. თუმცა რად უნდა კვლევა — მოწყალებას თხოულობს (ბოლოს მაინც ამოვიკითხე: „დაეხმარეთ ყრუ-მუნჯს“).**

იგი ყოველნაირ ამინდში, ზამთარზაფხულ ტრიალებს ამ ტერიტორიაზე. მის ახლომახლო სხვა მათხოვარს ვერ შენიშნავ, ეტყობა, არავის აჩერებს თავის „საბრძანებელში“.

გავიკითხ-გამოვიკითხე, მაინც რამდენს შოულობს დღეში-მეთქი. ასე ათთხუთმეტ ლარსო. ხოოო! რატომ წავა ეს ჯანით სავსე კაცი მუშად ბაზრობაზე, სარდაფში ან სხვა მძიმე სამუშაოზე?

თუმცა რაღა ამ მამაკაცს ჩავაცივდი. ქალაქი სავსეა მათხოვრებით — ბავშვიდან დაწყებული, მოხუცებულებამდე.

მათხოვრების თემა არახალია, არც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, არც სხვა გამოცემებსა და ტელევიზიაში. მაგრამ რა! მოვიშველიებ გაცვეთილ ფრაზებს: „წერე და იკითხე“, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის!“

გამიგონია. ერთხელ თურმე, შექეიფიანებული გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი ქუჩას მიუყვებოდნენ. გზაზე, ერთი მათხოვარი მომაბეზრებლად ატორლიალებიათ, აღარ მოშვებია პოეტებს: დამეხმარეთო!

მეგობრებს ერთხანს ყურადღება არ მიუქცევით გლახასთვის. მერე გიორგი შეჩერებულა და მიულექსია: „მე რა მაქვს და შენ რა მოგცე! მიდი ხელი გაანძრიე“... და ა. შ. და ა. შ.

აღარ ვიცი, ისმინა თუ არა მათხოვარმა შემდგომში პოეტის რჩევა, მაგრამ იმავე წამს რომ ჩამოშორდებოდა მათ, ეს ნაღდია.

ნახეთ? მათხოვრები ადრეც ყოფილან, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, წარმოუდგენელია!

რა ვქნათ, რა ვურჩიოთ ზოგიერთ ამ გზით ფულის მშოვნელთ, არც თუ დაძაბუნებულ და ვითომ „ინვალიდ“ მათხოვრებს? „ხელი გაანძრიონ?“ იქნებ სულაც არ გავიმეტოთ მათთვის არც ერთი თეთრი — იქნებ ჭკუას მოეგონ და შესაძლებელ საქმეს მოეკიდონ.

მაგრამ ხომ არიან ჭეშმარიტად გაუბედურებული, შიმშილით გასავათებული ხელგამოწვდილები, რომლებიც შეწეული თეთრებით იბრუნებენ სულს, სიცოცხლეს ინარჩუნებენ. ვაი, ასეთ სიცოცხლეს!

განა ცოტაა სხვა პრობლემა. უშუქობამ ხომ გააწამა მთელი საქართველო. ამ რამდენიმე დღის წინათ კი შეგვძრა ცნობამ — ხუთი დღე წყალი არ იქნება ქუთაისშიო. კი, დაირაზმა მთელი ქვეყანა, პრეზიდენტმა საგანგებო სხდომაც მოიწვია. დღეს გამოსწორებულია მდგომარეობა, მაგრამ რატომ უნდა მისულიყო საქმე უკიდურესობამდე. ესაოისაო, ის გაფუჭდა, ეს გაფუჭდაო. უშუქობით ადამიანი არ მოკვდება, გამოსავალს მონახავს. წყალს კი რა შეცვლის? უწყლობით კაცი შეიძლება დაიღუპოს, ისევე როგორც ერთ ყლუპს შეუძლია გადაარჩინოს პიროვნება. „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი!“




...კიდევ ახალი პრობლემა გაჩნდა — ფასების ზრდა ყველგან, ყველაფერზე.

ერთმა მადლიანმა, ჭკვიანმა კარდიოლოგმა წამალი დამინიშნა, უკვე რამდენიმე წელია ვიღებ (ხანდახან, რომ ამიკრძალა, იმასაც ვაყოლებ!). ამ ორიოდე დღის წინათ დამიმთავრდა, მივაკითხე ერთ აფთიაქს — არა გვაქვს ბატონოო, მეორეს მიაკითხეთო (მე შენ გეტყვი, რესტორნებსა და კაფე-ბარების არ იყოს, საძებნელია?). მერე ერთ-ერთ უხვსაქონლიან და ხალხმრავალ აფთიაქში შევედი — რასაც ვიხდიდი, ერთი კვირის წინათ, მასზე სამი ლარით (!) მეტი გადამახდევინა.

— ხომ არ გეშლებათ გოგონა-მეთქი, — შევბედე, სათვალეებიან, კოხტა გამყიდველს.

— არა ბატონოო... — მოკლედ მომიჭრა და ჩემ გვერდით მდგომ ასაკოვან ქალბატონს მიუბრუნდა — თქვენ რა გნებავთო?

არ დავლოდებივარ, გამოვედი, მაგრამ ძალზე მეეჭვება, რომ იმ ქალბატონს მისთვის საჭირო მედიკამენტის ფასზე შეწვდომოდეს ხელი.

ეგრეთ წოდებული „ხელოვნური დეფიციტის“ სისტემა ხომ არ მოქმედებს, როგორც ვარაუდობენ და ამტკიცებენ? — ასეა!

...უნდა გვქონდეს ხვალინდელი დღის იმედი? უნდა გვქონდეს, რადგან იმედი ბოლოს კვდება.

**გურამ გომართელი.**

მუსიკა

# მაყვალა ხორბალაძე: «ყველა ტკივილს სიმღერა მიამებს»

**ამას წინათ, ერთ-ერთი ახლობლის ოჯახში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, კომპოზიტორი მაყვალა ხორბალაძე გავიცანი. იგი თურმე მრავალი ჩვენთვის საყვარელი სიმღერის ავტორია, რომლის შემოქმედებას, სამწუხაროდ, ქართველი მსმენელი და მუსიკალური საზოგადოება ნაკლებად იცნობს.**

**დღეს, მართალია, მთელი საქართველო „ამღერებულია“, მაგრამ ვინ რას მღერის, გაუგებარია. მაყვალა ხორბალაძის სიმღერები კი ერთხელაც რომ მოისმინოთ, დარწმუნდებით, იგი უდავოდ ნიჭიერი და გემოვნებიანი მუსიკოსია.**

**საუბარი ძალდაუტანებლად აეწყო...**

საშუალო სკოლა გორში დაუმთავრებია. 1972 წელს კი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სრული კურსიც წარჩინებით დაუსრულებია. მაშინ, — ამბობს იგი, — ჩვენს ოჯახს არ ულხინდა და, ხშირად, რა დასამალია, ბოთლებს ვაბარებდი, მშობლების გამოგზავნილ ფულსაც ვაგროვებდი და მხოლოდ იმისთვის ვიმეტებდი, რომ „აბესალომ და ეთერის“, „დაისის“ და სხვა ცნობილი ნაწარმოებების ფირფიტები და ნოტები შემეძინა. ახალგაზრდობიდან ვწერდი სიმღერებს. ერთხელ, ცნობილ კომპოზიტორს რუსუდან სებისკვერაძეს მოვასმენინე ჩემი სიმღერები. გაოცებულმა მითხრა, — მედეა ძიძიგურის ხმას მოუხდებაო. მართლაც, პოეტ ჯემალ ჩახავას და ილო ჟორდანიას ლექსებზე დაწერილი სიმღერები „წვიმიანი დღე“ და კიდევ სხვა, მედიკო ძიძიგურმა არაჩვეულებრივად შეასრულა. მისი თაოსნობით, თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩემი საღამო უნდა გამართულიყო, თუმცა ეს ვეღარ მოხერხდა. შემდეგ კი კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია დაინტერესდა — მახსოვს სიამოვნებით ისმენდა ჩემს სიმღერებს. ძალიან ბევრი ჩემი სიმღერა „სიყვარულის ღიღინი“, მზია ხეთაგურის ტექსტზე დაწერილი „მიყვარხარ“, „წუთს არ დანებდე“, „წვიმს“, „ქრისტე აღსდგა!“, რომელიც საქართველოს პატრიარქს მიეძღვნა, ცნობილმა მომღერლებმა თამრიკო ჭოხონელიძემ, ირმა სოხაძემ, დარეჯან გურასაშვილმა, ნანული აბესაძემ და ინგა ბერაძემ შეასრულეს. მორის ფოცხიშვილისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსებზე შექმნილი სიმღერებიც გაჟღერდა ესტრადაზე, თუმცა მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, მათ ჩვენი ახალგაზრდობა არ იცნობს. ჩემს პირველ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გორის სამუსიკო სკოლის დირექტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, აწ განსვენებულ ნიკოლოზ ბახტაძეს, რომელმაც შესანიშნავი თაობები აღზარდა, აგრეთვე კომპოზიტორ ვანო ბურდულს, ყველაზე მეტად კი მშობლების შემდეგ მაინც ჩემი მეუღლე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ლაშქარაშვილი მიწყობდა ხელს. იგი სულ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, რამაც ჩემი შემოქმედებითი გზა საგრძნობლად შეაფერხა.



***— რა არის თქვენთვის სიმღერა?***

— სიმღერა გრძნობების ზღვაა, — ის ყველა ტკივილს მიამებს. ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით უფრო გამომსახველი, მისაწვდომი და ყველასთვის გასაგებია. სიმღერის ბედი დამოკიდებულია მომღერალზე, იმაზე, თუ ვინ როგორ იმღერებს. მომღერალი არა მარტო შუამავალია კომპოზიტორსა და მსმენელს შორის, არამედ ახლად ბადებს სიმღერას, რაც მისგან მაღალ საშემსრულებლო ტექნიკას მოითხოვს. სიმღერამ წლების გამოცდას უნდა გაუძლოს. ხალხის მეხსიერებას კარგი, მელოდიური სიმღერა ყოველთვის შემორჩება, თუ ერთი სიმღერაც კი გულით შეიყვარა მსმენელმა, მაშინ შემოქმედის ცხოვრებას ფუჭად არ ჩაუვლია.

***— ქალბატონო მაყვალა, თქვენ პროფესიაში პრობლემები თუ გექმნებათ?***

— ნამდვილად არა მაქვს იმის ფინანსური საშუალება, რომ სიმღერების კრებული გამოვცე, მომღერლები ჩავწერო, კლიპების გადაღებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემს ქალაქში ყველა მიცნობს. ჩემთვის ესეც კი დიდი გამარჯვებაა, რადგან გორი მართლაც დიდი კულტურისა და ტრადიციების ქალაქია.

თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ბარბარობის დღეს, გორის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების კონცერტი იყო დაგეგმილი — კონცერტმეისტერი მე ვიყავი, რუსთაველის პროსპექტზე მოულოდნელად შეუძლოდ გავხდი, ეტყობა ვღელავდი, სცენაზე შესვლისთანავე მღელვარებამ გამიარა. იმის თქმა მინდა, რომ უსცენოდ ვერ ვძლებ. სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი ფულთან არის დაკავშირებული და ეს პრობლემა ბევრ ხელოვანს უშლის ხელს საკუთარი ნიჭის გამომჟღავნებაში.

***— დღეს ესტრადაზე ძალიან ბევრი ახალი სახეა, მაგრამ ქართული ეროვნული ტრადიციებით შესრულებული სიმღერები თითქოსდა გაქრა...***

— სამწუხაროდ, საქართველოს ტელე-რადიოგადაცემები ხელს უწყობენ უმელოდიო, უაზრო, მდარე ხარისხის სიმღერების პოპულარობას. უამრავი არაპროფესიონალური სიმღერა და შემსრულებელია. იქნებ, იმიტომ, რომ ნამდვილი ქართული სიმღერის შემფასებელნი ნაკლებად არიან? დღევანდელ საესტრადო სიმღერებში დამახინჯებულია ქართული ინტონაცია და სიტყვა, არ იგრძნობა მუსიკალური მახვილის თანხვედრა სიტყვიერ მახვილთან. ეს უარყოფითად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე და გემოვნების ჩამოყალიბებაზე. თანაც, დგება ქართული სიმღერის ეროვნული ფესვებიდან სრული დაშორების საშიშროება. თუ კარგად არ დაძაბე სმენა, ხშირად ვერც კი იგებ, თუ რა ენაზე მღერის მომღერალი. მოზღვავებული ინგლისურ-ამერიკული მანერით ქართული სიმღერის შესრულება კი საერთოდ დამღუპველია. საგანგაშოდ მიმაჩნია, რომ იწერება ერთჯერადი, დღემოკლე, საესტრადო სიმღერები, მაგალითად: „მოდი, გაიხადე კაბა, გავაკეთოთ რამე“, „ვაშლის გამყიდველო, მიწა დასაყრელო“, „შენ აფრენ“, „ფული, ფული, ბევრი ფული“, „სექსბომბ“, „რა სექსი ხარ“ და სხვა.

ჩვენი ვალია ქართველი ხალხის უნიკალური მემკვიდრეობა დავიცვათ, სწორად ვაზიაროთ მასთან ახალგაზრდობა და მაშინ მუსიკის სამყაროში მეტი ჰარმონია დამყარდება.

**ნანა სულავა.**

პოეზია უპირველეს ყოვლისა



თენგიზ სვანიძე

## უფალზე დიდი რა უნდა გწამდეს!

მაღონა ცუცქირიძეს

შენსავით სათნოს დავემებ სათქმელს,
რაც უთქმელადაც უნდა გამიგო...
ამქვეყნად ბევრი რაიმე დათმე,
ღვთისკენ სავალი გზა რომ გაიგნო.
მიწას შორდები და შეღამების
ცა ინისლება ღვთიურ წამების...
სიცოცხლეს ჰქვია გვემა-წამება,
ვითარცა ჯვარცმა წმინდა სამების.
სულ ერთი წამის ბედნიერება
ნატვრად ქცევია, ვინ იცის, რამდენს...
ღმერთი რომ არა, რა გეშველება,
უფალზე დიდი რა უნდა გწამდეს?!
მენიშნა: წუხელ სიზმრებს ხედავდი
და სირინოზნი გისხდნენ საწოლთან,
როგორც ყოველთვის, ანგელოზს ჰგავდი,
გარეთ დეკემბრის ქარი დაძრწოდა.
სიცოცხლის არეს ვერ გადაბინდავს
ცრემლით ნაქსოვი დღეთა ლანდები:
ყველა მოვდივართ გლოვის წამიდან
და ღვთის ნათელში ვუჩინარდებით.

* * *

ცა, სიმღერებით მოვლილი,
უკვე აღარა ხმიანობს...
რა უმწეო და ცოდვილი
ყოფილხარ, ადამიანო!
წვიმდა და წვიმდა წუხელი,
გული იჯერეს ქარებმაც...
ქვეყნად რამდენი წუხილი
ბრმასავით დაიარება.
გუშინ ერთი მმა დავკარგეთ,
ხვალ ნეტავ ვისი რიგია?..
ცხოვრება, თავის ავ-კარგით,
წასაკითხავი წიგნია!
შეხმიხარ ლოდს საჯილდაოს,
ვინც იცის მარღვი სად გაწვდეს?..
ღმერთთან ბევრიც რომ იდაო,
თოვლს ვერ იხილავ შარშანდელს.
კაცი მონაა უფლისა,
მარადჟამს მისი მხმობელი...
ცრემლი განძია სულისა
და კაცის ამომცნობელი!
ცეცხლი ვის დაუმალია,
სად არის დარდის სათავე?!
სიტყვა სეტყვა და ქარია,
გონება — მისი სადავე!
ტყვიას ნასროლსა ვითარცა,
სიტყვასაც უყვარს ბრუნება...
არ განათდები, ვითა ცა,
თუ არ სწადია ბუნებას!
მისხლობით აგიწონიან
გულს ნაღდითა და ფარშივით...
(ბუხარი ყალიონია,
კვამლი — ცა-მიწის კავშირი!)
ქვეყნიერებას რა მართავს,
წუთი რად მოდგა გოდების?..
სული, თუკი არ განათდა,
სიცოცხლეშივე მოკვდების!

## აღარ ვიცი

ვარაუდი არ გამართლდა, —
ცრემლებს მალავს გზები ფართო,
ჩვენ გვგონია მივყვებართ და
ეს ცხოვრება მიდის მარტო.
იყო კაცი, იყო ქალი,
იყო ბავშვი, აღარ არი...
მიწისთვის ვართ ნეშომპალა,
საწუთროსთვის — სიზმარ-ქარი.
ამიტომაც მეტად გვმართებს
გაფრთხილება ერთმანეთის,
ვერ დაანთებ ისე სანთელს,
თუ არ არის შენში ღმერთი!
მიქრის, მიქრის წლები — რაში,
დრო არ არის სულაც სანდო,
თუკი სამოთხეა ცაში,
უკეთესი რა ვინატრო!

წარდგენა

# „ჩემი საქართველო“ ყველასთვის

**ამ დღეებში კინოთეატრ რუსთაველში მდებარე საბავშვო მაღაზია „ყირამალაში“ ახალი გამოცემის „ჩემი საქართველოს“ წარდგენა გაიმართა, რომელსაც ისტორიკოსები, მწერლები, პოლიტოლოგები და, რა თქმა უნდა, მთავარი მკითხველები, ამავდროულად უმკაცრესი შემფასებლები — მოსწავლეები დაესწრნენ.**

უმკაცრესი შემფასებელი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ 9-10 წლის ასაკის ბავშვისთვის, რაოდენ საინტერესოც არ უნდა იყოს წიგნი, ილუსტრაციის გარეშე, უფოტოებოდ მისი წაკითხვა რთულია, ამას სოციოლოგიური გამოკითხვაც ადასტურებს. თუმცა წიგნის „ჩემი საქართველოს“ მკითხველი ამ პრობლემის წინაშე ნამდვილად არ აღმოჩნდება, რადგან მისი გადაშლისთანავე უმალ თვალს მოგჭრით არაჩვეულებრივ ფოტოებსა და ილუსტრაციებში გაცოცხლებული ჩვენი ისტორია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო უდიდესი და უძველესი კულტურის, ტრადიციების ქვეყანაა.

პროექტის ავტორი გამომცემლობა „ელფის“ დირექტორი თინათინ დიდებულიძეა, წიგნის გამოცემაც სწორედ მან უზრუნველყო, მისი ტირაჟი 2000-ია, ფასი კი 20 ლარს შეადგენს, თუმცა წარდგენაზე გამომცემლობა „ელფის“ მიერ გამოცემული წიგნები 20-პროცენტიანი ფასდაკლებით გაიყიდა. როგორც „ელფის“ დირექტორი თინათინ დიდებულიძე აცხადებს, საგამომცემლო საქმე მისი გატაცებაა, იგი ბოლომდე იხარჯება, რომ ბავშვებს ხარისხიანი, ყოველმხრივ უზრუნველყოფილი წიგნები მიაწოდოს, რასაც ამ გამომცემლობის არაერთი გამოცემაც ადასტურებს: „ჩემი პირველი სქელი წიგნი“, „ჩემი პირველი ლექსიკონი“ და სხვა. მნიშვნელოვანი გამოცემაა „საქართველოს საბავშვო ატლასი“, რომლის მეშვეობით ბავშვები მოგზაურობენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ეცნობიან მის ფლორასა და ფაუნას, კულტურულ ტრადიციებს, ჩაცმულობას, ისტორიულ ძეგლებს... იგებენ, რა სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება ჩვენში, რითი გამოირჩევა ესა თუ ის მხარე და ა. შ. ხოლო რაც შეეხება „ელფის“ ახალ გამოცემას „ჩემი საქართველო“, როგორც წიგნის ავტორი, ისტორიკოსი ლამარა შენგელია აღნიშნავს, ის სამაგიდოა მთელი საქართველოსთვის: — ვეცადე, რომ გადმომეცა გაბმული თხრობა ერის იმ მრავალსაუკუნოვანი არსებობის, თავგანწირული ბრძოლისა, რომლის მეოხებით ქართველებმა შეძლეს შეექმნათ და შეენარჩუნებინათ ორიგინალური, მრავალმხრივ გამორჩეული კულტურა. ეს წიგნი საქართველოს სიყვარულმა დამაწერინა და თუ ამ განცდას მკითხველიც შეიგრძნობს, ბედნიერი ვიქნები. — ამბობს ქალბატონი ლამარა და მკითხველს კიდევ არაერთ სიახლეს ჰპირდება, შემდეგი წიგნი — „ძველი ქართველები“ იქნება.



წიგნის „ჩემი საქართველო“ რედაქტორი იულონ გაგოშიძეა, რედაქტირება ციალა თავაძეს ეკუთვნის, გამოცემა ფოტოებით ჯავარ ლომაძემ, ილუსტრაციებით კი დავით ხახუტაშვილმა და დავით ერისთავმა გაამდიდრეს. წიგნზე მუშაობისას ავტორებს დახმარება გაუწია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო ისტორიის მუზეუმმა და შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმმა.

ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილის შეფასებით, წიგნი გაფორმებულია საერთაშორისო სტანდარტებით, მასში ყოვლისმომცველი მასალებია იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებზე, რომლის ანალოგიც, როგორც თავად მიიჩნევს, არ არსებობს.

ისტორიკოსი გურამ გასიტაშვილი მიიჩნევს, რომ საყმაწვილო წიგნი, რომელსაც 70 წლის ხალხიც სიამოვნებით წაიკითხავს, დღემდე არ გამოცემულა.

2004 წლის ყველაზე ჭკვიანმა ბავშვმა თორნიკე ჭუმბურიძემ პროექტი მოიწონა და აღნიშნა: — მისასალმებელია, რომ პროექტი საქართველოს ისტორიის შესახებ ასეთ მაღალპოლიგრაფიულ დონეზე კეთდება, ვფიქრობ, ეს საინტერესოა ყველა ასაკის მკითხველისთვის, წიგნის საშუალებით გაიგებენ ბევრ საინტერესოს საქართველოს შესახებ, რადგან ნებისმიერი ქართველის ვალია, იცოდეს საქართველოს ისტორია.

შეხვედრის დასასრულ გამომცემლობა „ელფის“ ხელმძღვანელობამ დამსწრე მოსწავლე-ახალგაზრდები სხვადასხვა გასაფერადებლებით და ჟურნალებით დაასაჩუქრეს.

**ლელა ხვადაგიანი.**

სევდა

# სხვანაირი მარტოობა

დიდ ქალაქს სუსხის ტალღებმა უკვე კარგა ხანია შემოუტია. — ეჰ, დაიწყო, — აღმოხდა საქმით კი არა, უსაქმურობით გადაღლილ კაცს და ქუდი ჩამოიფხატა... ელოდოს უნდა, იჯდეს, თუ შეშა იშოვა, ხომ კარგი, თუ არა და, საბანი და „მისი ჯანი“...

ხის მოჭრა არ შეიძლებაო (არ შეიძლება თორემ, მე შენ გეტყვი, დარჩენილია მოსაჭრელი), იცის, რომ არ შეიძლება, მაგრამ, აბა, რა ჯანდაბა უნდა ქნას, ძვალსა და რბილს რომ უყინავს ეს უღმერთო სიცივე. მერედა, ხალხიც როგორ გაღორდა (უკაცრავად), გაუცხოვდა, როგორც კი შეგეტყობა ჯან-ღონის გამოლევა, აღარავის მოუნდები, ყველას თავისი გასჭირვებია...

ბევრჯერ უფიქრია სოფელზე, ახლა კი ყველაზე მეტად მოუნდა იქ ყოფნა. ერთი პატარა სახლი, ეზო, ბუხარი მთელი სიცოცხლეა. რა ჯობია ცეცხლწაკიდებული კუნძის ტკაცანის ხმაზე ფანჯარასთან ყოფნას და შორს, უკიდეგანო სიშორეში ყურებას...

ახია მასზე, რამდენიმე წლის წინათ სოფელს ვინ უხსენებდა, ქალაქი უნდოდა... აი, დაკარგა ყველაფერი — სამსახური, საარსებო წყარო, ერთი ოთახნახევრიანი ბინა შერჩა და მგონი იმასაც ედავებიან, — რაღაც ფირმის გახსნა გვინდაო.

როგორ მოუბრუნდა ხელი და გაყიდა სახლი სოფელში, მამაპაპური სახლი. როგორ არ გაუყინა მაშინ ღმერთმა სისხლი, როგორ არ გააშეშა, რომ მიმხვდარიყო, რა სისულელესაც აკეთებდა.

არა, გაბრუნდება უკან, მაგრამ ვისთან? ვის უნდა ახლა იგი? ყველას თავისი გასჭირვებია. სათრევად თვითონ ეზიზღება არაფრის გამკეთებელი საკუთარი სხეული და სხვას რად უნდა...



ზამთარი კი წასვლას არ აპირებს, ასეთი ყინვები დეკემბერიანვარშიც არ ყოფილა. იქნებ ამიტომაც ყველაზე მეტად გრძნობს მარტოობას და ღირსიცაა... კაცი რომ დედის საფლავს მიატოვებს, უარესიც ეკუთვნის...

ქალაქი წარბს არ იხრის, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდია ერთი ქართველი კაცი თავისი მარტოობით, უშეშობითა და უსახსრობით. ჩვეული რიტმით აგრძელებს ცხოვრებას და ვერაფერ სახეიროს ჰპირდება რიგით ქართველს, რომელიც შეიძლება იძულებამ სოფლის გზას გაუყენოს, რადგან მისი ადგილი ამ დიდ ქალაქში არ აღმოჩნდა.

**სოფო ასათიანი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შეღავათები ეკუთვნის რაიონში, სოფელში მცხოვრებ I ჯგუფის ინვალიდს, რომელსაც არ ჰყავს მეუღლე და იღებს პენსიას თვეში 18 ლარის ოდენობით?**

**მამია კოტრიკაძე.**

— უპირველესად, გაცნობებთ, რომ თქვენს შეკითხვაში ნაგულისხმევ პენსიონერს ახალი წლიდან პენსია ეკუთვნის თვეში 28 ლარის ოდენობით.

აქვე განგიმარტავთ, რომ შეღავათები კომუნალური გადასახადების გადახდის დროს რაიონში მცხოვრები I ჯგუფის ინვალიდი პენსიონერებისთვის, სამწუხაროდ, კანონით არ არის დაწესებული.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, საქართველოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტშვილიან ოჯახებზე 300 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა რომელი წლიდან მოქმედებს და რატომ არ ვრცელდება იგი რაიონში?**

**თამარ დევიძე.**

— გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებს, შვილის შეძენისას ეძლევათ ერთდროული ფულადი დახმარება და მე-3 და შემდეგ შვილზე ენიშნებათ ყოველთვიური დახმარება, თითოეულ ბავშვზე თვეში 5 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნული დახმარებების დაფინანსება ხდება თბილისის ბიუჯეტიდან და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მისი გავრცელება, სამწუხაროდ, კანონით არ არის გათვალისწინებული.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.**

◉ კონტაქტები

# „ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“

**ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემისათვის. საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, კიბოს პრობლემა ძალზე აქტუალურია როგორც სამედიცინო, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც. დღევანდელი სტატისტიკით მსოფლიოში ონკოლოგიური დაავადებები გაცილებით მეტია, ვიდრე ერთად აღებული ტუბერკულოზი, შიდსი და მალარია. ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად კიბოთი დაავადების 4500-5400 შემთხვევა ვლინდება, ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულთა რაოდენობა კი დღეისათვის 26500-მდეა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ დაავადებებს ჩვენთან საკმაოდ ეფექტიანად მკურნალობენ.**

**საქართველოში, ონკოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერას. ეს განსაკუთრებით ეხება ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს — სხივურ თერაპიას (რადიოთერაპია), რომლის რეაბილიტაციაც დღეისათვის ძალზე აქტუალური საკითხია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA, ვენა, ავსტრია) მიერ საქართველოს ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის რადიოთერაპიული სამსახურის განვითარებაში შეტანილი წვლილი.**

**ამ სააგენტოსთან ონკოცენტრის სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი, ონკოცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ გაგუა და ამავე ცენტრის რადიოთერაპიული სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალექსანდრე ჩიკვაშვილი მიწვეული იყვნენ ქალაქ ვენაში (ავსტრია) აღნიშნული სააგენტოს მიერ 30 იანვრიდან 3 თებერვლამდე ორგანიზებულ შეხვედრაზე, რომლის თემა იყო „ტექნიკური თანამშრომლობის წევრ ქვეყნებში კიბოს მკურნალობის საკითხების კოორდინაცია და დაგეგმვა“. ამასთან, და აგრეთვე კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირში ონკოცენტრის გაწევრიანებასთან დაკავშირებით ვეწვიეთ ონკოცენტრის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ რევაზ გაგუას, რომელთანაც ინტერვიუს ქვემოთ გთავაზობთ.**



**— ბატონო რევაზ, სანამ ვენაში გამართულ შეხვედრაზე ვისაუბრებდეთ, გთხოვთ მოგვითხროთ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან ონკოცენტრის თანამშრომლობის თაობაზე.**

— სააგენტოსთან ონკოცენტრის თანამშრომლობა 1997 წელს დაიწყო. ამ გზის პირველმკვალავი იყო ცნობილი რადიოლოგი, პროფესორი რევაზ ვეფხვაძე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 1997-2001 წლებში დაახლოებით 1,3 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების რამდენიმე პროექტი განხორციელდა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა არა მარტო რადიოთერაპიული სამსახურის შენარჩუნება, არამედ მისი თვისობრივად ახალ დონეზე გამართვა. კერძოდ, ამაღლდა დოზიმეტრიული სამსახურის მუშაობის ხარისხი, გაუმჯობესდა დაგეგმარების სისტემა; მოეწყო ონკოცენტრის რადიოთერაპევტთა წვრთნა-შეკრება ევროპის წამყვან კლინიკებში; სარეკომენდაციო მისიით ონკოცენტრს ხშირად სტუმრობდნენ სააგენტოს ექსპერტები, სააგენტოს დახმარებით სხივური თერაპიის 2 ახალი აპარატი გადაეცა ბათუმისა და ქუთაისის ონკოცენტრებს.

აღნიშნულ პროექტთა მიხედვით, დაგეგმილი იყო აგრეთვე, ჩვენი ცენტრისთვის სხივური თერაპიის ახალი აპარატის მოწოდება და სხვა სახის დახმარება, რაც ვერ განხორციელდა ქვეყანაში იმ ხანად არსებული ფინანსური პრობლემების, იმ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რაც საქართველოს მხარეს ეკისრებოდა.

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ეს საკითხი მკვეთრად გამოსწორდა. გადახდილია სააგენტოს საწევროს რამდენიმე წლის ვალი, რომელიც მნიშვნელოვნად აფერხებდა სააგენტოსთან ჩვენს ურთიერთობას. მისასალმებელია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაწყდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემა, რაც ქვეყანაში რადიაციული ნარჩენების სამარხის არსებობის აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული; საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ონკოცენტრის რადიოთერაპიულ სექტორში შესრულდა სარემონტო სამუშაოები, რომელთა აუცილებლობასაც სააგენტო შემდგომი თანამშრომლობის წინაპირობად მოითხოვდა; საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, რადიოთერაპიულ სამსახურში, აგრეთვე, განხორციელდა რიგი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, სააგენტომ კვლავ განაახლა ურთიერთობა ონკოცენტრთან, უფრო მეტიც, იგი მიიჩნია იმ დაწესებულებად საქართველოში, რომელიც უნდა იქცეს ევროპული სტანდარტების დონის „კომპეტენტურ ცენტრად“ რადიოთერაპიის დარგში, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა აკადემიკოს **ფრიდონ თოდუას** რეკომენდაციებმა.

**— რით იყო საინტერესო ვენის შეხვედრა?**

ამ შეხვედრის ორგანიზატორი სააგენტოსთან ერთად იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო). მასში მონაწილეობდნენ ევროპის 27 ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრები და იმ ონკოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომელთანაც სააგენტო თანამშრომლობს.

ბატონი ლადო ჭიპაშვილის ვიზიტი სააგენტოს მათმა ხელმძღვანელობამ აღიქვა როგორც ჩვენი ქვეყნის მთავრობის გარანტია და მზადყოფნა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეხვედრაზე მოხსენებით გამოსვლისა და დისკუსიებში მონაწილეობის გარდა, მინისტრს მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა სააგენტოს ხელმძღვანელებთან ქალბატონ ანა მარია ჩეტოსა და ბატონ მასუდ სამიეისთან. ამ შეხვედრებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა სააგენტოს კეთილი განწყობა ონკოცენტრის მიმართ და დამტკიცდა ტექნიკური თანამშრომლობის ორი პროექტი (1,28 მილიონი ამერიკული დოლარის დაფინანსებით). ერთი მათგანი ონკოცენტრის რადიოთერაპიული სექტორის დოზიმეტრიული სამსახურის რეაბილიტაციის დასრულებას გულისხმობს, ხოლო მეორე პროექტის ფარგლებში — დაწესებულებას მიეწოდება სხივური თერაპიის ახალი, თანამედროვე აპარატი და სხივური დაგეგმარების აპარატურა. უნდა აღინიშნოს, რომ სხივური თერაპიის სწორი დაგეგმარება, ამ მეთოდის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ამიტომაც ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ონკოცენტრი თანამედროვე სხივური დაგეგმარების აპარატურას მიიღებს. ასევე განხორციელდება სამედიცინო პერსონალის ხანგრძლივი და მოკლევადიანი წრთვნა-შეკრებები და სხვ. ამ პროექტების გარდა, დაისახა, აგრეთვე, სამომავლო გეგმები, რადიოთერაპიული სამსახურის სრული რეაბილიტაციისთვის. ამ რამდენიმე წლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ონკოცენტრის რადიოთერაპიული სამსახური ჩამოყალიბდება ევროპული სტანდარტების მქონე განყოფილებად, რაც უდავოდ გაზრდის საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის ეფექტიანობას და საქართველოდან უცხოეთში სამკურნალოდ წასვლა აღარ მოუწევთ ონკოლოგიურ ავადმყოფებს.

**— რა ადგილი უჭირავს სხივურ თერაპიას ონკოლოგიაში?**

— ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობაში ამჟამად სამი ძირითადი მეთოდი გამოიყენება. ეს არის ქირურგიული, მედიკამენტოზური (ქიმიოთერაპია) და სხივური თერაპია (რადიოთერაპია). გარდა ამისა, ფეხს იკიდებს იმუნოთერაპიაც, რომელიც მიმართულია ორგანიზმის იმუნური ძალების გააქტიურებისკენ.

რაც შეეხება რადიო, ანუ სხივურ თერაპიას, ის გამოიყენება რიგი დაავადებების დროს, როგორც მკურნალობის ერთადერთი მეთოდი, და საერთოდ, მისი გამოყენების მაჩვენებელი 40 პროცენტს აჭარბებს ონკოლოგიურ ავადმყოფებში.

სხივური თერაპიის აპარატების სიმცირის გამო, რადიოლოგები, რომელთა სამუშაო საათები შეზღუდული უნდა იყოს, იძულებულნი არიან ორ ცვლაში იმუშაონ, რაც სანიტარიული თვალსაზრისით მიუღებელია. იქმნება სხვა უხერხულობაც, პაციენტებს ხანგრძლივად უწევთ რიგში დგომა. ახალი აპარატების მიღების შემდეგ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ვითარება, ხოლო ახალი პროექტების განხორციელების შემთხვევაში, რაც ამ სამსახურის სრულ რეაბილიტაციას გულისხმობს, ანუ ახალი ხაზოვანი ამაჩქარებლის მიღებას 2007 წლისთვის, პრობლემა საერთოდ მოიხსნება.

აქვე მინდა აღვნიშნო ემორის უნივერსიტეტის პროფესორისა და საქართველოს დიდი მეგობრის, პროფესორ კენ უოკერის ინიციატივის შესახებ, რაც ონკოცენტრის სხივური თერაპიის რეაბილიტაციას გულისხმობს ჩრდილოეთ ამერიკის რადიოთერაპიის ასოციაციასთან კავშირების დამყარებით შესაბამისი გრანტის მოძიების მიზნით.

**— ბატონო რევაზ, შევიტყვეთ, რომ ონკოცენტრი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირში გაწევრიანდა. გილოცავთ ამ აღიარებას. გთხოვთ მოკლედ გვიამბოთ ამ ორგანიზაციის შესახებ.**

— გმადლობთ. კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კავშირი (UICC ჟენევა, შვეიცარია) 1933 წელს დაარსდა ონკოლოგიის დარგში მოღვაწე იმ ლიდერი მეცნიერების თაოსნობით, რომელნიც აუცილებლად თვლიდნენ ონკოლოგიის დარგში ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლას. დროთა განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა ავტორიტეტულ ორგანიზაციად, რომელიც მოიცავს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ყველა მიმართულებას. კავშირში გაერთიანებულია 80 ქვეყნის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის 280 ორგანიზაცია.

UICC -ის ამჟამინდელი პრეზიდენტია ჯონ სეფერინი. 2001 წელს, იმხანად საქართველოს პარლამენტის წევრის — ბატონ ლადო ჭიპაშვილის ინიციატივითა და მოწვევით იგი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში უცხოეთში მოღვაწე ჩვენს თანამემამულე სოსო ესართიასთან ერთად, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა ამ ორგანიზაციის თანამშრომლობას ონკოცენტრთან. ამ თანამშრომლობის შედეგად ამერიკის კიბოს საზოგადოებამ ონკოცენტრს გადასცა 4 მამოგრაფი, რომლებსაც დღეს სრული დატვირთვით ვიყენებთ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანათა შორის, UICC-ის წევრი, დღემდე მხოლოდ რუსეთის ორი და ბალტიისპირეთის ქვეყნების თითო სამედიცინო დაწესებულება იყო. ჩვენთვის UICC-ის წევრობა მხოლოდ წლეულს გახდა შესაძლებელი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ორგანიზაციას „საქართველოს ამერიკელი მეგობრები“ და მის ხელმძღვანელს კონსტანტინე სიდამონ-ერისთავს.

UICC-იდან ცენტრი სისტემატურად მიიღებს თანამედროვე ლიტერატურას ონკოლოგიურ პრობლემებზე და ჩართული იქნება მის ინტერნეტ ქსელში, ონკოცენტრის სპეციალისტებს შეეძლებათ შეღავათიან ფასებში მიიღონ მონაწილეობა კავშირის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო თუ პრაქტიკულ კონფერენციებსა და შეხვედრებში, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტებს მიეცემათ სხვადასხვა წამყვან ონკოლოგიურ ცენტრებში კვალიფიკაციის ამაღლების ან სამეცნიერო საქმიანობის შესაძლებლობა; როგორც სრულუფლებიანი წევრისთვის უფრო ფართოდ იხსნება პერსპექტივები სხვა დონორი ორგანიზაციების გრანტებისა და დახმარებების მისაღებადაც.

ინტერვიუს დასასრულს ბატონ რევაზ გაგუასთან თანამშრომელი შემოვიდა და 22 თებერვალს სააგენტოს ექსპერტების ჩამოსვლასთან დაკავშირებული საკითხები შეუთანხმა. ისინი ონკოცენტრს 22 თებერვალს ეწვევიან, რათა წლეულს, მარტში სააგენტოს ხელმძღვანელების ჩამოსვლამდე „ნიადაგი“ მოამზადონ.

**ბელა დურგლიშვილი.**

**სურათზე: ვლადიმერ ჭიპაშვილი, რევაზ გაგუა და ალექსანდრე ჩიკვაშვილი ვენის შეხვედრაზე.**

◉ საზღვარგარეთ

**ტაილანდს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ორი ექს-პრეზიდენტი — ჯორჯ ბუშ-უფროსი და ბილ კლინტონი. სწორედ ტაილანდიდან დაიწყებენ ისინი მოგზაურობას იმ ოთხ ქვეყანაში, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა გასული წლის დეკემბერში 9-ბალიანი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ცუნამით. დაზარალებულთათვის სახსრების შეგროვების საქმეში ექს-პრეზიდენტებს დახმარება სთხოვა თეთრმა სახლმა.**



* * *

**მოლდავეთის პარლამენტის არჩევნები დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე არ გაიმართება. ეს ხაზგასმულია დნესტრისპირეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხებში ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ გავრცელებულ წერილში. ეს დოკუმენტი გახდა ტირასპოლის ოფიციალური პასუხი დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე საარჩევნო უბნების გახსნის შესახებ მოლდავეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის 4 თებერვლის დადგენილებაზე.**




* * *

**გაეროს იურიდიულმა კომიტეტმა მოიწონა დეკლარაცია კლონირების ყოვლისმომცველი აკრძალვის შესახებ. დოკუმენტის მიღებას მხარი დაუჭირა 71 ქვეყანამ, 35 წინააღმდეგი იყო, 43 დელეგაციამ კი კენჭისყრის დროს თავი შეიკავა. დეკლარაციას არ აქვს სავალდებულო ძალა და ახლა მას განსახილველად წარუდგენენ გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სესიას.**



* * *

**ატომური წყალქვეშა ნავი „ჯიმი კარტერი“ შევა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში. დაუდასტურებელი მონაცემებით, ამ წყალქვეშა ნავს შეეძლება შეუერთდეს ოკეანის ფსკერზე გამავალ კავშირგაბმულობის ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებს და მათი მეშვეობით განახორციელოს სიგნალებისა და ინფორმაციის გადატაცება.**



* * *

**ტერორისტები, რომლებმაც მძევლად აიყვანეს ინდონეზიელი რეპორტიორები, ცდილობენ დაადგინონ ერაყში მათი ვიზიტის მიზანი. ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ გადასცა ერაყელი მოთარეშეების მიერ გადაღებული ვიდეოჩანაწერი. კადრზე აღბეჭდილი ხმა აღნიშნავს, რომ ამჟამად „ადგენენ იმ მიზეზებს, რომელთა გამოც, ინდონეზიელი რეპორტიორები ჩავიდნენ ერაყში“.**



◉ სპორტულ ორბიტაზე

## სულ ზევით, ზევით, მაღლა და მაღლა

**ეს სიტყვები ნამდვილად შეესატყვისება რუსეთელი ჭოკით მხტომელის ელენა ისინბაევას სპორტულ წარმატებებს.**

როგორც რამდენიმე დღის წინათ გაცნობეთ, წინა შაბათს დონეცკში ლეგენდარული სერგეი ბუბკას მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ ტურნირზე („ჭოკის ვარსკვლავები“) ვოლგოგრადელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მორიგი მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზისთვის — 4,87 მეტრი.

კვირაც არ გასულა და ელენამ ერთხელ კიდევ გაახარა გულშემატკივრები. ბირმინგემში, კომერციულ ტურნირზე, თავის მუდმივ მეტოქესთან, სვეტლანა ფეოფანოვასთან ორთაბრძოლაში კიდევ ერთი სარეკორდო სიმაღლე დაიპყრო.

ინგლისურ ტურნირზე ფეოფანოვა 4.70 მეტრით დაკმაყოფილდა. მან მეტოქეობა ვეღარ გაუწია სარეკორდოდ აღზევებულ თანამემამულეს. ელენამ ჯერ 4,79-მეტრიანი სიმაღლე დაძლია, შემდეგ კი თამასის 4,88 მეტრზე დაყენება მოითხოვა. პირველ ცდაზე ხელი მოეცარა, მაგრამ მეორე ცდაზე მან დიდი მარაგით გადალახა სარეკორდო სიმაღლე.

ეს ისინბაევას სპორტულ კარიერაში მე-11 მსოფლიო რეკორდია: პირველი რეკორდი მან 2003 წლის ივლისში დაამყარა.

შეგახსენებთ, რომ ათენში, ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, მან უპრობლემოდ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სტადიონებისთვის — 4,91 მეტრი.

ელენასაგან ახალ „სასწაულს“ აგვისტოში, ჰელსინკის მსოფლიო ჩემპიონატზე ელიან. ის, შეიძლება, ხუთმეტრიანი სიმაღლის დაძლევა იყოს. მისი მწვრთნელის განცხადებით, ისინბაევა ვარჯიშზე უკვე ხტება ამ სიმაღლეზე.



## კარი „მოაჯადოვა“?

**ყოველ შემთხვევაში ამას ამტკიცებს ინგლისური კლუბის „ფულჰემის“ სენეგალელი ფეხბურთელი პაპ ბუბა დიოპი. თანაგუნდელებმა თავად ნახეს, თუ დეკემბერში მათმა ნახევარმცველმა კრეივენ კოტეჯში კლუბის სტადიონზე როგორ მოასხურა კარის ბოძებსა და მინდორს ქურუმის მიერ ნაკურთხი ცხოველთა სისხლის, კეთილსურნელოვანებისა და მიწის ნარევი. მას შემდეგ გუნდი ათი მატჩიდან მხოლოდ ერთში დამარცხდა.**



„ჩემს ქვეყანაში ჯადოსნობა ჩვეულებრივი საქმეა. მე მას მივეჩვიე და მზად ვარ „ფულჰემის“ დასახმარებლად, — განაცხადა ფეხბურთელმა, — რიტუალი მოვაწყე და ის დაგვეხმარა. თუ დაგვჭირდება, კიდევ გავიმეორებ“.

ნამდვილად, „ფულჰემის“ კართან სასწაულები ხდება. თუნდაც რად ღირს ხუან პაბლო ანჰელის ორი პენალტი, რომელიც მეკარე ედვინ ვან დერ სარმა მოიგერია.

სხვათა შორის, ასეთი „ჯადოქრობა“ მოაწყო სენეგალის ნაკრებმაც. დაწყევლეს რა საფრანგეთის ნაკრები, სენეგალელებმა გაიმარჯვეს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩში.

## უმდიდრესი „მანჩესტერ იუნაიტედი“

**ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ კვლავ უმდიდრესი საფეხბურთო კლუბია მსოფლიოში. 2003-2004 წლის სეზონში 171,5 მილიონ გირვანქა (323.8 მილიონი დოლარი) შემოსავალმა საშუალება მისცა კლუბს პლანეტის უმდიდრესი კლუბის სახელი შეენარჩუნებინა ზედიზედ რვა წლის განმავლობაში.**

მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი“ — 156,3 მილიონ დოლარიანი შემოსავლით. მესამე ადგილი უჭირავს „მილანს“ — 147,2 მილიონი დოლარი. ამ სიაში განსაკუთრებით წაიწიეს წინ ლონდონის „ჩელსიმ“ და „ბარსელონამ“. ისინი მომავალ კვირას შეხვდებიან ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. მათ წინ ექვსი საფეხურით წაიწიეს. „ჩელსი“ — 143,7 მილიონი გირვანქით მეოთხე ადგილზეა. ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი „ბარსელონა“ კი მეშვიდეზე (112 მილიონი).

იტალიური „იუვენტუსი“ 142,4 მილიონი გირვანქით მეხუთე ადგილზე ჩამოქვეითდა. „არსენალს“ მეექვსე ადგილი უკავია. (115 მილიონი გირვანქა).

## ვეშაპები „უტევენ“

**სწორედ რომ უზარმაზარ ვეშაპთან მოულოდნელი შეჯახების „მსხვერპლი“ გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყველაზე დიდი იახტა „ტიმ შოშოლოზა“; საიალქნო სპორტში ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრის „ამერიკის თასისათვის“ რომ ემზადებოდა კეიპტაუნის მახლობლად ყურეში.**



როგორც სამხრეთაფრიკული ტელევიზია იტყობინება, იახტის ეკიპაჟის წევრები სერიოზულად დაშავდნენ — შტურმანს ხერხემალი დაუზიანდა, ერთი მეზღვაური ანძიდან გადმოვარდა, მეორე კი წყალში აღმოჩნდა, საბედნიეროდ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ეს პირველი საზღვაო ავარია როდია ვეშაპების მონაწილეობით. მაიკ რეპი — კალიფორნიიდან იოკოჰამაში მარტოდმარტო რომ მიცურავდა, ასევე წყლის ბუმბერაზს გადააწყდა. იგი იძულებული გახდა, შორეული მოგზაურობა შეეწყვიტა. მადლობა ღმერთს, აქაც ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

◉ მშვილდოსნობა

## ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე



**მარტის მიწურულს დანიაში მშვილდოსანთა ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან საქართველოს ჩუბინი ქალები, რომლებიც ევროპაში გამგზავრებამდე ორ შეჯიბრებაში იასპარეზებენ. მომავალ უქმეებზე ბათუმელ და თბილისელ მშვილდოსნებს ცალ-ცალკე გუნდებად ერევანში ნუნე აბრამიანის ხსოვნის მემორიალზე ეპატიჟებიან.**

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 4 მარტს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის საარჩევნო ყრილობა გაიმართება, რომელიც ფედერაციის ახალ პრეზიდენტს აირჩევს, რადგან ოლიმპიურ ჩემპიონს ქალბატონ ქეთევან ლოსაბერიძეს ამ პოსტზე დარჩენა არ სურს. 5-6 მარტს კი საქართველოს ზამთრის ჩემპიონატს არმიის სასპორტო კლუბი უმასპინძლებს.

**სურათზე: საქართველოს ნაკრების წევრი ხათუნა ნარიმანიძე ასპარეზობისას.**

◉ ჭადრაკი

## საგზურებისთვის ბრძოლა მწვავდება

**თბილისში გრძელდება 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა 34 გოგონას და 79 ვაჟის მონაწილეობით. ტურნირი, რომელიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად იმართება, შესარჩევი შეჯიბრებაცაა, რადგან გამარჯვებულები მსოფლიო პირველობაზე იასპარეზებენ, ხოლო ვიცე-ჩემპიონები ევროპელ თანატოლებს გაუწევენ მეტოქეობას. ყოველივე ეს კი დაძაბულობას მატებს ასპარეზობას.**

უკვე გათამაშდა 5 ტური. გოგონებში 4 შესაძლებლიდან 3,5-3,5 ქულით საქართველოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო და ევროპის პირველობების პრიზიორი სოფიკო გურამიშვილი და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი ნაზი პაიკიძე ლიდერობდნენ. გუშინ სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. მეტოქეებმა დებიუტში ოთხი მხედრის დაცვა გაითამაშეს. მე-20 სვლამდე პოზიცია თითქმის თანაბარი იყო, შემდეგ გურამიშვილმა (სურათზე), რომელიც თეთრი ფიგურებით თამაშობდა, პოზიციურ უპირატესობას მიაღწია, რაც მატერიალურში გადაიზარდა და შავებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს. ამ გამარჯვებით სოფიკომ 4,5 ქულა მოაგროვა და ერთპიროვნულად დაწინაურდა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება თოთხმეტწლიანებში საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი სალომე ხაჟომია, რომელმაც მე-5 ტურში შავი ფიგურებით ფატმან რიჟამაძეს სძლია.



ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთაგან ელისაბედ ზარქუა და თინათინ ბერიძე დაზავდნენ. ახლა მათთან ერთად 3,5-3,5 ქულით III-IX ადგილებს სალომე სირაძე, მარიამ დანელია, სოფიო ხუციძე, ვიკა ბობოხიძე და ნაზი პაიკიძე იყოფენ.

ოთხი ტურის შემდეგ ვაჟებსაც ორი ლიდერი ჰყავდათ — გიორგი ნიკოლაშვილი და დავით ბენიძე, რომლებიც უდანაკარგოდ მეწინავეობდნენ. გუშინ ისინი ზედმეტ დავიდარაბას მოერიდნენ და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე, დაზავდნენ ლუკა პაიჭაძე და ლევან ბრეგაძე, ბექა შოშიაშვილი და ნოდარ ლორთქიფანიძე, გიორგი ანაკიძე და თორნიკე ხურციძე. ლიდერთა ჯგუფის სხვა შეხვედრებიდან დავით ლომსაძემ ზურაბ ჯავახაძე დაამარცხა, ზვიად ფაციამ დათმო ორთაბრძოლა გიორგი კერაშვილთან, არჩილ ამირხანაშვილმა ანდრო ერვანდიანს მოუგო, ნიკა ვოლკოვმა გიორგი ალმასიას სძლია, ლევან ბერაიამ კი თეიმურაზ ჭოლაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი.

ამდენად, 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ბენიძე, ლომსაძე და ნიკოლაშვილი დაწინაურდნენ, 7 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს.

დღეს VI ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს ხვდებიან: **გოგონები.** ხაჟომია — გურამიშვილი, სირაძე — ზარქუა, ბერიძე — პაიკიძე, დანელია — ბობოხიძე, სამნიაშვილი — ხუციძე; **ვაჟები.** ბენიძე — ლომსაძე, ბრეგაძე — ნიკოლაშვილი, ვოლკოვი — პაიჭაძე, ფაცია — დავარაშვილი, ბერაია — ამირხანაშვილი.

**ლექსო ცინცაძე.**

## „აეროფლოტის“ დაფინანსებით

**უკვე გაუწყეთ, რომ რუსეთის დედაქალაქი მოჭადრაკეთა ტრადიციულ დიდ საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. ასპარეზობის მთავარი სპონსორია „აეროფლოტი“. მოსკოვში პირველობისთვის საქართველოს წარგზავნილებიც იბრძვიან. A-1 ჯგუფში მხოლოდ ზვიად იზორია გამოდის. IV ტურში იგი ბოსნიელ სუათ ატალიკს დაუზავდა და ახლა 2 ქულა აქვს.**

A-2 ჯგუფში დავით მაღალაშვილმა და დავით არუთინიანმა 3-3 ქულა მოაგროვეს, კონსტანტინე შანავამ — 2,5 ლევან ფანცულაიამ — 2 და მაია ლომინეიშვილმა — 1 ქულა.

B ჯგუფში 5 ტური გათამაშდა. შესანიშნავად ასპარეზობს მალხაზ სულაშვილი. ბოლო ორ ტურში მან ზედიზედ სძლია ჰოლანდიელ იონკმენს, აზერბაიჯანელ დოვლატოვს და 4,5 ქულით ლიდერთა შორისაა. ამ ჯგუფში ვალერიან გაფრინდაშვილს 4 ქულა აქვს, შოთა აზალაძეს — 3,5, დავით ჯოჯუას და სალომე მელიას — 3, გიორგი მარგველაშვილს — 2,5, ბაჩანა მორჩიაშვილს — 2 ქულა.

C ჯგუფში 3 მონაწილე გვყავს. 5 ტურის შემდეგ თამაზ მგელაძე 4,5 ქულით ლიდერებში გაერია. ვახტანგ თევდორაშვილი მას ნახევარი ქულით ჩამორჩება, ლილე ცალუღელაშვილმა კი მხოლოდ ქულანახევრის მოგროვება შეძლო.

ტურნირის დამთავრებამდე 5 დღე დარჩა.

**გიორგი გაგუა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 41, კვირა, 20 თებერვალი, 2005 წელი.

## კომპიუტერებსაც მოვერიდოთ



ქალები, რომლებიც ბევრ დროს ატარებენ კომპიუტერთან, ხშირად უჩივიან სახის კანთან დაკავშირებულ სირთულეებს. კომპიუტერის გამოსხივებას მართლაც ძალუძს კანის ღრმა ფენებში შეღწევა. მონიტორისგან მოუწყვეტლად გატარებული რამდენიმე დღე და — ლოყები უკვე ოდნავ დაჭკნა, თვალებთან და პირის ახლოს გაჩნდა ნაოჭების საეჭვო მონახაზები...

იაპონელი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ თუ დღეში დალევთ 300 გრამზე არანაკლებ მწვანე ჩაის, ამით მოახდენთ კომპიუტერული გამოსხივების ზემოქმედების ნეიტრალიზებას. ისინი, აგრეთვე, რეკომენდაციას უწევენ კაქტუსიან ქოთნებს, რომლებიც მონიტორის გვერდითი ნაწილების ახლოს უნდა დავაწყოთ. ეს მცენარეები კომპიუტერულ გამოსხივებათა ორმოცდაათამდე პროცენტს შეისრუტავენ და მშრალ ჰაერს ჟანგბადით გაჯერებულ ატმოსფეროდ გარდაქმნიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოთახში, სადაც კომპიუტერები დგანან, სუფთა ჰაერი იყოს.

## გენეტიკური კოდით



გენიალური მწერლის შთამომავალთაგან ვინმეს თუ დაჰყვა ლიტერატურული ნიჭი? — — შეკითხვას უპასუხებს თევდორე მიხეილის ძე დოსტოევსკის შვილთაშვილი დიმიტრი დოსტოევსკი:

— თევდორე მიხეილის ძის ქალიშვილი ლუბა წერდა წიგნებს. ბაბუაჩემი თევდორე თევდორეს ძე, მისივე აღიარებით, ბევრს წერდა, მაგრამ შემდეგ დახევდა ხოლმე. მამაჩემი დიდი რაოდენობით პუბლიცისტური სტატიების ავტორია. მხატვრულ პროზაშიც სინჯა თავი. დედა ამბობდა, ფრონტიდან მოთხრობებიან წერილებს მიგზავნიდაო. ის იოშკარ-ოლაში ცხოვრობდა, ევაკუაციაში, საბავშვო ბაღში მუშაობდა. ლენინგრადში დაბრუნების წინ ყველა წერილი ბაღის დირექტორს დაუტოვა, მერე რომ ვერაფრით ვერ იპოვეს.

ზოგჯერ მეც ვწერ ნარკვევებს, პატარა მოთხრობებს. ისინი ძირითადად ჩემს მოგონებებს უკავშირდებიან 1950-იანი წლების გარშემო.

## ეთიოპიელებმა — ბობ მარლი ჩვენიცააო

ეთიოპიაში დაიწყო რეგის სტილში სიმღერების ლეგენდარული შემსრულებლის, ბობ მარლის დაბადების 60 წლისთავის ზეიმი ლოზუნგით „აფრიკავ, გაერთიანდი!“ მოელიან, რომ ერთთვიან საზეიმო ღონისძიებებში ასობით ათასი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.



ბობ მარლის დაბადების დღეს მისი თაყვანისმცემლები ყოველწლიურად აღნიშნავენ, ოღონდ ამჯერად ზეიმობანი პირველად გასცილდნენ იამაიკის — მომღერლის სამშობლოს საზღვრებს. ეთიოპია ის ქვეყანაა, რომელიც ასევე ხშირად ასოცირდება ბობ მარლის სახელთან.

ლოზუნგი „აფრიკავ, გაერთიანდი!“ აღებულია მისი ალბომის ერთი სიმღერიდან. ალბომის ყდაზე შეიძლება მარკუს ჰარვის სიტყვების წაკითხვა: „ხალხი თავისი ისტორიის, წარმოშობისა და კულტურის უცოდინრად იგივეა, რაც ხე უფესვებოდ“. იმავე კრებულში არის სიმღერა „ზიმბაბვე“, მიძღვნილი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი (მოპოვებულია 1980 წელს). სხვათა შორის, იქ მიწვეულმა მომღერალმა გაკვირვებით შენიშნა, რომ მისი ნაწარმოებები ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა უკეთ იციან, ვიდრე საკუთარი ეროვნული ჰიმნის სიტყვები...

## კუსტურიცა სასამართლოში ედავება ჩერნოგორელებს

ცნობილმა ბოსნიელმა კინორეჟისორმა, კანის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელმა და ამას წინათ ეკრანებზე გამოსული ფილმის „სიცოცხლე როგორც სასწაული“ ავტორმა ემირ კუსტურიცამ სასამართლო სარჩელი აღძრა ჩერნოგორიის გაზეთ „მონიტორის“ წინააღმდეგ: ამ გაზეთმა რეჟისორი სერბიის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის მხარდაჭერაში დაადანაშაულა, ხელოვანმა კი ეს ცილისწამებად მიიჩნია.

ბალკანეთის 1990-იანი წლების ომების დროს სერბიაში მცხოვრები კუსტურიცა „მონიტორის“ პუბლიკაციაში მოხსენიებულია მილოშევიჩის პროპაგანდისტული სამხედრო მანქანის „მოტორად“. მიყენებული მორალური ზარალისათვის რეჟისორი კომპენსაციას ითხოვს 130 ათასი დოლარის ოდენობით. შარშან მან უკვე მოუგო ანალოგიური საქმე იმავე გაზეთს და 6490 დოლარი გადაახდევინა. ახალ სარჩელში ლაპარაკია იმაზე, რომ „მონიტორის“ მფლობელებმა დაარღვიეს კანონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ, რომლის თანახმად ჩერნოგორიის პრესაში აკრძალულია სიძულვილის გამღვივებელი და დისკრიმინაციისა და ძალადობისათვის წამქეზებელი პუბლიკაციები. მთავარი რედაქტორი უარყოფს ყველა ბრალდებას და ამბობს, რომ კანონის არავითარი დარღვევა არ ყოფილა. სარაევოს მკვიდრმა კუსტურიცამ ბოსნია დატოვა 1992-1995 წლების ომის დაწყებამდე და მეზობელ სერბიაში ნებაყოფლობით დევნილად გადავიდა.

# ვინ მოკლა მარია კალასი?

*ექიმმა გულის შეტევით სიკვდილი მონიშნა. ცხედარი უმალვე კრემაციას მისცეს. ვერავინ ვერასოდეს შეიტყობს მისი გარდაცვალების ჭეშმარიტ მიზეზს. განსვენებულს ახლობლები არ ჰყავდა. ათასობით, ათიათასობით თაყვანისმცემლები კი თავიანთ აღტაცებას სხვა "ვარსკვლავებისკენ" მიმართავენ...*

### რეჟისორი - გამომძიებელი

**მარია კალასი, დიდი საოპერო მომღერალი, წარმოშობით ბერძენი, პარიზის მდიდრულ ბინაში მკვდარი ნახეს 1977 წლის 16 სექტემბერს. მაშინ 53 წლისა იყო...**

გადის მეოთხედი საუკუნე და იტალიელი კინორეჟისორი ფრანკო ძეფირელი იწყებს მასზე ფილმის გადაღებას: გულმოდგინედ ეცნობა თავისი გმირის ბიოგრაფიას, იძიებს სიცოცხლის ყოველ წელს და როცა სიკვდილის გარემოებებამდე მიდის, ისეთ ფაქტებს აწყდება, რომ აეჭვებს არსებული ოფიციალური ვერსია.

მარიას არ აწუხებდა გულის მძიმე დაავადება — მაშ საიდან გაჩნდა გულის შეტევით სიკვდილის დასკვნა? ისიც ცნობილია, რომ ყოველთვის კრემაციის წინააღმდეგი იყო და სასაფლაოზე ადგილიც იყიდა თავისთვის. ამ დროს — ნაჩქარევი კრემაცია. ბოლოს, ანდერძის გაქრობა, რომლის არსებობა მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა.

ამ და სხვა ფაქტების გაანალიზებით ძეფირელმა დაასკვნა, რომ კალასი მოკლეს და მკვლელის სახელიც დაასახელა...

როგორ მოხდა, რომ XX საუკუნის უდიდესმა მომღერალმა ქალმა სიცოცხლის მიწურული სრულ მარტოობაში გაატარა და მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე უმწეო აღმოჩნდა?

### დედა

**მარია სულ პაწია იყო, როცა ოჯახი საბერძნეთიდან ამერიკაში გადასახლდა, ნიუ-იორკში, სადაც მამამ მანჰეტენზე მოზრდილი აფთიაქი გახსნა. დედას ბიჭი უნდოდა, გოგონა აითვალწუნა და იშვიათად იკარებდა. მარიას როცა განსაცვიფრებელი ვოკალური მონაცემები აღმოაჩნდა, დედა მთელი დღეობით აიძულებდა სამუსიკო სკოლებში მეცადინეობას, ოღონდ კი მოშორებით ჰყოლოდა.**

ქვეყნის დიდი დეპრესიის დროს ოჯახი დაირღვა, მშობლები გაიყარნენ და დედა მარიასა და მის უფროს დასთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა, ოღონდ კვლავ ცივად ეკიდებოდა უმცროს ქალიშვილს, რომელიც სულ უფრო და უფრო იხვეჭდა მომღერლის სახელს... მარია სამუდამოდ გამოეთხოვა უგულო და უქმურ დედას და ნიუ-იორკში წავიდა...

### ქმარი

**ჯოვანი ბატისტა მენეჯინი მდიდარი იტალიელი მრეწველი და საოპერო ხელოვნების მხურვალე მოყვარული გახლდათ. სცენიდან კალასის სიმღერა რომ პირველად მოისმინა, მიხვდა — სწორედ ეს არის ჩემი ოცნების ქალიო. 30-წლიანი ასაკობრივი განსხვავება დაბრკოლებად არ ქცეულა მათი გაცნობისა და სწრაფი რომანისათვის. არადა, ჯოვანის ახლობლები უკმაყოფილონი იყვნენ მისი არჩევანით — შენს რჩეულს მხოლოდ შენი ქონება აინტერესებსო. კაცმა ოჯახის სასარგებლოდ დათმო თავისი წილი 27 ფაბრიკა. „წაიღეთ ყველაფერი, მე მარტო მარია მინდა!“**

1949 წელს წყვილმა კათოლიკურ ტაძარში დაიწერა ჯვარი. მენეჯინი გახდა კალასისათვის ქმარიც, მამაც, საყვარელიც და ანტრეპრენიორიც... ორივე ოცნებობდა შვილებზე, მაგრამ მარიას უნიკალური ხმის ფასიც კარგად უწყოდნენ: არჩევანი სრულფასოვან ოჯახსა და კარიერას შორის მუდამ უკანასკნელის სასარგებლოდ კეთდებოდა...

### საყვარელი

**1957 წლის სექტემბერში ვენეციაში, მეჯლისზე, კალასი გაეცნო მილიარდერ თანამემამულეს ონასისს. ცოტა ხნის შემდეგ ექიმებმა ზღვის ჰაერი ურჩიეს მომღერალს. მდიდარმა ბერძენმა მეუღლეები თავის დიდებულ იახტაზე „ქრისტინაზე“ მიიწვია, რასაც ისინი მადლიერებით შეხვდნენ.**

ბორტზე ღირსეული კამპანია შეიკრიბა: უინსტონ ჩერჩილი, ჰარი კუპერი, ჰერცოგინია კენტი... აი, ასეთ გარემოცვაში, საკუთარი ქმრის თვალწინ, მარიამ გიჟური რომანი გააჩაღა იახტის პატრონთან. მთელი საღამო მომღერალი და არისტოტელი თავაწყვეტილად ცეკვავდნენ მუსიკალურ სასტუმროში და მხოლოდ იმიტომ აკეთებდნენ პაუზებს, რომ მილიარდერის კაიუტაში ესურვილათ...

კალასმა მიატოვა მეუღლე და პარიზში გადავიდა, ონასისთან ახლოს რომ ყოფილიყო. მიივიწყა კარიერა, სარფიანი კონტრაქტები, შეეშვა ყელის მკურნალობას...

ბერძენს ნამდვილად უყვარდა მარია, საჩუქრებით ავსებდა, მდიდრულ მიღებებს უწყობდა. შერთვაც დაუპირა და გაშორდა კიდევაც ცოლს, ტინას... თუმცა კი ჟაკლინ კენედი შეირთო, მოკლული ამერიკელი პრეზიდენტის ქვრივი...

ცოტა ხნით ადრე ონასისისაგან დაორსულებულმა კალასმა დაკარგა ბავშვი, თანდათან კარგავდა ხმას, ამას დაემატა საყვარლის დაკარგვაც. ასე შემოეცალა ყველაფერი.





არც მილიარდერს წასვლია საქმე რიგიანად: ავტოკატასტროფაში დაეღუპა ვაჟი, მალე კი ზედმეტი ნარკოტიკებისაგან ქალიშვილი ქრისტინაც მოუკვდა...

### პიანისტი ქალი

**ბოლო წლები დიდმა მომღერალმა ჩაკეტილ ცხოვრებაში გაატარა. მოსამსახურე ქალი, მძღოლი, რამდენიმე მუსიკოსი — აი, მთელი მისი გარემოცვა; და კიდევ — პიანისტი ვასა დევეტცი. თითქოს საოცრად ერთგული ქალი ჩანდა: გუვერნანტიც, ყურადღებიანი მსმენელიც, მძიმე დეპრესიების წუთებში მანუგეშებელიც, მოსულ წერილებსა თუ ტელეფონის ზარებზე მოპასუხეც, განრიგის მეთვალყურეც, საათების მიხედვით წამლების მიმწოდებელიც. კალასი უფრო და უფრო იახლოვებდა მას.**

აბა, საიდან ეცოდინებოდა, რომ ვასას, რომელიც ბედისგან დაჩაგრულ დიდ პიანისტად თვლიდა თავს, შურდა მარიასი და ფარულად კიდეც სძულდა ის? და რომ ვერ ეპატიებინა პატრონისათვის ათმილიონდოლარიან ანდერძში სხვებთან ერთად — მოსამსახურეებთან, მძღოლთან, რამდენიმე მუსიკოსთან მოხსენიება?

ან რას იფიქრებდა, რომ ძვირფასი ვასა, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საკუთარ ხელში აღებით, თანდათან აშორებდა ისედაც ცოტა შემორჩენილ მეგობარს? საიდან უნდა მიმხვდარიყო, რომ ყოველ წამლიან ჭიქაში ძლიერმოქმედი ტრანკვილიზატორები და დამაძინებელი საშუალებებია მოთავსებული, რომლებიც თანდათან ურღვევენ ორგანიზმს? და რომ სულ მცირე დროც და, დოზა მომაკვდინებელი აღმოჩნდება?

### ვინაობაც დასახელებულია

**ძეფირელის ვარაუდით, სწორედ ვასამ აკრძალა კალასის გვამის განკვეთა და მოითხოვა დაუყოვნებლივი კრემაცია — აქაოდა, თვით მომღერალმა მოისურვა, აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო, ესო. შემდეგ პიანისტმა ქალმა მოიპარა ანდერძი, ნაღდი ფული და რამდენიმე ძვირფასი ნივთი.**

სწორია თუ არა კინორეჟისორის ვარაუდი, ამას ვეღარასოდეს შევიტყობთ. ვასამ მხოლოდ ოდნავ მეტი იცოცხლა მარიას მერე და ვერც მოასწრო ანდერძით სარგებლობა.

კალასის 19 მილიონი დოლარი კი სასამართლოს გადაწყვეტილებით ორ ღრმა მოხუცს გაუნაწილდა: დედამისსა და ქმარს, მენეჯინის...

# უფრო მაღლა მხოლოდ ღრუბლებია



მძიმე სფერო ბაც ნაცრისფრადაა შეღებილი. იგი დაკიდებულია 16 ფოლადის ბაგირით, რომელთაგან თითოეული ადამიანის მკლავის სისქისაა. ერთი შეხედვით, ეს უზარმაზარი სფერო, თავისი ზომით, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება ნაგებობას, რომელიც ამ გიგანტურმა უძრავმა „ქანქარამ“ უნდა შეინარჩუნოს ვერტიკალურ მდგომარეობაში. შენობასთან შედარებით, სფერო ერთი ციდა მოგეჩვენებათ. ნეფრიტისფერ-მომწვანო ტაიბეის 101-101 ცათამბჯენის კოშკი შორიდან უზარმაზარ ლერწამს მოგვაგონებს, რომელიც 508 მეტრ სიმაღლეზეა ატყორცნილი ცაში. შენობის შიგნით ბაგირებზე დაკიდებული სფერო კი, მსოფლიოში უდიდესი ქანქარაა.

ალბათ, ძნელია მთელ დედამიწაზე ტაივანის დედაქალაქ ტაიბეიზე უფრო არახელსაყრელი ადგილის მოძებნა ცათამბჯენის აგებისთვის. აქ მიწისქვეშა ბიძგები, პრაქტიკულად ყოველდღიური მოვლენაა. ხუთი წლის წინათ მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაგრამ საქმე მხოლოდ ბიძგებით როდი შემოიფარგლება. წყნარი ოკეანის ამ კუნძულს ყოველწლიურად გადაუვლის სამი-ოთხი ტაიფუნი, რომელთა სიჩქარე საათში 250 კილომეტრს აღწევს. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ტაიბეი-101 ცათამბჯენი ააგეს ტექტონიკური რღვევის ხაზიდან სულ რაღაც 200 მეტრ მანძილზე.

ერთი შეხედვით, ადამიანს ყოველივე ეს ნამდვილ სიგიჟედ მოეჩვენება. როგორ შეუძლია სფეროს, თუნდაც 5,5 მეტრი დიამეტრის მქონეს, დაიცვას აბობოქრებული სტიქიისგან ასეთი კოლოსი?

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ეს შესაძლებელია: უძრავი ქანქარა წარმატებით ნთქავს შენობის რხევის ენერგიას. მიწისქვეშა ბიძგების დროს ცათამბჯენის „წვერი“ დასაშვები მანძილის მხოლოდ ნახევარზე თუ გადაიხრება, ყველაზე ძლიერი ტაიფუნის შემოტევის შემთხვევაში კი, მისი გადახრა 1,3 მეტრს არ გადაამეტებს.

მაგრამ, ქანქარა ყველაზე მთავარი როდია. ალუმინის, ფოლადის და 1200 კვადრატული მეტრი საიზოლაციო მინისგან დამზადებული შენობის „გარესამოსი“ 95 მილიონი ევრო დაჯდა. სამაგიეროდ, მას შეუძლია გაუძლოს რიხტერის შკალით 7 ბალამდე მიწისძვრას და კვადრატულ მეტრზე 1,4 ტონამდე სიმძლავრის ქარს. ცათამბჯენის ამ „გარესამოსმა“ წინასწარი გამოცდა ჩააბარა: სეისმური ბიძგების იმიტირება მოახდინეს ჰიდრავლიკური დანადგარების მეშვეობით, გრიგალისა კი — 2200 ცხენისძალის სიმძლავრის საავიაციო ძრავის საშუალებით. სხვათა შორის, ტაიბეი-101 კოშკის კუთხეებს ლათინური „დუბლი ვეს“ ფორმა აქვს, რაც ახშობს ქარის სიმძლავრეს.

ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის მომენტისთვის, ტაიბეიში უკვე 3,5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მშენებლობა. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ დამპროექტებლებს მოუწიათ კარდინალურად გადაესინჯათ უსაფრთხოების მთელი კონცეფცია. ნიუ-იორკის ტრაგედიამ გვიჩვენა, რომ ხანძარი ცათამბჯენში არანაკლებ საშიში ყოფილა, ვიდრე გრიგალი ან მიწისძვრა.

ყველა ბურჯი და ლითონის საყრდენი კონსტრუქციები დაფარულია სპეციალური ცეცხლგამძლე შემადგენლობით. თვით შენობაში კი, იმდენი ცეცხლსაქრობია, რომ მათი შიგთავსი თავისუფლად იკმარებს 2,5 ოლიმპიური საცურაო აუზის გასავსებად! და არც ამით ამოიწურება ყველაფერი: კონსტრუქციის ყოველი რვასართულიანი მოდული იზოლირებულია და აღჭურვილია ცალკე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.

კიბეებზე პანიკის თავიდან ასაცილებლად, შენობის ყოველ რვა სართულზე გათვალისწინებულია ცალკე საევაკუაციო ზონა. იქ ადამიანებს შეუძლიათ თავი შეაფარონ სპეციალურ სათავსს, რომელიც დაცული იქნება ცეცხლისა და კვამლისგან, გარდა ამისა, ცათამბჯენის სართულებზე აივნებიც ისეა განთავსებული, რომ საჭიროების შემთხვევაში, იქ მიფრენა შესაძლებელი იქნება სამაშველო ვერტმფრენით.

იხ. მე-7 გვ.

# ქრონოგრაფი

## 21 თებერვალი, 1872 წელი



სწორედ ეს დღე ითვლება სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დაარსების დღედ რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ შენობის საძირკველი 1875 წელს ჩაყარეს. ყველაფერი რუსეთის პოლიტექნიკური გამოფენის მოწყობით დაიწყო, რომლის გამართვაც პეტრე დიდის დაბადებიდან 200 წლისთავს მიუძღვნეს. მუზეუმის შექმნის ინიციატორებმა თხოვნით მიმართეს მომავალ იმპერატორს, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მესამეს. მუზეუმის დაარსების აღმასრულებელ კომისიას სათავეში ჩაუდგა ნიკოლოზ ჩეპელევსკი. მუზეუმის სამეცნიერო კონცეფციის შედგენაზე მუშაობდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: თავადი ალექსანდრე უვაროვი და ისტორიკოს-არქეოლოგი ივანე ზაბელინი. საძირკვლის პირველი ქვა თავად იმპერატორმა ჩადო, მას შეუერთდა საპატიო სტუმარი სპეციალურად ამ დღისთვის მოსკოვში მოწვეული ედინბურგის ჰერცოგი, მინისტრები და სამეფო ოჯახის წევრები. დღეისთვის მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ცენტრად ითვლება.

## 22 თებერვალი, 1988 წელი



მთიან ყარაბაღში დაიწყო სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ეროვნებათშორისი შეიარაღებული კონფლიქტი. საბჭოთა პერიოდის დროს მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენელი ნაწილი იყო, ეს ტერიტორია ი. სტალინის განკარგულებით 1921 წელს შეუერთდა აზერბაიჯანს. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი სომხეთისაგან გამოყოფილია მთებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონებით, ოდითგანვე სომხებით იყო დასახლებული. 1989 წელს მთიანმა ყარაბაღმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახლა იგი სომხეთს ვიწრო „დერეფნით“ უერთდება.

## 23 თებერვალი, 1826 წელი



ყაზანის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოხსენებით გამოვიდა ნიკოლოზ ივანეს ძე ლობაჩევსკი. ეს დღე ითვლება არაევკლიდური გეომეტრიის „დაბადების“ დღედ. ლობაჩევსკიმ საფუძველი დაუდო მათემატიკაში სრულიად ახალ მიმდინარეობას — „წარმოსახვით გეომეტრიას“. რუსი მეცნიერის ამ აღმოჩენას მსოფლიოს წამყვანი მათემატიკოსები მხოლოდ 1840 წელს შეიტყობენ და დიდ შეფასებასაც მისცემენ. „მათემატიკოსთა მეფის“ კარლ ფრიდრიხ გაუსის წინადადებით რუსი მეცნიერი გიოტინგენის სამეცნიერო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

## 24 თებერვალი, 1525 წელი



კარლ V



ფრანცისკ I

პავიასთან მილანის საჰერცოგოს დაუფლებისთვის ბრძოლაში ფრანგთა ჯარმა მარცხი განიცადა. საფრანგეთის მეფე ფრანცისკ I წმიდა რომის იმპერატორმა კარლ V ტყვედ ჩაიგდო, წაიყვანა ესპანეთში, სადაც 1526 წელს საფრანგეთისთვის მეტად დამამცირებელი „მადრიდის“ ხელშეკრულებას“ მოეწერა ხელი. საფრანგეთმა უარი განაცხადა მილანის საჰერცოგოზე და ესპანეთს გადასცა ბურგუნდია.

## 25 თებერვალი, 1836 წელი



ამერიკელმა კონსტრუქტორმა სამუელ კოლტმა დააპატენტა მსოფლიოში აღიარებული ექვსტყვიიანი და 45-კალიბრიანი რევოლვერი, რომელიც ისტორიაში „კოლტის“ სახელით შევიდა.

## 26 თებერვალი, 1878 წელი



ფრანგმა ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა ემილ ლიტრემ (1801-1881 წწ.) ფრანგი მეცნიერის სედიოს თხოვნაზე შეარჩია მიკროორგანიზმებისთვის რაიმე შესაფერისი სიტყვა, საპასუხო წერილში პირველად გამოიყენა სიტყვა, „მიკრობი“. წერილი სწორედ 26 თებერვალს დაიწერა და მთელ მსოფლიოში სედიოს მიერ გავრცელდა ახალი სიტყვა — „მიკრობი“.

## 27 თებერვალი, 1997 წელი



155-წლიანი არსებობის მანძილზე ცნობილმა ვენის ფილარმონიამ დაარღვია უაზრო აკრძალვა იმის შესახებ, რომ ორკესტრისთვის ეხელმძღვანელა ქალ-დირიჟორს. უკანასკნელი მამაკაცური ბასტიონი მსოფლიო კლასიკური მუსიკისა, საზოგადოების ზეწოლით „დაემხო“. ამიერიდან ქალთა სქესის წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ ედირიჟორათ სიმფონიური ორკესტრებისთვის.

## 28 თებერვალი, 1996 წელი



პრინცესა დიანამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო განქორწინებულიყო ინგლისის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცთან ჩარლზთან. განქორწინების საბაბი გახდა პრინცის სასიყვარულო თავგადასავლები და თვით დიანას გატაცებაც სხვა მამაკაცით, რომელთანაც ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა კიდეც.

# უფრო მაღლა მხოლოდ ღრუბლებია

(მეექვსე გვერდიდან)

ტაიბეი-101 ცათამბჯენიდან სულ რამდენიმე კვარტალში მდებარეობს შენობა, რომელშიც განლაგებულია არქიტექტორ შუნ პინ ვანის ოფისი. სწორედ მან დააპროექტა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენი.

არქიტექტორმა მიგვიყვანა მინის ვიტრინასთან, რომელსაც ამშვენებს 66-სართულიანი საოფისე კოშკის მაკეტი. „ყველაფერი თავდაპირველი გეგმის მიხედვით რომ განხორციელებულიყო, – ღიმილით გვითხრა არქიტექტორმა, – ეს ცათამბჯენი საერთოდ არ აშენდებოდა!“



თავბრუდამხვევ სიმაღლეზე – 500 მეტრზე ამონტაჟებს ტექნიკოსი მძლავრ პროჟექტორს. მან სიგნალი უნდა მისცეს თვითმფრინავებს ტაივანის საჰაერო სივრცეში ფრენის დროს.

ვისი ნება-სურვილით მოხდა ის, რომ შენობა სიმაღლეში თითქმის ერთიორად გაიზარდა? „ეს იდეა ქალაქის განაშენიანების სამსახურის მესვეურებს ეკუთვნით, – გვიპასუხა ვანმა – თავდაპირველად მათ მოითხოვეს, რომ სამი დაგეგმილი შენობის ნაცვლად აგვეშენებინა ერთი. შემდეგ კი ახალი პროექტი ნელ-ნელა იზრდებოდა სიმაღლეში, სანამ ქაღალდზე არ მიაღწია 88 სართულს“...

მაგრამ გამოინახა ისეთი ადამიანიც, რომელსაც ესეც ეცოტავა. ტაიბეის მაშინდელმა მერმა და ტაივანის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა გადაწყვიტა, რომ ეს უნდა იყოს არა უბრალოდ რიგითი ცათამბჯენი, არამედ მშობლიური კუნძულისთვის აღმართული უზარმაზარი ძეგლი. ამის შემდეგ, პროექტის ღირებულებას მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.

ვანმა და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს, შენობის იერ-სახეში ერთმანეთისთვის შეერწყათ დასავლური და ტრადიციული ჩინური არქიტექტურის კანონები. პოსტთანამედროვე დეტალების გამოყენებით მათ, საბოლოო ანგარიშით მიიღეს ისეთი ფორმა, რომელიც ერთბაშად წააგავდა როგორც გიგანტური ლერწმის ღეროს, ისე – პაგოდასაც.

კოშკი შედგება რვა მოდულისგან, რომლებიც პირამიდისებრ ცოკოლს ეფუძნება. მას ამშვენებს ოთხი უზარმაზარი მონეტა და ჩინური წარმატებისა და ბედის სიმბოლოები, რომლებსაც ღრუბლების ფორმა აქვთ. ამას მოითხოვს ფენშუი. ტაივანში ყველაფერი კეთდება ამ უძველესი ჩინური მოძღვრების შესაბამისად. ნაგებობისა და მისი ცალკეული ელემენტების სწორმა განლაგებამ სივრცეში ცი ტეჩის სამყაროს ენერგიას უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ შეუფერხებლად მოუტანოს სიკეთე ადამიანებს.

რათა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ცათამბჯენის კოშკში ცის ცირკულაციას არაფერი უშლიდა ხელს, პროექტის ავტორებმა კონსულტაციისთვის მიმართეს ფენშუის საუკეთესო ტაივანელ ოსტატს. მან განსაზღვრა ის ადგილი, სადაც უნდა ყოფილიყო შენობის მთავარი შესასვლელი, თვალყურს ადევნებდა, რომ მასალა და ფერი ერთმანეთს შეხამებოდა, თვით კოშკს კი, არ დაერღვია მის ირგვლივ განლაგებული შენობა-ნაგებობების ჰარმონია. ვანის თქმით, ტაივანში არავინ მოისურვებს ისეთ სახლში შესვლას, რომლის მშენებლობის დროს არ იყო დაცული უძველესი წესები.

ვანი ამბობს, რომ მას და მის კოლეგებს სურდათ დაერღვიათ მთელს მსოფლიოში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული ცათამბჯენების მშენებლობის „ინტერნაციონალური“ სტილი. მათ ჩაიფიქრეს ისეთი მაღლივი შენობის აგება, რომლის შემყურე ადამიანი უშეცდომოდ განსაზღვრავს, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფება და რომელი კულტურის ტრადიციებით არის იგი აშენებული.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ, ქალაქის ამ ნაწილში, რომელსაც სინი ჰქვია, გლეხებს მოჰყავდათ ბრინჯი. დარიან ამინდში აქედან კარგად მოჩანს ვულკანური ბორცვების ფერდობები. მაგრამ 1980-იანი წლების დამდეგს მიიღეს ტაიბეის განაშენიანების ახალი გეგმა, რომლის თანახმადაც, ისინი თანამედროვე საქმიან კვარტალად უნდა გადაქცეულიყო.

აქ ერთიმეორის მიყოლებით აღიმართა ოფისების, მსხვილი სავაჭრო კომპლექსების შენობები, ფეშენებლური საცხოვრებელი სახლები. სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, ისინი იქცა პრესტიჟულ რაიონად. და ბოლოს, გადაწყდა, ამ საოცარი ცათამბჯენის აგებაც.

1998 წლის იანვარში, დაახლოებით 30 ათას კვადრატულ მეტრ უშენ ფართობზე ექსკავატორებმა დაიწყეს 28 მეტრი სიღრმის უზარმაზარი ქვაბულის ამოთხრა. ყველასთვის იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ეს უპრეცედენტო მშენებლობა იყო.

1999 წლის ზაფხულში ქვაბულიდან ნელ-ნელა ამოიზარდა ცათამბჯენის ჩონჩხი. მომავალი კოშკის ლითონის კონსტრუქციები სამშენებლო მოედანზე ღამ-ღამობით მოჰქონდათ უზარმაზარი სატვირთო მანქანებით.

გრაფიკი მკაცრად იყო შედგენილი: ყოველი 20 დღის განმავლობაში ოთხ-ოთხი სართული უნდა ამოეყვანათ. თავისუფალი ადგილის სიმცირის გამო სამშენებლო მოედანზე შეუძლებელი იყო უზარმაზარი კონსტრუქციების წინასწარ მიტანა და შენახვა. ისინი უშუალოდ მონტაჟის მომენტისთვის მიჰქონდათ.

ყველაზე მეტად გართულდა საქმე მაშინ, როცა შეუდგნენ რვა უზარმაზარი სვეტის აგებას. შენობის ყველა მხარეს განლაგებულ ამ ორ-ორ სვეტს, ძირითადი დატვირთვა აწვება. ისინი წარმოადგენენ ღრუ ცილინდრებს, რომლებიც ამოვსებულია ზემტკიცე ცემენტით.

ამ სვეტების დაახლოებით 90-ტონიანი ფრაგმენტების აწევა დიდ სიმაღლეზე, მხოლოდ სპეციალური ამწეებით თუ იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ საიდან უნდა მოეტანათ ისეთი ამწეები, რომლებიც გამოდგებოდა მსოფლიოში უმაღლესი ცათამბჯენის მშენებლობისთვის?! შენობის შიდა მხარეს რკინის კარკასზე დამაგრებული ამწეები ცათამბჯენთან ერთად „იზრდებოდნენ“ სიმაღლეში.

ექვსი სამუშაო ლიფტით აჰქონდათ ზემოთ შედარებით წვრილი კონსტრუქციები და იარაღი. აჰყავდათ ადამიანები – მონტიორები, ინჟინრები, ტექნიკოსები, შემდუღებლები – სულ 2 ათასი კაცი.



„სიტი-სკვერის“ სავაჭრო კომპლექსი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში – იგი გაიხსნა ცათამბჯენის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე ერთი წლით ადრე. 163 მაღაზია განლაგებულია ცათამბჯენის 4 სართულზე. ეს დაახლოებით 77 ათასი კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობია.

უნებლიეთ გვახსენდება ბაბილონის გოდოლი. მაგალითად, გამოიანგარიშეს, რომ ცათამბჯენს აშენებდნენ 50 ეროვნების სპეციალისტები. მაგრამ მუშათა უმრავლესობა ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ – ტაივანის ან ტაილანდის მკვიდრნი.

მათ უწევდათ მუშაობა თავბრუდამხვევ სიმაღლეზე. და ყოველივე ეს ხდებოდა მუდმივი სეისმური აქტიურობის პირობებში. დარიან დღეებშიც კი, მშენებარე ცათამბჯენის სართულებში დაქროდა ძლიერი ქარი, რომელსაც ბუმბულივით შეეძლო წაეღო ადამიანი. კოშკის წვერს კი ფარავდნენ ღრუბლები, და მშენებლებს ხშირად უხდებოდათ სქელ ნისლში მუშაობა.

უამინდობამ და რეგულარულმა მიწისძვრამ ბიძგებმა მშენებლობის დასრულება ორ წელიწადზე მეტი ხნით შეაფერხეს. თანაც, უბედური შემთხვევებიც იყო... ტაივანის დედაქალაქისთვის ერთ-ერთი „ჩვეულებრივი“ მიწისძვრა ტრაგედიით დასრულდა. 2002 წლის 31 მარტს მიწისძვრის ბიძგები მხოლოდ 30 წამს გრძელდებოდა. მაგრამ ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ სამაგრებიდან მომწყდარიყო ორი უზარმაზარი სამშენებლო ამწე. მათ ჩამოანგრიეს ფასადის მოპირკეთების ნაწილი და ლითონის სამშენებლო ხარაჩოები.

ყოველივე ამას სავალალო შედეგი მოჰყვა: ამწეები დაეცა სამშენებლო მოედანზე გაჩერებულ ავტომობილებს. დაიღუპა ოთხი კაცი. თვით ცათამბჯენმა გაუძლო მიწისძვრის ბიძგებს, მაგრამ მშენებლობა მაინც შეაჩერეს რამდენიმე თვით.

2003 წლის ოქტომბრისთვის ნაგებობის ძირითადი ნაწილის მშენებლობა დასრულდა. ტაიბეი-101 კოშკმა მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში აღმართულ „პეტრონას ტაუერსის“ ცათამბჯენს, რომლის სიმაღლე მხოლოდ 452 მეტრს შეადგენს.

## ტაიბეი-101

| | |
|---|---|
| საერთო სიმაღლე | – 508 მეტრი |
| სიმაღლე შპილის გარეშე | – 448 მეტრი |
| ყველაზე მაღალი სართული | – 438 მეტრი |
| სართულების რაოდენობა | – 101 |

მშენებლობის დროს გამოიყენეს
107 ათასი ტონა ფოლადი,
242 852 კუბური მეტრი ცემენტი,
5360 კილომეტრი სატელეფონო კაბელი,
100 კილომეტრი საკომუნიკაციო მილები.

პროექტის საერთო ღირებულებამ დაახლოებით 1,5 მილიარდი ევრო შეადგინა.





მოდა

# პოდიუმის თავმდაბალი ლამაზმანი

**ცნობილმა მოდელმა ლიზა რეტლიპმა დიდი პოპულარობა ძალიან მალე მოიპოვა, რაც მაღალი მოდის სამყაროში იშვიათია. ამის მიზეზი კი, მისი არაჩვეულებრივი სილამაზე გახლავთ: თეთრი, ნაზი კანი და მუქი თმა, დიდი, მეტყველი თვალები, მგრძნობიარე, გაბუტული, ვარდისფერი ტუჩები, მაღალი ყელი, გამხდარი, სიფრიფანა სხეული... და რაც მთავარია, პოდიუმზე განსაკუთრებული გრაციოზულობით, ქალურობით, დახვეწილი მანერებით გამორჩეული, მოდელებსაც განსაკუთრებულად წარმოაჩენს.**

ლიზა რეტლიპის დებიუტი ჟილ სანდესთან მუშაობისას შედგა და საზოგადოება მაშინვე აღფრთოვანდა ჯერ კიდევ უცნობი მანეკენით. აქედანვე დაიწყო მისი უსაზღვრო წარმატებაც... დღეისთვის ლიზა რეტლიპი ერთ-ერთი ძვირადღირებული მოდელია – თითოეულ ჩვენებაზე 50 ათას ფუნტს იღებს, ერთ ფოტოსურათში კი – 30 ათასს, ფოტოხელოვანებს იგი ბუნებრიობისა და არაჩვეულებრივი ფოტოგენიურობის გამო ხიბლავს, ამიტომაცაა, რომ მათ სასურველ ობიექტს (წარმატებული საქმიანობისთვის) ხშირად სწორედ ეს მოდელი წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლიზა სხვა თავდაჯერებული, თავმომწონე მოდელებისგან აშკარად განსხვავდება და ჩვეული თავმდაბლობით გამოირჩევა, – წარმატებას საკუთარ თმას „ვაბრალებ“, მიყვარს თმის მოვლა და ახალ-ახალი ექსტრავაგანტური ვარცხნილობები, – გულუბრყვილოდ და მოკრძალებით აღნიშნავს პოდიუმის ლამაზმანი.

დღეისთვის ლიზა რეტლიპი ალბერტ ფერეტის, მისიონის და სხვა წამყვანი დიზაინერების განუმეორებელი და უპირველესი მოდელია, იგი რამდენიმე წელიწადია (ქეით მოსის შემდეგ) კელვინ კლაინის უცვლელი მუზაცაა...

მსოფლიოში ცნობილი პრესტიჟული და ელიტური ჟურნალების „ვოგის“, „კოსმოპოლიტენის“, „ფეინის“ რედაქტორები გარეკანის დასამშვენებლად, უმეტესად, ლიზას ფოტოებს აქვეყნებენ, რაც თავმდაბალი მოდელის უდიდეს პოპულარობასა და წარმატებაზე მეტყველებს.

**ლელა ღონაძე.**

**სურათებზე: ლიზა რეტლიპი.**







# „ოქროს გაზეთი“



**„ჩინეთის აყვავების ხანა“ – ასე ჰქვია გაზეთს, რომელიც ოქროსაგან დაამზადეს სამხრეთ ჩინეთის ქალაქ შენჩჟენში. ახალი გამოცემა მოგვითხრობს ბოლო წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საკანონმდებლო კრების სხდომების შესახებ.**

გაზეთი გამოშვებულია ორ ვარიანტად – „საკოლექციო“ და „გამოცემა – ლუქსი“. თითოეულის ტირაჟი კი 36 ცალია. საკოლექციო ეგზემპლარის დამზადებაზე დაიხარჯა 500 გრამი ოქრო და გაიყიდება 8100 დოლარად, ხოლო „გამოცემა – ლუქსს“ დასჭირდა 200 გრამი ოქრო, მისი ფასი კი 3500 დოლარია.

თავად ჩინელების აზრით, შენჩჟენი ქვეყნის ყველაზე დინამიურად განვითარებადი და ყველაზე მდიდარი ქალაქია.

# ხანგრძლივი გამოთხოვება

**სამწლიანი განუწყვეტელი გასტროლების შემდეგ მომღერალმა ქალმა შერმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა გამოსათხოვარი ტურნეს დამთავრება. სულ ბოლო კონცერტი ლოს-ანჟელესშია 30 აპრილს დანიშნული. სწორედ იქ შედგა შერის პირველი გამოსვლა მაშინდელ (პირველ) გმირთან ერთად – სონი ბონოსთან.**

გაუთავებელი გასტროლების დასრულების შემდეგ მომღერლის გეგმებშია ახალი ალბომის ჩაწერა, კინემატოგრაფიული და სატელევიზიო პროექტები. ტურნე დაახლოებით 300 შოუსაგან შედგება, შერის თაყვანისმცემელთა 2,5 მილიონზე მეტს მოიზიდავს და 200 მილიონამდე დოლარს მოიტანს.



# „ევროხედვა“ თავს უყრის ყოფილთ

**გასული წლების „ევროხედვის“ კონკურსის ვარსკვლავები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ამ ღონისძიების 50 წლისთავის იუბილეზე. ტელემაყურებლებმა უნდა აირჩიონ 14, მათი შეხედულებით საუკეთესო სიმღერა, რის შემდეგაც შესაბამის შემსრულებლებს კვლავ მიიწვევენ კონკურსში მონაწილეობისთვის. „ევროხედვის“ ყოფილ მონაწილეთა შორის არიან ჯგუფი „ABBA“, სელინ დიონი, ხულიო იგლესიასი, ალა პუგაჩოვა. „ევროხედვის“ ყოფილ ვარსკვლავთა კონცერტი შედგება ოქტომბერში, დანიაში.**

სულ პირველი შეჯიბრება 1956 წელს შედგა და მას აქეთ ყოველ წელს იმართება. კონკურსებში მონაწილეობენ როგორც პოპ-მუსიკის ვარსკვლავები, ისევე ძალიან ახალგაზრდა, პრაქტიკულად ყველასთვის უცნობი მუსიკოსები. ასეთი დაპირისპირების შედეგების წინასწარმეტყველება ხშირად შეუძლებელიცაა. „ევროხედვის“ საიუბილეო, 50-ე კონკურსი კიევში ჩაივლის – შარშან ასპარეზობაში უკრაინის წარმომადგენელმა ქალმა რუსლანამ გაიმარჯვა.

„ევროხედვის“ შეჯიბრებებში ყველაზე წარმატებული ქვეყანა არის ირლანდია, რომლის წარმომადგენლებმა შვიდჯერ აჯობეს ყველას. დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ლუქსემბურგი ხუთ-ხუთჯერ იყვნენ პირველები. „ევროხედვა“ აერთიანებს 50 ქვეყნის 72 ტელესამაუწყებლო კომპანიას.

# განცხადება ტენდერის შესახებ

1. **შემსყიდველი ორგანიზაცია: რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობა.** მისამართი: რუსთავი, კოსტავას გამზ. № 20;

2. შესასყიდი მომსახურება: რუსთავში სოციალურად დაუცველი ფენის (უმწეო კატეგორია – 500 კაცი) კვება დღეში ერთხელ (შაბათ-კვირის გარდა);

3. ტენდერი ჩატარდება ორ ლოტად და შესაძლებელია თითოეულ ლოტს ჰყავდეს ინდივიდუალური გამარჯვებული;

**4. I ლოტი:**

– რუსთავის უმწეო კატეგორიის მოსახლეობის (500 კაცი) ყოველდღიური (შაბათ-კვირის გარდა) კვება პურის გარეშე;

– მ/წ ივნისის თვის ბოლომდე კვირაში ორი დღის კვება უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიო სასურსათო პროგრამიდან მიღებული კვების პროდუქტებით;

– აღნიშნული ლოტის მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2005 წლის 31 დეკემბერი.

**5. II ლოტი:**

– 2005 წლის ბოლომდე პურის შესყიდვა ყოველდღე 500 კაცის კვებაზე, გარდა შაბათ-კვირისა და მ/წ 31 ივნისამდე კვირაში ორი დღისა.

– მ/წ 31 ივნისამდე კვირაში ორი დღე შემსყიდველის ნედლეულით (მსოფლიო სასურსათო პროგრამიდან მიღებული ფქვილით) პურის ცხობის მომსახურების შესყიდვა.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველი ყველა ფიზიკური ან იურიდიული პირი თუ ვერ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემებს, ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, მოიხსნება ტენდერიდან სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

7. საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების ვადაა 2005 წლის 10 მარტიდან 2005 წლის 11 მარტის 18 სთ-მდე.

**8. საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიულ პირთათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:**

– მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

– მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

– არ უნდა ხორციელდებოდეს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

– მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

**9. საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკურ პირთათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:**

– უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერიდან);

– მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

– უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

10. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნას წარმოდგენილი მხოლოდ ქართულ ენაზე დალუქული კონვერტებით და გაიხსნება საკვალიფიკაციო მონაცემების ვადის დასრულებისთანავე ტენდერში მონაწილე პირთა თანდასწრებით შემდეგ მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. № 20.

11. საკვალიფიკაციო მონაცემებს შეაფასებს სატენდერო კომისია 3 დღეში და მეორე დღეს აცნობებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ტენდერში მონაწილე ყველა პირს. თუ ვინ დამტკიცდა პრეტენდენტად.

12. სატენდერო დოკუმენტაცია და განზრახვათა შესახებ ხელშეკრულება მომზადებული იქნება ქართულ ენაზე და გადაეცემა პრეტენდენტს სატენდერო მოსაკრებლის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენისთანავე მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. № 20.

13. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის და შესაბამისად სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 16 მარტის 10 სთ-დან 18 სთ-მდე.

14. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

15. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართი: **რუსთავი, კოსტავას გამზ. № 20, ადგილობრივი თვითმმართველობა, I სართული, შრომისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელ: 824 19-42-63.**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**ნუნუ კუპატაძე.**

# ინფორმაცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2005 წლის 12 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განთავსებულ კომუფლირებული ფორმის (ქუდით) შეკერვის შესყიდვის მიზნით ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1. გამოცხადებული 8550 კომპლექტი კომუფლირებული ფორმის (ქუდით) შეკერვის ნაცვლად გვესაჭიროება 7000 კომპლექტის შეკერვა.

შპს „ბექა“, საიდენტიფიკაციო კოდი 202208379, ატარებს თვითლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოცხადდეთ შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ცაბაძის №8, ტელ: 75-09-02.**

ინდ. მეწარმე „ზურაბ ინასარიძე“, საიდენტიფიკაციო კოდი 102208166, ატარებს თვითლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, გამოცხადდეთ შემდეგ მისამართზე: **თბილისი, ცაბაძის №8, ტელ: 75-05-03.**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარცხნიდან საქართველოს ცკ-ს პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი, მიხეილ კალინინი და საქართველოს ცკ-ს მდივანი იდეოლოგიის დარგში ილია თავაძე.
მოსკოვი, 1940 წელი.

მოგვაწოდა პროფესორმა სოლომონ ბაქანიძემ.

## გიხაროდენ!



### საგარეჯოში, ამბროლაურში, ხობში, ქარელში დედები ჩვილებით ჩავლენ

თებერვლის 18 დღეში საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში საქართველოს 70 მოქალაქე შეემატა (აქ მშობიარობა უფასოა), მათ შორის უმეტესობა ახალგაზრდა ოჯახების პირველი შვილები.

ამ სამშობიარო სახლში რეგიონებიდან ჩამოსულებიც არიან. საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთიდან ნინო კუპატაძე მეორე ვაჟის დედა გახდა; ამბროლაურის რაიონის სოფელ წესიდან მაკა ნატმელაძეს პირველი გოგონა ჰყავს; ქარელის რაიონის სოფელ აბანოდან ნატა ხარაზიშვილ-სეფისკვერაძეს შვიდი წელიწადი არ ჰყავდა შვილი, – ახლა გოგონა შეეძინა; ხობის რაიონის სოფელ ბულისკუდან მაკა ლომაია-ჯანელიძე პირველი შვილის, გოგონას დედა გახდა. მათ სამედიცინო პერსონალის ყურადღება არ მოკლებიათ.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



სპორტის არატრადიციულ სახეობათა შეჯიბრზე ორი კონკურსი ჩატარდა: ვინ დალევდა მეტ არაყს და ვინ მეტად დაჯღანავდა სიფათს. პირველ სახეობაში გაიმარჯვა სანტექნიკოსმა პეტროვიჩმა, მეორეში კი მექანიკოსმა ივანიჩმა, როდესაც გაიგო, რომ მას პირველ კონკურსზე დააგვიანდა.

* * *

— თქვენი ბინა ალბათ ძალიან ვიწროა, არა? — ეკითხებიან პეტკას.

— მართლაც ასეა, მაგრამ თქვენ საიდან მიხვდით?

— თქვენი ძაღლი კუდს განდაგან კი არ იქნევს, არამედ ზევიდან ქვევით.

* * *

— ბაბუაჩემი გერმანელებთან ომობდა, — ტრაბახობს პატარა პეტკა.

— გერმანელებთან? ბაბუაჩემი კი — გერმანელების წინააღმდეგ...

* * *

ორი დაქალი ერთმანეთში საუბრობს, ერთ-ერთი სარკეში ჩაიხედავს და ამბობს:

— ოი, როგორი ნაცნობი სახეა.

— მაჩვენე ერთი, — ეუბნება მეორე, — სარკეს გამოართმევს და ჩაიხედავს. სწორია, სულელო, ეს ხომ მე ვარ.

## ჯანმრთელობა

# შაკიკი — მრავალსახოვანი ჯალათი

**რუბრიკას უძღვება „საოჯახო ექიმის“ რედაქტორი ციცინო მჭედლიშვილი**

შაკიკი „ქალურ“ დაავადებად ითვლება. მამაკაცები 2-3-ჯერ ნაკლებ ავადდებიან მისით. მაგრამ თავის ტკივილს ხელი არ შეუშლია მრავალი ცნობილი ადამიანისთვის, რომ საკუთარი ტალანტის რეალიზება მოეხდინა. მკვლევარებმა შაკიკის კავშირიც კი აღმოაჩინეს ტვინის მუშაობის ზეაწეულ აქტივობასთან. ეს დაავადება სჭირდათ ისეთ უნიჭიერეს ადამიანებს, ვინც თავისი პიროვნული კვალი დააჩნია ისტორიას. ესენი იყვნენ: იულიუს ცეზარი და ედგარ პო, ჰაინრიხ ჰაინე და გი დე მოპასანი, რიჰარდ ვაგნერი, ფრედერიკ შოპენი, პეტრე ჩაიკოვსკი, ზიგმუნდ ფროიდი... ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ შაკიკიანები განსაკუთრებული ხასიათით გამოირჩევიან. ისინი აქტიური და ამბიციურნი არიან, ისწრაფვიან, მაქსიმალურად განახორციელონ თავიანთი უნარი და მისწრაფებები. შესაძლოა, ადამიანებს გე-



ნეტიკურადაც გადმოეცემათ ზოგიერთი ენერგეტიკული უჯრედოვანი მიტოქონდრალური უკმარისობა, და ამიტომაც მუდმივად უწევთ არასრულფასოვნების დაძლევა. ამ მოსაზრებით შაკიკის შეტევა თავისებური ხარკია მაღალი ცხოვრებისეული ტონუსის შესანარჩუნებლად. ასეთ ადამიანებს ზოგჯერ სრულყოფილების მოტრფიალეებადაც ნათლავენ. მათთვის დამახასიათებელია მაღალი გზნებადობა, სინდისიერება, სირცხვილის გრძნობა, სხვისი შეცდომების აუტანლობა.

მაგრამ ეს ვერავითარი შეღავათია მათთვის, ვისაც შაკიკი ტანჯავს – იულიუს ცეზარი იქნება ის, პეტრე თუ მართა – ტკივილი ყველასთვის ერთნაირად საშინელებაა...

### შაკიკი გტანჯავთ? ეცადეთ, თავად შეაფასოთ შეტევების სიმძიმე ამ ტესტის მეშვეობით

– უკანასკნელი 3 თვის მანძილზე თავის ტკივილების გამო რამდენი დღის განმავლობაში:

1. მოგიწიათ სამსახურის ან მეცადინეობის გაცდენა;

2. მუშაობის ან მეცადინეობის დროს თქვენი შრომისუნარიანობა დაქვეითებული იყო სანახევროდ ან მეტად (ნუ ჩათვლით იმ დღეებს, რომლებიც პირველი კითხვის პასუხად დათვალეთ);

3. ვერ აკეთებდით ოჯახურ საქმეებს;

4. ოჯახურ საქმიანობაში თქვენი პროდუქტიულობა ნახევრად ან მეტად იყო დაქვეითებული;

5. თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ ოჯახურ ან საზოგადოებრივ ღონისძიებებში, აქტიურ დასვენებაში.

**შეაჯამეთ დათვლილი დღეების რაოდენობა. რამდენი ქულა მიიღეთ?**

**0-5 ქულა** – თავის ტკივილი ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ არის, არ სჭირდება წამლებით მკურნალობა. ეცადეთ აბების გარეშე გახვიდეთ ფონს. მასაჟი, ვარჯიში, აუტოტრენინგი, წყლის პროცედურები მოგეხმარებათ ჯანმრთელობის გაკაჟებაში.

**6-10 ქულა** – თავის ტკივილი ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს. თუ ის ძალიან ძლიერია, მიიღეთ ანალგეტიკები, მაგრამ ბოროტად ნუ ისარგებლებთ წამლებით. სცადეთ ხალხური საშუალებები: დალიეთ ახლადგამოხდილი ჩაი, მჭიდროდ შემოიჭირეთ თავზე თხელი შალის ხილაბანდი, დაწექით სიწყნარესა და სიმშვიდეში, მთლიანად მოდუნდით.

**11-20 ქულა და მეტი** – ხელს ნუ მიჰყოფთ თვითმკურნალობას. მიმართეთ ექიმს, გაიარეთ გამოკვლევა, რათა დადგინდეს თავის ტკივილების მიზეზი და შეირჩეს ადეკვატური მკურნალობა.

### მიზეზები

თავის ტკივილების დაწყება შეიძლება გამოიწვიოს საჭმლის შემადგენელმა ზოგიერთმა ნივთიერებამ. თუ თქვენ შაკიკი გტანჯავთ, იშვიათად ჩართეთ კვების რაციონში:

- შებოლილი და ნახევრადშებოლილი ძეხვეული, ლორი, სოსისი, სარდელი – მათში არსებული ნიტრატების გამო.
- ტირამინის მაღალი შემცველობის გამო – ბანანი, ყველი, შოკოლადი, ყავა, ჩაი, კოკა-კოლა.

ნიტრატები, ტირამინი, კოფეინი ჯერ ავიწროებენ თავის ტვინის სისხლძარღვებს, შემდეგ კი აფართოებენ, რაც შაკიკის შეტევის პროვოცირებას ახდენს.

### პროფილაქტიკა

თავის ტკივილების წინააღმდეგ შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა – რელაქსაცია. თუკი მიეჩვიეთ კუნთების მოდუნებას, რომლებიც განსაკუთრებითაა დაჭიმული სტრესების დროს, თქვენ ბევრად უკეთ აიცილებთ თავიდან ტკივილებს, ვიდრე წამლებით.

დაწექით ზურგზე, დააკვირდით საკუთარ შეგრძნებებს. შეიძლება ივარჯიშოთ ხმადაბალი, მსუბუქი მუსიკის თანხლებით. ღრმად ჩაისუნთქეთ და შეიკავეთ ამოსუნთქვა. ასწიეთ მარჯვენა ხელი ზევით, ნელ-ნელა დაჭიმეთ კუნთები, 5 წუთის განმავლობაში გეჭიროთ ასე, შემდეგ ნელ-ნელა ჩამოუშვით, ამოისუნთქეთ, მოადუნეთ ხელი, შეიგრძენით მასში ჩაღვრილი სითბო და სიმშვიდე. გაიმეორეთ 2-ჯერ, შემდეგ იგივე გაიმეორეთ მეორე ხელით.

იგივე ვარჯიში გააგრძელეთ ფეხების აწევით 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. ეცადეთ ისწავლოთ ამგვარად მხრების და ზურგის კუნთების მოდუნებაც (გადაიხარეთ წინ იატაკზე ჯდომითი მდგომარეობიდან, შემდეგ კი წოლითი მდგომარეობიდან).

თავად შეიმუშავეთ სახის გრიმასები, შემდეგ კი მოადუნეთ.

## ხსოვნა

### გიზო ნიკოლაიშვილი



ჩვენი ქვეყნის ამაგდარ და ღირსეულ ადამიანთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოხელე, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, ღირსების ორდენის კავალერი **გიზო ვასილის ძე ნიკოლაიშვილი.**

ქვეყანამ, ქალაქმა, ოჯახმა, მეგობრებმა დაკარგეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, კოლორიტული ფიგურა, დიდებული მეუღლე, მამა, ბაბუა, დარბაისელი მოსიყვარულე მეგობარი.

გიზო ნიკოლაიშვილმა პროფესიული და მოქალაქეობრივი ცხოვრების ღირსეული გზა განვლო. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა ქარხანა „საქსოფლმანქანაში“, ფაბრიკა „ივერიაში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში, საქართველოს საგეგმო კომიტეტში, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის აპარატში. ამ ორგანიზაციაში მუშაობის დროს 1975 წელს საფრანგეთში, 1982 წელს ავსტრიაში და 1983 წელს კვიპროსში გამართულ საერთაშორისო ბაზრობებზე იყო საქართველოს განყოფილების კომერციული დირექტორი.

1986 წლიდან იგი საქართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწეა, შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნოს გამგე, მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე, ხოლო 1996-2004 წლებში საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კადრების სამსახურის უფროსის მოადგილე.

გიზო ნიკოლაიშვილი მაღალპროფესიულ და ნაყოფიერ სამსახურებრივ საქმეს შესანიშნავად უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი საქართველოს აფროსნობის ფედერაციის აქტიური წევრი და ამ სპორტის მესვეურთა დიდი მეგობარი და მოამაგე იყო. სწორედ აფროსნობის სპორტის სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა იგი საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით.

გიზო ნიკოლაიშვილის ცხოვრების წესი და რიგი, გარეგნული სილამაზე და ადამიანური თვისებები განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის პიროვნებას. მას არასოდეს უღალატია დედის – ქართველ მეტალურგთა არა ერთი თაობის აღმზრდელის და დამრიგებლის, სათნოებით, მზრუნველობით და სიყვარულით აღსავსე ქალბატონის ელენე მხატვრიშვილი-ნიკოლაიშვილის ტრადიციებისა და მისგან დაყოლილი შესანიშნავი თვისებებისთვის. არავის – მის კოლეგებს, მეგობრებს, ახლობლებს, ნათესავებს არ მოკლებია მისი კაცური თანადგომა, ზრუნვა და ადამიანური სითბო, რისთვისაც მას ყველა დიდ პატივს სცემდა, აფასებდა და უყვარდა.

მაღალი დონის პროფესიონალი, სახელმწიფო მოხელე, თავის ქვეყანაზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებული, ქალაქური ტრადიციების ღირსეულად მატარებელი, ქართული სუფრისა და სიმღერის მოტრფიალე, მისაბაძი კეთილშობილებითა და ორიგინალობით აღსავსე ჭეშმარიტი ინტელიგენტი, უმაღლესი ზნეობითა და ღირსებებით გამორჩეული ადამიანი, ღირსეული ოჯახის დიდებული თავკაცი, – ასე იცნობდნენ გიზო ნიკოლაიშვილს და ასეთივედ დარჩება იგი, მისი დაკარგვით განცდილ მოუშუშებელ გულისტკივილთან ერთად, მისი მრავალრიცხოვანი კოლეგების, მეგობრების, ახლობლების და ნათესავების ხსოვნაში.

ღმერთმა ნათელი დაგადგას წმინდა სასუფეველში, ჩვენო საყვარელო „ვასილიჩ“, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

**მეგობრები, ახლობლები.**

## სულთათანა

### ფლორა შედანია



ქართულმა თეატრალურმა ხელოვნებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა უხუცესი მსახიობი, ეროვნული სასცენო ხელოვნების პატრიარქი, ქართველ აქტიორთა უფროსი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი **ფლორა შედანია.**

ფლორა შედანიამ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის პირველი გამოსაშვები ჯგუფი დაამთავრა და ამის შემდეგ, აგერ უკვე 65 წელი ერთგულად ემსახურა მისთვის სათაყვანებელ ქართულ თეატრს, მის მშობლიურ სოხუმის თეატრს, რომელთანაცაა დაკავშირებული ამ არაჩვეულებრივი მსახიობის მთელი სასცენო შემოქმედება.

უაღრესად მდიდარი, საინტერესო და მრავალფეროვანია ფლორა შედანიას სამსახიობო ბიოგრაფია, განსხვავებული ასაკისა და ხასიათის არა ერთი სცენური გმირი გააცოცხლა მან 65 წლის მანძილზე. შეუძლებელია მისი როლების სრულად ჩამოთვლა, მხოლოდ რამდენიმე მათგანს გაგახსენებთ: ტატიანა (მ. გორკის „მდაბიონი“), ბებია ეუხენია (ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“), თვითკრიტიკა (ვ. მაიაკოვსკის „აბანო“), ქალბატონი ნისკავუორი (ნ. ვუოლიოკის „ქვის ბუდე“), ოლღა ბებია (ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელიც რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ საგანგებოდ ქალბატონი ფლორასათვის დადგა), დამლაგებელი ქალი (ა. ჩხაიძის „მილების დღე“), დედა (ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“), ბორდოხანი (კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“), ლენა (ე. რანეტის „უძღები შვილი“), ოლია (ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“) და მრავალი სხვა. მაყურებელს კარგად ახსოვს ფლორა შედანიას მიერ არაჩვეულებრივი ნიჭიერებითა და ოსტატობით განსახიერებული კინოგმირები ფილმებში „დათა თუთაშხია“ და „უძინართა მზე“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალბატონი ფლორას ერთ-ერთი ბოლო თეატრალური სახე – ანა გრიგორიევნა ედვარდ რაძინსკის პიესაში „მოხუცი მსახიობი ქალი დოსტოევსკის ცოლის როლში“, რომელმაც არა მარტო მაყურებლის, არამედ დიდი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. თვით პიესის ავტორი ე. რაძინსკი ასე წერდა ფ. შედანიას შესახებ: „რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ ფლორა შედანიაზე. მან დამატყვევა. მის შესრულებაში თავი მოიყარა ყველა იმ თვისებამ, რითაც დაჯილდოებული უნდა იყოს მოხუცი მსახიობი, იგრძნობა, როგორ განიცდის ფლორა შედანია მსახიობი ქალის გამო, როგორ უყვარს იგი და, რაც ყველაზე მთავარია, მსახიობსაც თამაშობს და თავის თავსაც. სწორედ ეს არის ის გასაღები, ურომლისოდაც ეს როლი არც ერთ დიდ მსახიობს არ გამოუვა. გამაოცა მისი თამაშის სიმსუბუქემ, ფსიქოლოგიზმმა და, ამავე დროს, ტრაგიზმის შეგრძნებამ“.

ფლორა შედანიას მთელი შემოქმედებითი ცხოვრება საყვარელი საქმის უანგარო სამსახურის, შრომისმოყვარეობის, ერთგულების, მაღალი პროფესიონალიზმის ნათელი მაგალითია.

**სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.**

---

სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი

ფლორა შედანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მ. საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ირაკლი შავლიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## გახსენება

### გივი გვასალია



ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წავიდა საქართველოს პროკურატურის სისტემის აღიარებული პროფესიონალი, უფროსი კოლეგა და მეგობარი, ბატონი **გივი გვასალია**. მან ყველა თაობის პრაქტიკოს იურისტებს თავი დაამახსოვრა, როგორც საქვეყნო აზროვნების მოღვაწემ და უმწიკვლო ზნეობის ადამიანმა.

გივი გვასალიას, როგორც პიროვნებისა და პროფესიონალის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მისი მამის – ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის იუსტინე გვასალიას ჭეშმარიტი მამულიშვილობით გამორჩეულმა ცხოვრებამ, რომელიც საქართველოს ისტორიაში მძიმე დროის უკანონობასა და უსამართლობას ემსხვერპლა. ამ ტრაგიკულ მოვლენას უკვალოდ არ ჩაუვლია და ბევრად განსაზღვრა გივი გვასალიას საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის უკომპრომისო ხასიათი, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. მან იურისტთა არა ერთ თაობას ცოცხალი მაგალითი უჩვენა და აზიარა იმის ხელოვნებას, რომ პროფესიულ საქმიანობას, მთელ ცხოვრებას ხედავდნენ და აფასებდნენ ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობის და სხვა მარადიულ სულიერ ფასეულობათა პოზიციიდან.

გივი გვასალიას პროფესიულ მოღვაწეობაში განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ზუგდიდის რაიონის პროკურორად მუშაობის წლები, სადაც მან დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა, როგორც დამნაშავეობასთან უკომპრომისო ბრძოლაში, ასევე მოქალაქეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვაში. ზუგდიდელებს დღემდე ახსოვთ მისი განსაკუთრებული გულისხმიერება და ზრუნვა ადამიანებისადმი, რაც გამომდინარეობდა რა შინაგანი პიროვნული ჰუმანიზმის მრწამსიდან, ხშირად პროკურორის კომპეტენციის ფარგლებსაც კი სცილდებოდა; გივი გვასალიას პიროვნებაში ყველაფერი მოწესრიგებული იყო იმის შედეგად, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, ღირსეული ურთიერთობა ჰქონდა საკუთარ თავთან. მისი გარეგნული სიმშვიდე და სიდარბაისლე იმას ემყარებოდა, რომ მასში მხოლოდ ობიექტური და სამართლიანი აზრები და სურვილები ბატონობდნენ.

გივი გვასალიამ რიგითი გამომძიებლიდან საქართველოს გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელ მუშაკამდე განვლო ფრიად საინტერესო ცხოვრების გზა, იცხოვრა და იღვაწა, როგორც უღირსეულესმა და ცხოვრების ასეთი წესი დაუტოვა მემკვიდრეობად შთამომავლობას, თაობებს, რომლებიც ღირსეულად იმეორებენ და აგრძელებენ პატიოსნებითა და სიკეთით სავსე მამისა და ბაბუის სიცოცხლის მრწამს, ცხოვრების წესს.

ქვეყნის ხელისუფლება მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდა გივი გვასალიას მოღვაწეობას – მას მიღებული ჰქონდა მთავრობის არაერთი ჯილდო და საპატიო წოდება. ამასთან, იგი საზოგადოებაში ყოველთვის დიდი პატივისცემითა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა.

თავისი ფიზიკური და სულიერი რაინდული მონაცემების გამო გივი გვასალია არ შეიძლებოდა დავრდომილი და დაძაბუნებული შეხვედროდა სიკვდილს – მისი ლამაზი სიცოცხლე უშფოთველად, უეცრად შეწყდა და უამრავი ადამიანის წუხილი და ცრემლი გაიყოლია. სიკეთით, სიყვარულით, ერთგულებითა და ღირსებით აღსავსე კაცი – ასეთად დარჩება გივი გვასალია მეგობრებისა და კოლეგების გულში.

**მეგობრები, კოლეგები.**

### ცირა კაკაბაძე-ნადარეიშვილი



ჩვენო **ცირა!**

20 თებერვალი შენი დაბადების დღეა. მეორედ ვხვდებით უშენოდ ჩვენთვის, შენი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების განსაკუთრებით სასიხარულო დღეს.

რა დაგვავიწყებს ამ დღესთან დაკავშირებით შენს მიერ დიდი გემოვნებით და სიუხვით გაშლილ სუფრას, დროსტარებას და მხიარულებას, რომელიც ხშირად მეორე დღესაც გრძელდებოდა.

დღეს კი მოვალთ შენ საფლავთან. მოგიტანთ, განსაკუთრებით რომ გიყვარდა, იმ ყვავილებს, შემდეგ სუფრასთან დაბადების დღეს მოგილოცავთ, დღეს ხომ 70 წელი გისრულდებოდა.

მალე 2 წელი გახდება, რაც ჩვენგან წახვედი. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, შევეგუოთ სინამდვილეს. ძალიან გვაკლიხარ, გვაკლია შენი სითბო, მზრუნველობა, სიყვარული. შენ ხომ ჭირსა თუ ლხინში ყველას გვერდში ედექი და განმკითხავი იყავი.

მიუხედავად იმისა, რომ არ ვაკლებთ მზრუნველობას, მოიწყინეს შენმა ოთახის ყვავილებმა და კაქტუსებმა, ალბათ გრძნობენ, ეს მზრუნველობა შენგან რომ აღარ მოდის.

ძალიან, ძალიან გვენატრები, თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ გვჯერა, შენი კეთილი სული დამკვიდრდა მარადიულ სასუფეველში იმათ გვერდით, რომლებიც ძალიან გიყვარდა.

დარწმუნებული იყავი, ჩვენგან ხსენება არასდროს მოგაკლდება. დღესაც ისე დაგლოცავთ და მოგილოცავთ დაბადების დღეს, როგორც ცოცხალს, ჩვენ გვერდით მყოფს.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო მარადჟამს მოსაგონარო, დაუვიწყარო ცირა.

**შენი ოჯახი, მეგობრები.**

---

აკაკი გვილია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება მძახლის

იგორ ვეკუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---



და გულნარა, შვილები ვლადიმერი, მარინა, რძალი ხათუნა, შვილიშვილები გივი, თამარი, რუსუდანი, ცოლისდა, ქვისლი, დისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ვლადიმერის ძე გვილავა

პანაშვიდი 20, 21 II, 16 სთ. დაკრძალვა 22, II, 14 სთ. ნუცუბიძის III მკ.რ-ნი, შატილის 3, კორპ. 4, III სართ.

---



შვილები ეთერ, შოთა, სოსო ძნელაძეები, რძლები ქეთევან მინდაძე, თამრიკო გურეშიძე, შვილიშვილები ჯემალ ჭელიძე, გიორგი, ბექა, ვენერა ძნელაძეები, შვილთაშვილები სოსო ძნელაძე, სანდრო, თორნიკე ჭელიძეები, და ნადია ჩხაიძე, დისწულები ოჯახებით, მძახლები გულიკო მინდაძე, ჯულიეტა კაჭარავა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვენერა სერაპიონის ასულ ჩხაიძე-ძნელაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 20, 21 II, 16 სთ. მისამართი: კოსტავას II შესახვევი 5 ა, I სადარბაზო, X სართული (კაზინო „ევროპის“ მოპირდაპირედ). დაკრძალვა 22 II, 14 სთ. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიიდან.

---



შვილი გიორგი ქვილითაია, რძალი ნაგო მილორავა, შვილიშვილები ოთუნა, გოგა ქვილითაიები, მეუღლე ოთარ ქვილითაია, დედა ნინო დათუკიშვილი, ძმა მალხაზ დათუკიშვილი, რძალი ხათუნა პოპიაშვილი, ძმისწული ანა დათუკიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლალი შალვას ასული დათუკიშვილი

პანაშვიდი 20, 21 II, 16 სთ. მისამართი: ვაშლიჯვრის დას. 14 ა კორპ. ბინა 20. დაკრძალვა 22 II, 15 სთ. გამოსვენება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ამაღლების ეკლესიიდან.

---

ნუგზარ იზორია და ელდარ ფხაკაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სკოლის მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების

ავთანდილ ბაბიჩვაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი სპარტაკ ძოწულია.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika